

1233
2008

08
საქართველო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

საქართველოს იკლიმატი

ISSN 1512-0880

№4 (33) 2008

საქართველოს



ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ.: 36-09-51



ქურონალის რედაქცია:
 ადექსანდრე ღორია
 - მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყნიაშვილი
 - მთავარი რედაქტორის
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
 მზია რაზმაძე
 - კომერციული დირექტორი
 გუნდარა სჭურუა
 - სამეცნიერო-მეთოდური და
 კორექტორ-კონფერენცებთან მუშაობის
 რედაქტორ-კოორდინატორი

ინტერნეტ-საიტი „ალი“
 დამფუძნებლები: საქართველოს
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის
 სახელობის ეროვნული
 ბიბლიოთეკა; საქართველოს
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.





საქართველოს ბიბლიოთეკა № 4 (33) - 08
შინაარსი

ტრადიცია და ნოვაცია საბიბლიოთეკო საქმეში	4
ოკუპაცია	
ერედველთა ტრაგიკული განცდა.....	6
ისტორიის ფურცლებიდან	
იური სიხარულიძე - ერთი ფარული წიგნსაცავი.....	8
უძველესი კულტურის ძეგლები	
გვანცა გურგენიშვილი - ლარგვისის ციხე	9
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე - წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში - ბლარჯვა.....	12
ლიტერატურა და ცხოვრება	
გურამ შენგელია - ავტორიტარული რეჟიმი და კონსტანტინე გამსახურდია (XX ს. 20-იანი წლები).....	14
ფილოლოგიური ძიებანი	
ირინე აბესაძე, ირინა სარუხანოვა - ამირანის მითოლოგემა XX ს-ის ათიანი წლების ქართულ სახელოვნებო სივრცეში.....	18
რუსუდან ღვინეფაძე - „შორეული ჩვენნიანები“	23
სალომე მირზაშვილი - „პროვინციალური გაზაფხული“	24
ლალი ჯოხაძე - სიტყვა-კონცეპტები ჰაგიოგრაფიული ტექსტების თარგმნისას	25
სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკები	
ალექსანდრე ლორია - სკოლის ბიბლიოთეკა.....	28
კორესპონდენციები	
მანანა ყაბანაშვილი - ლექსო, ამოგთქვი!	31
გენადი მახარაძე - „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა კვალდაკვალ.....	32
მეთოდოლოგიური კონსულტაცია	
გუგული ჯინჭარაძე - მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ	33
ღირსეული წინაპრები	
გიორგი სარაჯიშვილი - ქართულ ანბანზე გაზრდილი მეცნიერი და „ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში“	35
იუბილე	
მანანა სვანიძე - მსოფლიო მწერლობის გიგანტი	41
ღვანულმოსილი წინაპრები	
ზეინაბ ჟიჟილაშვილი - საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზატორი	44
საბიბლიოთეკო მეცნიერება და კადრები	
მზია ტოგონიძე - ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა - 70.....	45
გამოხმაურება	
ალექსანდრე ლორია - „უბედურებით სავსე ბედნიერი კაცი“	48
ინფორმაცია	
უცხოელი მეცნიერი ქართული მოვლენების შესახებ.....	49
„ანანურული მოთხრობები“	50
ახალი გზამკვლევი	51
კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ	51
2009 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი.....	52
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა, მოვლენები, ფაქტები.....	56
ჩვენი მილოცვა.....	56
კონწარას კლუბი	
სოლომონ ტყულიპენტიაშვილი - დიდი გამოკვლევა.....	57
დიადი მიგნებებით.	57

Georgian Library, №4 (33) - 08

Table of content

Tradition and Innovation in Libtaty Work	4
Occupation	
Inga Pilauri – Eredvian’ Tragic Experience.....	6
History	
Iuri Sikharulidze – One Hidden Depository.....	8
Monuments of Ancient Culture	
Gvantsa Gurfenishvili - Largvisi Castle.....	9
Terminological Exploration	
Badri Tskhadadze – The Paleographic Book Study Terms in Georgian.....	12
Life and Literature	
Guram Shengelia – Authoritarian Regime and Konstantine Gamcaxurdia.....	14
Philological Exploration	
Irine Abezadze, Irina Sarufhanova – The Mitologem of Amirani in the Georgian Art Space of the 1910’ s	18
Rusudan Ghvinepadze – „So Far, So Close“.....	23
Salone Mirzashvili – „Provincial Spring“.....	24
Lali Jokhadze – Concept-Words in Translations of Hagiographic Texts.....	25
School and Children’s Libraries	
Alexander Loria – School Library.....	28
Correspondence	
Manana Kabanashvili – Poem, I’ce Utteres You!.....	31
Genadi Makaradze – Tracing the Lines of the Knight in the Panther’s Skin.....	32
Methodic Counseling	
Gugulu CHancharadze – On sone Aspects of Systematizing belles-Lettres.....	33
Praiseworthy Ancestors	
Fiorgi Sarajishvili – The Scintist Raised on the Feorgian Alphabet.....	35
Annivetsary	
Manana Svanidze – a Ciant of Library Work.....	41
Library Studies and Personnel	
Mzia Togonidze – The 70 th Anniversty of the Depsrtemant of Library Studies and Bibliography.....	44
Feedback	
Alexander Loria – „A Happy Man Full of Grief“.....	48
Information	
A Foretgn Scientist on the Events in Georgia.....	49
„Stories of Ananuri“.....	50
Assistance to Libratians	
The Calendar of Remarkable Dates and Anniversaries in 2009.....	52
The Chronicle of the Georgian Library Life	56
Kontsara’s Club	
Solomon Tkuilpentiaschcili – Great Exploration with Great Findings.....	57

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №4 (33) -08

Содержание

Традиции и новации в библиотечном деле	4
Оккупация	
Инга Пилаури – Трагические переживания эрединцев	6
Страницы истории	
Юрий Сихарулидзе – Тайное книгохранилище.....	8
Памятники древнейшей культуры	
Гванца Гургенишвили – Крепость Ларгвиси	9
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе – Книговедческо-палеографические термины в грузинском языке	12
Литература и жизнь	
Гурам Шенгелиа – Авторитарный режим и Константин Гамсахурдия.....	14
Филологические изыскания	
Ирине Абесадзе, Ирина Саруханова – Мифологема Амираана в грузинском искусстве первого десятилетия XX века	18
Русудан Гвинепадзе – „ Далёкие близкие ”.....	23
Саломе Мирзашвили - „ Провинциальная весна ”	24
Лали Джохадзе – Агиографические концепты при переводе текстов.....	25
Школьные и детские библиотеки	
Александр Лория – Школьная библиотека	28
Корреспонденция	
Манана Кабанашвили - „ Дай высказаться, стих! ”	31
Генади Махарадзе – По следам строф „ Витязя в тигровой шкуре ”	32
Методологическая консультация	
Гугули Джинчарадзе – О некоторых аспектах систематизации художественной литературы	33
Прославленные предшественники	
გიორგი სარაჯიშვილი – Выросший на грузинской письменности	35
Юбилей	
Манана Сванидзе – Гигант мировой литературы	41
Увековечение заслуги	
Зейнаб Жижилашвили – Организатор библиотечного дела	44
Библиотечная наука и кадры	
Мзия Тогонидзе – Кафедра библиотековедения и библиографии – 70	45
Отзывы	
Александр Лория - „ Счастливый человек полный несчастья ”	48
Информация	
Зарубежный учённый о грузинских событиях	49
„ Ананурские рассказы ”	50
Новый путеводитель	51
По следам культурного наследия.....	51
В помощь библиотекарям	
Календарь знаменательных и юбилейных дат 2009 года	52
Хроника библиотечной жизни Грузии	56
Наши поздравления	56
Клуб Концары	
Соломон Ткуилпентиашвили – Великое исследование с великими находками	57

ტრადიცია და ნოვაცია საბიბლიოთეკო საქმეში

საბიბლიოთეკო სფეროში, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად არის საუბარი ტრადიციულსა და ნოვაციურზე, ზოგ შემთხვევაში იმართება დისკუსია, გამოითქმება საწინააღმდეგო მოსაზრებები, კრიტიკული შეხედულებები. ხდება ისე, რომ არსებული სიტუაცია არ ფასდება ობიექტურად, ხანდახან ის გაუგებარი და ბოლომდე შეუცნობელია ჩვენთვის. ამ მოვლენისადმი საზოგადოების აზრი არ არის საყოველთაოდ მიღებული და ჩამოყალიბებული.

ბევრი სიახლე ინერგება საბიბლიოთეკო საქმეში, ბევრი ტრადიცია ირღვევა, ზოგი იცვლება, ზოგსაც ურყევად უჭირავს თავისი ადგილი.

ის, რომ სიახლეების დანერგვა აუცილებელი და საჭიროა, ყველასთვის ერთნაირად მისაღებია, მაგრამ, კერძოდ, რა შემოვიტანოთ და რა უარვყოთ თუ დავიცვათ, ამაზე ერთგვაროვანი მოსაზრებები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვიდრე ტრადიცია დროის ზეგავლენით არ დაკარგავს თავის ძალას - არ ამოწურავს თავს, ხოლო სიახლე არ დაამტკიცებს, რამდენად გამართლებულია იგი.

ტრადიცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადმოცემას; ძირითადად გულისხმობს ადრე არსებულის ადაცემას (გადანაცვლებას) ახალ დროსა თუ გარემოში. ის სოციალური ურთიერთობის გამომსახველი ცნებაა, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით ყოველ სფეროში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ტრადიცია ისტორიულად დამკვიდრებული წესია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ჩვევების სახით მკვიდრდება. მისი წარმოშობა განსაზღვრულია საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებით.

ტრადიცია ძლიერი გამძლეობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად მისთვის საჭირო პირობების შეცვლისა, მაინც აგრძელებს არსებობას და ზოგჯერ უმლის

კიდევ ხელს პროგრესს. მის წინააღმდეგ ხელოვნურად ბრძოლა ძალიან ძნელია, თუმცა არაა გამორიცხული ამ მიმართულებით გარკვეული შედეგების მიღწევა. მისი შეცვლა შედარებით უმტკივნეულოდ ხდება, როცა ეს ცხოვრებისეული მოთხოვნილების შედეგია, როცა საზოგადოება უდრტიწველად შეეღწევა მას, და როცა ის კარგავს ყოველგვარ აქტუალობას.

რაც შეეხება ნოვაციას, ის ასევე ლათინურიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს განახლებას, შეცვლას, ეს ტერმინი თავდაპირველად გამოიყენებოდა ვალდებულებათა განახლებასთან დაკავშირებით. შემდეგში მისი გაგება გაფართოვდა და ამჟამად ყოველგვარ საქმეში სიახლის მიმართ გამოიყენება, ყოველ დარგსა თუ სფეროში. ამ ტერმინთან პრაქტიკულადაა დაკავშირებული ნოვატორობა (ნოვატორი). ეს ლათინური ლექსემა ადრეული გაგებით აღმშენებლობას ნიშნავდა, ხოლო მას, ვინც ამ საქმეს ეწეოდა - ნოვატორად მოიხსენიებდნენ. ნოვატორი, პირველწარმოქმნი შინაარსის მიხედვით, გულისხმობს აღმშენებელს, განმაახლებელს, გამომგონებელს. ის გამოხატავს ადამიანის უნარს შრომით საქმიანობაში. ნოვატორი შრომით საქმიანობაში ნამდვილი ბერკეტი საქმის განვითარებისათვის. მას შეიძლება ეწოდოს ამავე დროს რაციონალიზატორი. ეს მოითხოვს თეორიისა და პრაქტიკული ცოდნის აქტიურ გამოყენებას.

რაციონალიზაცია წარმოების საშუალებათა მეთოდოლოგიური პროცესების მკვეთრად გაუმჯობესებას გულისხმობს. ეს გამოთქმაც ლათინურიდან მოდის და ნიშნავს მოცემული შესაძლებლობების გონივრულად, მიზანშეწონილად და საფუძვლიანად გამოყენებას. ეს ეხება ძირითადად საქმის კონსტრუქციას, ტექნოლოგიას, სტანდარტებს, ნორმატივებს და ა. შ. ფაქტობრივად, ესეც გარდაქმნის

ცნებასა და არსთანაა დაკავშირებული. მაგრამ ყოველგვარი გარდაქმნა-დახვეწა არ შეიძლება რაციონალურ წინადადებად ჩაითვალოს, როგორცაა, მაგალითად, აღრიცხვა-ანგარიშგების, ტექნიკური პროცესების შესწორების, რეჟიმის განსაზღვრის და სხვა სამუშაოები, თუმცა ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის სრულყოფილად წარმართვისათვის.

რაც შეეხება ინოვაციას, ის ინოვაციის სუფთადარული ცნებაა, რომელიც გარდაქმნას, ახალწარმონაქმს გულისხმობს.

ყოველივე ზემოთქმული სრულიად ეხება საბიბლიოთეკო საქმეს. თანამედროვე პირობები და არსებული სიტუაცია გვკარნახობს, საფუძვლიანად შევისწავლოთ ჩვენს დარგში ტრადიციისა და ნოვაციურის ურთიერთმართება. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება უნდა გამახვილდეს ორი მიმართულებით: ერთი - როცა ტრადიციულისა და ნოვაციური პრობლემები ეხება საბიბლიოთეკო სისტემას მთლიანობაში - ქსელისა და ტიპების ჩამოყალიბება, სისტემის მართვა და ორგანიზაცია, დაფინანსება, მოსახლეობის მომსახურება, კადრების მომზადება და დასაქმება, საბიბლიოთეკო კატეგორიების განსაზღვრა და მრავალი სხვა.

მეორე - ძირითადად უშუალოდ ბიბლიოთეკას, მის საქმიანობას ეხება - სტრუქტურა, ნორმატივები, ფუნქციონალური საკითხები, მენეჯმენტი, მართვა, სხვადასხვა ციკლების სამუშაო პროცესების ტექნოლოგია, მომხმარებელთა მომსახურების მეთოდოლოგია და მრავალი სხვა.

ბიბლიოთეკაში ყველ ამ მიმართულებით შეიძლება შეგვხვდეს როგორც ტრადიციული, ისე ნოვაციური, რაც შეეხება ტრადიციულს, ის შეიძლება იყოს უკვე მოძველებული, დრომოჭმული, რომელიც უგულვებელსაყოფია, და ტრადიციული, რომელიც დღესაც ურყევია, აქტუალური, მიზანსწრაფული და გამოსადეგი. მაგალითად, სავსებით უგულვებელსაყოფია დღეს ადრინდელი ნორმატივები, სტანდარტები, გეგმების აგების სისტემა, ადრინდელი საკლასიფიკაციო ცხრილები, კატეგორიები, დასახელებები, მრავალი ტერმინი და ა. შ. მაგრამ ჯერაც აქტუალურია ისეთი ტრადიციები, როგორცაა მკითხველთა ჩანერისას ანკეტური მონაცემების წარმოება, მათზე სოციოლოგი-

ური დაკვირვება, ინდივიდუალური მიდგომის მეთოდოლოგია, მასობრივი ღონისძიებები, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესები, ფონდების განთავსებისა და განლაგების, მათი გამოყენების სისტემა, მეთოდური საქმიანობა და ა. შ.

არის ისეთი ტრადიციები, რომლებიც მოძველებულია, მაგრამ საჭირო საშუალებების უქონლობის გამო, ჯერაც განაგრძობს არსებობას: ბარათული და წიგნური კატალოგები, კარტოთეკები, ფონდის გამოყენების დახურული სისტემები პატარა და შედარებით მოზრდილ ბიბლიოთეკებში, ბევრი ტექნიკური ოპერაციის ხელით წარმოება და მრავალი სხვა.

ნოვაციები, რაც ფეხს იკიდებს ჩვენს ბიბლიოთეკებში, ასევე შეიძლება ორად დავყოთ: ერთი, რომელიც ეხება ტექნიკურ პირობებს, მეორე - მეთოდოლოგიურს.

ბიბლიოთეკების ტექნიკურად აღჭურვა, რაც, ძირითადად, კომპიუტერის შეძენასთანაა დაკავშირებული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნოვაციას, ვიდრე ის არ ჩაირთვება საწარმოო საქმიანობაში, ვიდრე არ შეცვლის ადრე ტრადიციული წესით წარმოებულ პროცესებს. ეს ითქმის ყოველგვარ აპარატურასა და ტექნიკურ საშუალებაზე, ამიტომაც ჩვენი ბიბლიოთეკები დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ არა მარტო ტექნიკური საშუალებების შეტანაზე, არამედ მათ გამოყენებაზე. ეს უკვე ცალკე საუბრის საკითხია, რაც დამოკიდებულია არა მარტო მოცემულ ბიბლიოთეკაზე, არამედ იმ დაწესებულება-ორგანიზაციებზე, რომელთაც ხელენიფებათ დაეხმარონ ბიბლიოთეკებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში.

გაცილებით უფრო ძნელია მეთოდოლოგიური ხასიათის ნოვაციების ჩატარება, რომლებიც ეხება პროცესების მეთოდურად წარმოებას, კერძოდ, მომსახურებას, მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, მკითხველთა შესწავლას, მასობრივ ღონისძიებებსა და სხვა დინამიურ პროცესებს.

გამომდინარე ყოველივე აქედან, ნათლად ჩანს, რა მისიაც აკისრია ჩვენს ბიბლიოთეკებს, კერძოდ, მათ მესვეურებს. ძალიან ძნელია უგულვებელყო ძველი, ყავლგასული ტრადიციები, დანერგო ახალი, მაგრამ ეს უეჭველად უნდა გაკეთდეს, თუ გვინდა, რამე წარმატებას მივაღწიოთ თვით ბიბლიოთე-

კასა თუ საბიბლიოთეკო საქმეში მთლიანად. სამწუხაროდ, მდგომარეობას ართულებს არსებული პირობები, განსაკუთრებით საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება, დაბალი საშემსრულებლო ცოდნა და გამოცდილება, მაღალი, საშუალო თუ დაბალი დონის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილის საქმეში ჩაუხედაობა. ამის ნათელი მაგალითია, სახელდობრ, ერთგვარი გალაშქრება საბიბლიოთეკო მეთოდოლოგიური მუშაობისა და კადრების მომზადების სისტემის წინააღმდეგ. ცხადია, შეიძლება ამ მიმართულებით რალაცგვარი სიახლის დანერგვა, მაგრამ ეს უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად გათვლილი, მოფიქრებული, ბოლოს და ბოლოს, გამჭვირვალე. უნდა ვიცოდეთ, რაკეთდება, რა უნდა გაკეთდეს, საით მივდივართ. ისეთ სოციალურ გარემოში, (არეულ-დარეულობაში) როგორშიც დღეს საბიბლიოთეკო საქმე იმყოფება, სწორედ მეთოდოლოგიური მუშაობის გააქტიურება გვმართებს და არა მისი გაუგებრად დაქსაქსვა თუ გაუქმება. დაახლოებით იგივე ითქმის ბიბლიოთეკების სტრუქტურაზე, ფუნქციონალურ შესაბამისობაზე, მოუფიქრებელ, არა სწორი სახელწოდებების გამოყენებაზე, ქსელისა და სისტემის მართვაზე და ა. შ.

ცხადია, იოლი არაა არც მოძველებული ტრადიციების ნგრევა და არც ნოვაციების დანერგვა, მაგრამ არც ამ საქმის თვითდინებაზე მიშვება შეიძლება. ყოველი ბიბლიოთეკა, ყოველი ბიბლიოთეკარი ცალკეულად თუ ერთობლივად, უნდა შეეცადოს გონივრულ ფარგლებში მოაქციოს ტრადიციების რღევა და სიახლეების დანერგვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზემოქმედება მოვახდინოთ იმათზე, რომლებსაც არამც თუ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ საქმეს, არამედ მოვალენიციკარიან. საბიბლიოთეკო ასოციაცია, სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკათმცოდენეთა და ინფორმაციული სამსახურის მუშაკთა კორპუსი, მომხმარებლები - მკითხველები და ყველა მოქალაქე, ვისაც გული შესტკივა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის - საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფაზე, აქტიურად უნდა ავამოქმედოთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე. აი, ამ მიმართულებით უნდა იმუშაონ დღეს ჩვენმა სპეციალისტებმა. ეს გადაუდებლად გადასანყვეტი ამოცანაა.

ოკუპაცია

ერედველთა ტრაგიკული განცდა

გორის რაიონის სოფელი ერედვი იმ სოფელთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც მიწასთან გაასწორეს რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა „ბოფიკებმა“. ეს სოფელი ქართლის ერთ-ერთი საუკეთესო დასახლება იყო პატარა ლიახვის ხეობაში. ამ ლამაზ სოფელს მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც ამ მხარეში ცენტრალურს წარმოადგენდა და 18 ფილიალი ექვემდებარებოდა (დირექტორი ციალა ლაზარაშვილი), რომლებიც განთავსებული იყო დიდი და პატარა ლიახვის ხე-

ობაში.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდი 25 ათას ეგზემპლარს შეადგენდა, სასოფლო ბიბლიოთეკები მთლიანად 114 ათასი წიგნისგან შედგებოდა. ბიბლიოთეკას ჰქონდა სააბონემენტო, სამკითხველო დარბაზი და სამომსახურეო სათავსოები. დირექტორის გარდა 9 ბიბლიოთეკარი ემსახურებოდა (ნაილი ბერუაშვილი, გიული გაბოძე, ციური მაისურაძე, ლალი მჭედლიძე, მზიური მჭედლიძე, ია ნიკორაშვილი, მარია ოთინაშვილი, მაია

დამბაშიძე, ნაირა ჯავახიშვილი). დღეს უკვე ეს ბიბლიოთეკა მიწასთანაა გასწორებული; ისე, როგორც ბევრი სხვა სოფლის გადამწვარი ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარები, ისინიც დევნილებად არიან გახიზნული სხვადასხვა ადგილებში, თუმცა ცდილობენ, არ დაკარგონ ერთმანეთი, მთელი გორის რაიონის განადგურებული ბიბლიოთეკების მუშაკები აღნუსხულნი არიან და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. დახმარების ხელი გაუწოდეს მათ კოლეგებმა და უბრალო მოქალაქეებმა, რაც, რა თქმა უნდა, მცირეა, მაგრამ ამ ადამიანებისათვის თანადგომასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ინერებიან ისინი მაღლიერებით სავსე სიტყვებს, რომლებიც სულისშემძვრელ წერილში აქვთ გაცხადებული. აი, რას გვწერენ ისინი:

„ შიდა ქართლის ერთ-ერთი ლამაზი სოფ. ერედვი პატარა ღიახვის ხეობაში მთის ფერდობზე იყო შეფენილი., რაოდენ გულსატკენია ჩვენთვის წარსულში საუბარი ჩვენს მშობლიურ სოფელზე, რომელიც აღიგავა პირისაგან მიწისა, დაინგრა და განადგურდა ათას კომლიანი სოფელი. წამებში ჩაინვა და გაქრა მშრომელი ხალხის ნაჯაფ-ნაღვანი. მტარვალეებმა დაიქადნეს: ქართული კვალი უნდა მოვსპოთ დიდი და პატარა ღიახვის ხეობაშიო. თითქმის ასეცაა ახლა. სულიერი აღარ ჭაჭანებს ჩვენს ეზო-კარმიდამოზე. გვებადება ათასნაირი კითხვა: ვინ გაგვწირა ასე უღვთოდ? უმონყალოდ? უმწეო მოხუცებმა და ბავშვებმა რაღა დააშავეს, მშიერ-მწყურვალეები რომ დალასლასებენ დედაქალაქის ქუჩებში, რა პასუხი გავცეთ იქ დაღუპულ პირტიტველა ჯარისკაცების დედებს?

ჩვენ მთელი თვრამეტი წლის განმავლობაში დიდი და პატარა ღიახვის ხეობის მოსახლეობა ვიცავდით და ვამაგრებდით ჩვენს კუთხეს.

არც ერთი დღე არ მიგვიტოვებია და არ გამოვსულვართ იქედან, პირველი არეულობისა და რუსების თარეშის დროს მაინც ფუნქციონირებდა სკოლებიც და ბიბლიოთეკაც; დიდ დახმარებას გვინევდა (და ახლაც გვინევს) კულტურის სამინისტრო. გვამარაგებდა ახალი წიგნებით, ინვენტარით, კომპიუტერებით. დიდი მადლობა მათ თანადგომისა და გულისხმიერებისათვის: იზა დემეტრაშვილს, ნინო მეიფარიანს, ასოციაციის პრეზიდენტს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც თითოეულ თანამშრომელს გაგვინია ფულადი დახმარება ორმოცდაათი ლარის ოდენობით.

დიდ მადლობას ვუხდით ვაკის ადგილობრივ მოსახლეობას, ქეთი დოლიძეს, ნინელი ჭანკვეტაძეს და სხვებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან მატერიალურად და სულიერად. მაგრამ ეს ყოველივე, ასე გვგონია, ჩვენს არარაობას უსვამს ხაზს, ჩვენ აღარც წარსული გვაქვს (წინაპართა საფლავებიც აღარ დაგვიტოვებს ნაუბილწავი გადამთიელებმა), აღარც აწმყო ნათელი, მომავალი კი არ ჩანს. ნუთუ ჩვენზე იზრუნებს ვინმე? არადა, ჩვენც ხომ საქართველოს გარკვეულ ნაწილს წარმოვადგენდით გუშინ?“

არ შეიძლება გულთან არ მივიტანოთ ეს სიტყვები და ყოველი ღონე არ ვიხმაროთ, გაგუადოვილოთ ამ ადამიანებს მათი აუტანელი სიმძიმელი.

მასალაზე მუშაობდა ი. ფილაური

რედაქციისაგან: ლტოვილი ბიბლიოთეკების ბედი, რა თქმა უნდა, აღელვებს ჩვენი ჟურნალის რედაქციას, ქართულ საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობას. თითოეული მათგანის შესახებ ინფორმაციას ჩვენი ჟურნალი პერიოდულად მოგაწვდით.



ისტორიის ფურცლებიდან

იური სიხარულიძე
პროფესორი

ერთი ფარული წიგნსაცავი

ასეთი სამკითხველოები საქართველოში პირველად გურიამი შეიქმნა, სადაც ამისათვის ყველაზე პოხიერი ნიადაგი არსებობდა.

პირველი ფარული სამკითხველოები გურიაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905-1907) შეიქმნა გოგოლესუბანში იესე ივანეს ძე სიხარულიძის (1830-1918) ოჯახში.

ოჯახის უფროსმა წერა-კითხვა იცოდა და მხატვრული ლიტერატურაც ძალიან უყვარდა, მაგრამ საპოლიტიკო გატაცება არ მოდგამდა და არც ასეთი მიდრეკილების ხალხთან ჰქონდა ცხოველი ურთიერთობა.

იესე პროფესიით ხურო გახლდათ და მისი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც საცხოვრებელი სახლის, ხულათა თუ სხვა სახის ნაგებობათა მშენებლობა იყო.

მისი ნახელავი ზოგიერთი ნაგებობა, კერძოდ, ერთი მშვენიერი ხულა დღესაც არის შემორჩენილი მის საკარმიდამოში (სოფ. გოგოლესუბანი, მჭედლებისერის უბანი).

კარგი ხელოსნის სახელთან ერთად, იესეს კარგი ხელოვანის სახელითაც იცნობდნენ - ბრწყინვალე გამყივანი ხმა ჰქონდა, რაც ასე აუცილებელი ხმაა ნადური სიმღერებისას.

გოგოლესუბანში სანთლით საძებარი როდი იყო გამყივანის მქონე მომღერლები, მაგრამ ისეთი გამყივანი, როგორც იესეს გააჩნდა, ამ სოფელში მხოლოდ ერთ მომღერალს - ივანე სიხარულიძეს (1850-1907) - განთქმული მომღერალ-ლოტბარის ერმალო სიხარულიძის (1880-1963) მამას - გააჩნდა. ამიტომ იყო, რომ ნადის შემყრელები ყოველთვის, პირველ ყოვლისა, ამ ორი გამყივანის გულის მონადირებას ესწრაფოდნენ.

თუ იესეს და ივანეს დაითანხმებდნენ, საქმე შემდეგ კარგად მიდიოდა და ნადურის წყების დიდოსტატ ტარიელ სიხარულიძის (1833-1938) დათანხმებაც უფრო ადვილად ხერხდებოდა.

წყებას ბანები და დვრინებიც ჭირდებოდა, რომლებიც სოფელში არც ისე მეჩხრად იყვნენ და, თუ იესე, ივანე და ტარიელ სიხარულიძეების თანხმობას შეიტყობდნენ, ისინიც დიდი ხალისით ებმებოდნენ ნადში.

იესესა და ნადზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ იესეს მთელი ზემო გურია იცნობდა როგორც ხელოსანსა და ხელოვანს და არა პოლიტიკოსსა და ხელისუფლებისათვის „არასაიმედო კაცს“, რაც ხელსაყრელი იყო იმისათვის, რომ სწორედ მის ოჯახში მოწყობილიყო ფარული წიგნსაცავი.

წიგნებს, გაზეთებსა და ჟურნალებს სისტემატურად აწვდიდა ოჯახს იესე სიხარულიძის უფროსი ქალიშვილი მარინე (1857-1950), რომელიც იმ დროს ბაქოში იღწნოდა.

ქალბატონი მარინე არ იყო განათლებული პიროვნება, მაგრამ ახალი თაობის მოღვაწეთა (ნოე ჟორდანიას, ალექსანდრე წულკიძე, იოსებ ჯულაშვილი და სხვები) დიდი ნდობით სარგებლობდა. ისინი სადილადაც ხშირად იყვნენ მასთან და ფარულ ლიტერატურასაც დროადრო აწვდიდნენ საქართველოში გამოსაგზავნად.

ასეთი ლიტერატურის წამოღება ადვილი არ იყო, მაგრამ ისეთი გამოცდილი პიროვნება, როგორც ლუკა სიხარულიძე (1884-1955) ბრძანდებოდა, ამას ისე მარჯვედ აკეთებდა, რომ ერთხელაც არავის აუღია მასზე ეჭვი.

იესე სიხარულიძის ოდის ცენტრალური დარბაზის კედლები ისე იყო მოფენილი ტაშკენტიდან და ბაქოდან გამოგზავნილი დიდებული რუსული მხატვრული ტილოებით, რომ იქ შესვლას არაფერი ჯობდა და სოფელიც ხშირად მიდიოდა ამ სილამაზით დასატკობად.

ეს კარგი საშუალება იყო ფარული წიგნსაცავის შესანიღბად.

გარდა ოდისა, იესეს დიდი შუაგეცხლის სახლიც ჰქონდა (ისლით დახურული), რომელიც მისი აგებული იყო. ჰქონდა კარგი ხულა და სასიმიინდე, მაგრამ წიგნებს არც ერთ ამ ნაგებობას არ აკარებდა და ჯვების გადაღმა მდებარე ერთ-ერთ სათხე ქოხში მალავდა.

ასეთი სათხებო დაახლოებით 30-ს აღემატებოდა, რადგან 180-200 თხაზე მეტი ჰყავდა ოჯახს. მეურნეობის ამ შემოსავლიან დარგს იესე სიხარულიძის მეუღლე კესარია (ანაყოფილი) დოლიძე (1835-1936) უძღვებოდა.

ამ ფარული ბიბლიოთეკით, რომლის წიგნადი ფონდის ძირითადი ნაწილი რუსულ ენაზე იყო, უმთავრესად სოფლის მოწინავე პირები სარგებლობდნენ. ესენი იყვნენ: ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილი და შემდეგ ერკეთის საზოგადოების მწერალი ისიდორე სიხარულიძე (1869-1937), იმავე სასწავლებლის ნიჭიერი მოწაფე და სახელმოხვეჭილი პედაგოგი ილია სიხარულიძე (1875-1947), „ახალი დიდგორის“ (ნასაკირალი) ეპოპეის მონაწილე, ჩოხატაურის

სამრევლოსკოლისა და ბაქოს გიმნაზიაგამოვლილია სიკო (ავქსენტი) სიხარულიძე (1882-1932), თბილისის სასულიერო სემინარიასა და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავაუკაცებული ილია ბერძენიშვილი (1892-1937), ჩოხატაურის გიმნაზიისა და ჰუმანიტარული ტექნიკუმის სტუდენტი მოსე სიხარულიძე (1902-1986) და მრავალი სხვა.

ამ წიგნსაცავმა 1917 წლის მარტამდე იარსება და ნიკოლოზ მეორის დამხობისთანავე გაუქმდა.

ამიერიდან ფარული წიგნსაცავის ფონდი იესესიხარულიძისლეგალურსაოჯახობიბლიოთეკას შეუერთდა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იარსება.

იმ დროს ამ სტრიქონების ავტორი უკვე სტუდენტი გახლდათ და ამ წიგნების ნაწილი მის პირად წიგნად ფონდში შევიდა, ნაწილი კი დღესაც დაცულია ჩვენი უმცროსი ძმის - ამირან სიხარულიძის (1945-2003) საოჯახო წიგნთა შორის (სოფ. გოგოლესუბანი, ჩოხატაურის რ-ნი).

უკველესი კულტურის კვლევები

გვანცა გურგენიშვილი
მაგისტრანტი

ლარგვისის სიხე

(ქსნის ხეობის მატერიალური კულტურის ისტორიიდან)

ფეოდალური საქართველოს სამხედრო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა - ქსნის საერისთავომ - სახელწოდება მდ, ქსნისგან მიიღო, რომელიც სათავეს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 2914 მეტრზე მდებარე ყელის ტბიდან იღებს.

ქსნის ხეობა შიდა ქართლის ტერიტორიას მიეკუთვნება და ესაზღვრება: ჩრდილოეთით - კავკასიონის მთები; აღმოსავლეთით - არაგვის ხეობა; სამხრეთით - მდ. მტკვარი; დასავლეთით - მდ. ლეხურა.

ქსნის საერისთავო შეიქმნა 1260 წ. პირველი ქსნის ერისთავი იყო გირშელი; მეორე - მისი ვაჟი - შალვა.

ქსნის საერისთავო დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მატარებელია. ამას

ადასტურებს 9 უდიდესი ციხე ქსნის ხეობაში (ქსნის, ნირქელის, ლარგვისის, წინკიბის, გრუს, სადას, ქარჩოხის, ალავერდის, ბერციხის), რაც ნათელი მაგალითია ქსნის საერისთავოს მდიდარი ისტორიული და კულტურული წარსულისა

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლარგვისი-ქსნის ხეობასა და, საერთოდ, საქართველოში ცნობილი თავდაცვითი ნაგებობა და სამონასტრო კომპლექსი. ლარგვისი ითვლებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-კულტურულ ცენტრადაც.

მდ. ქსნის ხეობის ზედა ნაწილში, იქ, სადაც მას ჭურთის წყალი ერთვის, დგას ლარგვისის მონასტერი. ორი მდინარის შესართავთან მდებარე ნაგებობები არაერთხელ გამხდარა წყალდიდობებისა და მტრის მსხვერპლი, რის

გამოც XVIII ს-ში ახალი ნაგებობები მთის ფერდობის გაცილებით ზედა ნაწილში მოუთავსებიათ.

ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ქსნის ერისთავები პირველად თავიანთ თავს „ქუენიფნეველებს“ უწოდებდნენ და რეზიდენცია ქვენიფენეში ჰქონიათ (ეს ნასახლარი ლარგვისის სამხრეთით ორიოდე კილომეტრზეა). გვიან, როდესაც საერისთავო გაძლიერდა და მისი ტერიტორია გაფართოვდა, რეზიდენციად მთებში გამომწყვდეული ქვენიფენევი აღარ გამოდგებოდა; ამიტომ ახალ ცენტრად უფრო გაშლილ ადგილას მდებარე ახალგორი (შემდეგში ერთხანს ლენინგორი) აირჩიეს.

ერისთავების საგვარეულო სამარხი პირველ პერიოდში - ლარგვისში ყოფილა, მეორე პერიოდში კი - იკორთაში. მიუხედავად ამისა, ერისთავებს მამა-პაპათა საძვლე უპატრონოდ არ დაუგდიათ და მისდამი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. ლარგვისი ყოველთვის წარმოადგენდა ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის ცენტრს. აქ თავს იყრიდა: ჭურთის, ქარჩოხ-ჟამურის, ცხრაძმის ხეობებიდან და უშალოდ ქვემოდან, ქსანზე მომავალი გზა, ეტყობა ამ ადგილის მნიშვნელობას სწორედ მისი ასეთი სტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავდა. გარდა ამისა, ახალგორის ზემოთ აღნიშნულ ხეობებში არსად საცხოვრებლად გამოსადეგი ასეთი ვაკე ადგილი არ არის. ამ ადგილას ყოფილა არა მარტო მონასტერი, არამედ ციხესიმაგრეებიც, სავარაუდოა, რომ მონასტერთან მდიდარი წიგნსაცავიც არსებობდა. დროთა ვითარებაში ყველა ეს ნაგებობა დანგრეულია და დღემდე მხოლოდ საერისთავოს არსებობის უკანასკნელი პერიოდის ნაგებობებია ნაწილობრივ მოღწეული.

ლარგვისის „მონასტერსაც“ უწოდებდნენ. აქ არსებული ნაგებობათა წარმოშობის შესახებ ცნობას გვანჯდის „ძეგლი ერისთავთა“-ს ავტორი (ეს ძეგლი დაწერილია თვით ლარგვისის მონასტერში - ავგაროზ ბანდაისძის მიერ). ამ ცნობის მიხედვით, VI ს-ის შუა ხანებში იუსტინიანე კეისარს ვინმე როსტომისათვის საგვარეულო სამარხად ლარგვისი მიუჩინია. ამის დადასტურება სხვა ისტორიული წყაროებით არ ხერხდება. იმავე ავტორთან მონასტრის ისტორიას უფრო დაწვრილებით ვიგებთ XIV საუკუნიდან.

მაგალითად, შალვა ერისთავს ცოლად მოუყვანია ოსთა მეფის ასული, მას ბევრი რამ შეუწირავს მონასტრისთვის. ამ ხანაში ქართული კულტურის ერთ-ერთ საგულისხმო ცენტრად გვევლინება ლარგვისი, სადაც კულტურის მოღვაწეები იკრიბებოდნენ და მნიგნობრულ საქმიანობას ეწეოდნენ.

შალვას მემკვიდრის - ლარგველის დროს ქსანი ისე ადიდებულა, რომ ეკლესიის გალავანი წაუღია და მშვენიერი სამრეკლოც დაუნგრევია.

სამონასტრო ნაგებობები ასეთ დღეში დიდხანს არ დარჩენილა. იგი აღუდგენია ქვენიფენველს, ზემოხსენებული ლარგველის შვილიშვილს, კერძოდ, მას აუგია ზღუდე და სამრეკლო.

ამ ძველ და ახალ ნაგებობებს დიდხანს ვერ გაუძლია. ისინი ისევ წაუღეკავს ადიდებულ მდინარეს.

საერისთავოს ცენტრს ვერ მიატოვებდნენ. ერისთავიანესთურმე იმავე კვირას დაუნყია მშენებლობა. ეკლესიისათვის ადგილი შეუცვლიათ, აუგიათ სამრეკლო და დაუნყიათ ეკლესიის მოხატვა. ამგვარად, ერისთავებს XIV ს-ში ორჯერ აუგიათ სამონასტრო შენობები. მდინარის ტალღებზე უფრო დამლუპველი გამოდგა თემურ-ლენგის შემოსევები.

თემურის 1400 წლის შემოსევაზე სასონარკვეთით ყვება ვინმე ლარგველი გრიგოლ შინდას ძე ავგაროზიშვილი. იგი წერს: „მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი და მოვლეს ყოველი ქვეყანა და წარტყვენეს და დააქცივენეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი, აღიხუნეს ყოველნი ციხენი და გამოასხეს, ტყვე ჰყვეს და მოაოხრეს ყოველნი ქვეყანა დასავლეთამდის. მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და ვსტიროდი თავსა ჩემსა“ (ზაქარაია პ.-ს საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები“. - თბ., 1988. - გვ. 121). მდეგ, როდესაც სიმშვიდე ჩამოვარდნილა, ავგაროზისშვილს ბევრი რამ გაუკეთებია: მოუხატავს ეკლესია, აუგია მარანი, სახლი, ბეღელი, სამრეკლო და სხვა.

მომდევნო პერიოდის (1470 წლამდე) ამბები უცნობია. ეტყობა, მთელი ეს ანსამბლი ძლიერ დაზიანებულა, რადგან აქ დიდი მუშაობა ჩაუტარებია შალვა ერისთავს. მას აუგია და მოუხატვინებია კიდევაც ნათლისმცემლის ეკლესია, შემოუწვლია ზღუდე, აუგია სატრაპეზო, ჩარდახი, მარანი, ზღუდის კარს ზემოთ

სამრეკლო დაუდგამს, კოშკის კარი მოუჭედია ხატებით, შეუმკია მონასტერი და სხვ. ამის შემდეგ ორნახევარი საუკუნის განმავლობაში მონასტერში მომხდარი ცვლილებების შესახებ არაფერი ვიცით. ამ ხნის განმავლობაში ლარგვისში რალაც მიზეზებით ძველი ნაგებობები დანგრეულა. 1759 წ. აქ დავით ერისთავს დიდი გუმბათოვანი კედელი აუგია.

ამჟამად ლარგვისში შემორჩენილია კოშკებიანი დიდი ციხე-გალავნის ნანგრევები და XVIII ს-ში აგებული ერთი ეკლესია, რომელიც ამჟამადაც ფუნქციონირებს.

კოშკებიან ციხე-გალავნის აშენების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არაა ცნობილი. ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს: „აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თვისად“ (ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. - თბ., 1988, - გვ. 121). ამგვარად, ვიგებთ, რომ ციხე აუგია ქსნის ძლიერ ერისთავს - შანშეს. ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო 1721-1741 წწ.

ლარგვისის ანსამბლი მოიცავს კოშკებიან ციხე-გალავანს, საცხოვრებელ ნაგებობებს. გუმბათოვან ეკლესიას და ცალკე მდგარ კოშკს. ამათგან ყველაზე უკეთაა შემონახული გუმბათოვანი ტაძარი. ყველაზე ცუდად - ცალკე მდგარი კოშკი.

ციხე მაღალი მთის ფერდობზეა აგებული. იგი ძირითადად ორი ეზოსგან შედგება. პირველი - სამხრეთით მდებარე ეზო, თითქმის ოთხჯერ აღემატება მეორეს. აქვეა ჭიშკრიანი კოშკი, ეკლესია და საცხოვრებელი სახლების ნანგრევები.

ციხეს ორი შესასვლელი ჰქონია: სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამათგან ერთი მთავარია, მეორე დამხმარე. ციხე გეგმით უნესო მრავალგვერდაა, რაც მთის რელიეფითაა გამოწვეული. კედლები სხვადასხვა სიმაღლისა ყოფილა. გალავნის კუთხეებს კოშკები ამაგრებდა, ხოლო თვის კედლებს - ბურჯები. კოშკებიდან შედარებით მნიშვნელოვანია გალავნის ჩრდილო-დასავლური კუთხე. სიმაღლისა და სიდიდის მხრივ მას მოსდევს სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკები მომცროა.

ჭიშკართან კოშკს კვადრატული გეგმა აქვს. მის ქვედა სართულში კამაროვანი გასასვლელია. ზედა სართულში დახურული

სათავსი ყოფილა კედლებში დატანებული სათოფეებით, შესაძლოა ზემოთ სამრეკლოს ფანჩატურიც მდგარიყო. ციხის ამ მთავარი შესასვლელის დაცვას ემსახურებოდა გალავნის გარეთ ქსნისა და არაგვის შეერთების ადგილზე მდგარი კოშკი, რომელიც, ვფიქრობთ, სადარაჯოდაციქნებოდა განკუთვნილი.

ციხის სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკებიდან მხოლოდ პირველის კვალი ჩანს, მეორე - ორი-სამი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ორივე კოშკი ნახევარწრედაა გალავანზე მიდგმული და მცირე ზომისაა.

გალავნის ბურჯები ორიგინალურადაა გადანყვეტილი, ისინი ნახევარწრედაა მიდგმული და რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე იწყება. შიგნით მცირე სათავსოა, სადაც დაცვის დროს ერთი-ორი მეტრძოლი თუ ჩადგებოდა მხოლოდ.

ციხის დასავლეთ კედელი სხვებზე გაცილებით მაღალი და განიერია. ქვედა იარუსი ყრუა.

ლარგვისის ციხის ყველაზე რთულსა და ორიგინალურ ნაგებობას ციტადელის კოშკი წარმოადგენს. მისგან მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი. შესასვლელი ეზოდანაა ოთხი მეტრის სიმაღლეზე. გარედან კოშკი კვადრატულია, შიგნით კი გეგმაში ჯვარი იქმნება. კუთხეებში სხვადასხვა სადგომებია. ერთ-ერთ მათგანში კიბის უჯრედია მოთავსებული. სამხრეთ-დასავლეთის კუთხის მეორე სართულის ოთახს ქვის მასალის გვირგვინული გადახურვა აქვს, რაც იშვიათია ქვის ნაგებობებში. კოშკი უხვადაა აღჭურვილი სარკმლებით, სათოფეებით, ბუხრებითა და ნიშებით. იგი კარგად დაგეგმარებული კოშკური სახლის იშვიათი ნიმუშია.

ციტადელი გამოყოფილია ქვედა ეზოსგან. ასეთ გადანყვეტას თითქმის ყოველთვის ვხვდებით დიდ ციხეებში. იგი განკუთვნილი იყო ციხე-სიმაგრის უფროსის ან მხარის მფლობელისათვის.

ეკლესიებსა და მონასტრებს, ჩვეულებრივ, გალავანი ერტყა ხოლმე. იგი, უპირველეს ყოვლისა, მონასტრის დაცვას ემსახურებოდა. მაგრამ მტრის შემოსევის დროს მას იყენებდა როგორც ადგილობრივი მფლობელი, ისე მეფე.



ციტადელი ქვედა ეზოსგან გამოყოფილია მაღალი გალავნით, შემაერთებული კარი შემკულია ორნამენტებით, რაც, ჩვენი აზრით. მიუთითებს იმაზე, რომ ციტადელი მაღალი ფენის წარმომადგენლებისთვის ყოფილა განკუთვნილი.

ლარგვისის მონასტრის ტაძარი გუმბათოვანია: გვერდში გრძელ ოთხკუთხედს ქმნის, კარი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. შიდა დაბალი სივრცე კარგადაა განათებული ქვედა კედლებში გაჭრილი სარკმლებითა და გუმბათის ათი სარკმლით. სარკმლების ფორმა ორიგინალურია - ზემოდან და ქვემოდან ისინი ერთნაირადაა მომრგვალებული. ამგვარი ფორმა სხვაგან არსად არ გვხვდება, ეტყობა, ასეთი გადაწყვეტა ლარგვისის ოსტატის გამოვლენილია.

საკურთხევლის გვერდით, სათავსების ზემოთ მოწყობილია სამალავები, რომელთაც ტალანი აერთებს, სათავსების კედლებში სათოფურებია.

აქ უკვე ნამდვილი ეპოქა ჩანს - შიშიანობის გამო XVIII ს-ის შუა ხანებში ეკლესიებიც კი სიმაგრეებად უქცევიათ.

ეკლესიის ფასადები ნაკლებად დამუშავებული ქვითაა მოპირკეთებული, ხოლო კარ-ფანჯრების გვერდები და შენობის კუთხეები - თლილი ქვით. თლილ ქვებზე კარ-ფანჯრების მოსართავად ჩუქურთმები და რელიეფები

ამოჭრილი, რომელთაც ეპოქის დალი აზის. ამ დროს არქიტექტურა დაცემის გზას ადგია. ოსტატი ჩუქურთმას კვეთს, მაგრამ ეტყობა, წესიერად არც კი იცის, რა მოტივს ქმნის.

შუა საუკუნეებში ლარგვისის მონასტერი სახელგანთქმული ყოფილა. იგი საგანძურთა ერთ-ერთ სამალავს წარმოადგენდა ცენტრალური ქართლისთვის, რადგან აქ მოსვლა არა თუ მტერს, მოყვარესაც უძნელდებოდა.

მონასტერმა და მასთან ერთად სიმაგრეც თავისი მნიშვნელობა დაკარგა 1777 წ. ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ. მომდევნო ხანაში კი იგი მხოლოდ რიგითი მონასტერი ყოფილა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტ. III, 1779, -- თბ., 1972, - გვ. 717.
- 2) საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტ. IV, 1973. - გვ. 360.
- 3) ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. - თბ., 1988. - გვ. 120.
- 4) ღუნაშვილი ვ. ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან. თბ., - 1997. - გვ. 112.
- 5) გვრიტიშვილი დ. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან თბ., 1955. - გვ. 56, 58, 59, 77, 153, 251. - „ლარგვისის მონასტერი“.
- 6) სურგულაძე აკ. ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები. - თბ., 1989, - გვ. 254.

ტერმინოლოგიური ძიება

ბადრი ცხადაძე

ნიგნოსოლოგიით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: ბლარჯვა

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, საერთოდ, ძველ ქართულ ენაში ბლარჯავს, ბლარჯვა ზმნის პირიანი და უპირო ფორმები არ დასტურდება. ამ სიტყვაფორმებს არ იცნობს ი. აბულაძის (1), სარჯველაძის (2) ძველი ქართული ენის ლექსიკონები. აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის (3), ნ. და დ. ჩუბინაშვილების (4), (5) და სხვათა ლექსიკონები.

თუ ძველ ქართულში არა, ე.წ. აღორძინების ხანის შემდგომ მაინც ბლარჯავს -

ბლარჯვა ზმნური ფორმები ენაში რომ უნდა არსებულებოდა, ამაზე მიგვანიშნებს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში დამოწმებული ბლარჯვიან სიტყვა, რაც ლექსიკოგრაფის მიერ „ბანჯგვლიანად“ (волосатый) სიტყვებითაა განმარტებული (5).

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, საქართველოში, კულტურული დაქვეითების ხანაში, ჩვენი ცხოვრების მტკივნეული ნაკლი ყოფილა ნიგნის განზრახ,

ბოროტად „გამოყენება“. წიგნების უდიერად მოპყრობა, ფურცლების ამოხევა, განათხოვრება, როცა წამლებს ნათხოვარი წიგნის უკან დაბრუნება აღარ უნდოდა (6, 82-83). მისივე თქმით: „წიგნს, მეტადრე კარგსა და მხატვრულად შესრულებულს, მტერიც ბევრი ჰყავდა: ზოგს სხვის მშვენიერსა თუ საგულისხმო შინაარსის საკითხავ წიგნზე ეჭირათვალი, ზოგმა წიგნის გაფრთხილება არ იცოდა და კითხვის დროს აფუჭებდა ან საინტერესო ნაწილის ამოგლეჯით თავისთვის შესანარჩუნებლად, ან, შინაარსით აღტაცებული თუ სხვა გრძნობით ამოძრავებული, თავის აზრსა და სურვილს იქვე ტექსტის გვერდით მიაწერდა ხოლმე“ (6,82). სწორედ ამ მავნე ჩვევებით განაწყენებული მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი 1779 წლის ერთ-ერთი წიგნის ანდერძში გმობს ამგვარ წიგნის წამკითხველებს, რომლებიც არას დაგიდევინ და წიგნის ფურცლებს ამახინჯებენ თავიანთი მინაწერით. ასეთ დაუდევარ მინაწერს გვერდზე - არშიაზე ის ბლარჯვას უწოდებს. აი ეს ადგილიც:

„წყეული იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით წაილოს და ამის პატრონს დაავინყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეული იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და უბრალოთ არშიაზე ბლარჯვა დაუწყოს და ან ფინთად და უნაღვლეულად და ნისიათ იხმაროს“ (7, 553).

სამწუხაროდ, ეს მავნე ჩვევები, წიგნის უდიერი გამოყენება, არც ახლაც ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო (იხ. 8, 24-27).

აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ წიგნის გვერდებზე, მით უფრო ნათხოვარ წიგნზე, აღნიშვნების მოთავსება, ჩაკეცვა ფურცლებისა, მეტიც: არშიაზე, ტექსტის კიდურზე მელნით მიწერა-შენიშვნა ადრეც ხდებოდა, რასაც ბლარჯვა ეწოდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ბლარჯვა (ბლარჯავს,

მბარჯღველი) წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინია და არა მხოლოდ ჩვეულებრივი ზმნა. ბლარჯვა, როგორც ცნება, ამსახველია წიგნებზე ცუდად ან ცუდი ხელით მიწერისა. ამრიგად, ცუდად წერა, უდიერად წიგნზე მიწერა ბლარჯვაა., ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელ ქართულ ენაში ცუდი (ცუდად) წერის გამომხატველი ცნება-ტერმინები: „ჯლაბავს, ჯლაბნის, ჩხაპავს, ჩხაპნის, დლაბნის, თხაპნის, ტიტყნის, თითხნის, დიდდნის, რომლის ვარიაციული ფორმები ქართული ენის დიალექტებში ახლაც არაერთია.

ბლარჯვა, ისე როგორც დლაბნა, ჩხაპნა, ჯლაბვა... ბგერითი სიმბოლიკის გზით წარმოქმნილი ცუდად წერის, ცუდი კალიგრაფიის აღმნიშვნელი ტერმინებია.

მითითებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). - თბ., 1973.

2. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). - თბ., 1995.

3. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული // თხზულებანი: ტ. IV, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი, აბულაძემ X - თბ., 1965.


4. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ /აღლ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. - თბ., 1961.

5. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით; / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. - თბ., 1984.

6. ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია: მეათე გამოცემა. - თბ., 1949.

7. თაყაიშვილი ე. OIC

8. ცხადაძე ბ., წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: (1 არშია. 2. კიდე, კიდური) // საქართველოს ბიბლიოთეკა. -2003. - № 3.



ლიტერატურა და ცხოვრება

გურამ შენგელია

პროფესორი

ავტორიტარული რეჟიმი და კონსტანტინე გამსახურდია [XX ს. 20-იანი წლები]



მიმდინარე წელს პროფ. გურამ შენგელიას 75 წელი შეუსრულდა. დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის კათედრაზე. გამოირჩეოდა ღრმა და საინტერესო ლექციებით. მისი გამოკვლევები ყოველთვის ატარებდა ორიგინალობისა და სიახლის ელემენტებს. ახასიათებდა სტუდენტებთან ყურადღებიანი, კეთილშობილური და მაღალკულტურული დამოკიდებულება. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტების აღზრდა-განათლების საქმეში. ის ითვლებოდა ისტორიისა და კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევარად.

ჩვენს ჟურნალში გურამ შენგელიას ადრე გამოქვეყნებულმა სტატიამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამჟამად ვბეჭდავთ

მის გამოკვლევას, რომელიც საყურადღებო ისტორიულ-ფილოლოგიურ და ბიოგრაფიულ საკითხს ეხება. სხვათა შორის, გ. შენგელია ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მკითხველიც იყო.

სამწუხაროდ, ვიდრე ჟურნალი გამოვიდოდა, გ. შენგელია მოულოდნელად გარდაიცვალა. ამგვარად, მისთვის მილოცვის ნაცვლად, იძულებული ვართ, სამძიმარი გამოვთქვათ და ღრმა გულისტკივილი გამოვხატოთ.

რედაქცია

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებამ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დიდოსტატის კონსტანტინეს შემოქმედება, ეს ახალი, მაღალი ეტაპია მრავალსაუკუნოვან და მდიდარი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“¹. ნარ-ეკლიანი იყო მწერლის მიერ განვლილი გზა. ჭეშმარიტი პატრიოტი და უზადო მამულიშვილი რაინდული შემართებით ემსახურებოდა მშობლიურ ერს და მიუხედავად ავტორიტარული რეჟიმის უხეში ზეწოლისა, უკომპრომისოდ

ებრძოდა ბოლშევიკების ანტიეროვნულ პოლიტიკას, რომლის მიზნად მოიაზრებოდა ეროვნული კუთვნილების, ფასეულობებისა და ღირებულებების ჩანაცვლება ე.წ. „ახალი ისტორიული ერთობით - საბჭოთა ხალხით“, რაც საბოლოოდ ერის გადაგვარება-გადაჯიშებას ნიშნავდა. მწერალი, ისევე როგორც ევროპის უნივერსიტეტებში განსწავლული თაობა XX საუკუნის ქართული მწერლობისა, დაადგა იმ გზას, რომელიც დაფუძნებული იყო ქართული კულტურის უძველეს ფესვებზე და მეოცე საუკუნის ზოგადსაკაცობრიო აზრის განვი-

1 შუშანია ე. კონსტანტინე გამსახურდია. - თბ., 1998. - გვ. 10.

თარებაზე. ბატონი კონსტანტინე ვითარცა მამაცი წინამბრძოლი - „უშიში ყოვლითურთ ვითარცა უხორცო“ („ქართლის ცხოვრება“) შეუპოვრად ებრძოდა ყველას, ვინც ცდილობდა ქართველთა ეროვნული ცნობიერების „ამოშანთვას“, ჩვენი ტრადიციებისა და ეროვნული ღირსების შებლაღვას. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი როგორც გმირი მეციხოვნე, ფხიზლად გუშაგობდა სიმაგრეს, რომელსაც საქართველო ერქვა. ბუნებრივია, მწერლის მტკიცედ და შეურყევლად დგომა ეროვნულ ნიადაგზე, მისი პატრიოტული მოღვაწეობა არ მოდიოდა უნისონში ანტიეროვნულ საბჭოურ იდეოლოგიასთან, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბატონი კონსტანტინეს პიროვნება მიუღებელი იყო; მწერალზე მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა. ანექსირებული ქვეყანა განუკითხაობამ და ტერორმა მოიცვა. საინტერესოდ აღწერა „ნითლების“ შემოსვლა მწერალმა ნიკოლო მინიშვილმა. საქართველოში 1921 წლის მარტში შექმნილი ვითარების შესახებ იგი წერდა: „დაიწყო ეს ამბავი ამგვარად: იყო მარტი, 1921 წელი ქალაქ ბათომში. ამ დღეს ბათომი გასხვანაირდა. ესე იგი ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა (მენშევიკები), ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი), ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვადასხვა მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა შემდეგი დღე (მეორე დღე) - ქალაქში დაჯდა რევკომი ანუ: ქალაქი ბათომი დაიკავეს ბოლშევიკებმა. მოვიდნენ ბოლშევიკები, მათ დარჩათ ტფილისი, მათ დარჩათ ქუთაისი და მრავალი ხალხი, რომელიც მოაწყდა ბათომს (ლტოლვილები) გრძნობდა: დარჩებოდა ბოლშევიკებს ქალაქი ბათომიც“²

გერმანიაში სწავლის გაგრძელებამ განაპირობა კონსტანტინე გამსახურდიას პროდასავლური ორიენტაცია. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა გერმანიაში და სწავლა განაგრძო ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დაასრულა ამ

2 მინიშვილი ნ. თებერვალი. - თბ., 2006. - გვ. 15.

უკანასკნელის ფილოსოფიის ფაკულტეტი და ამავე წელს დაბრუნდა საქართველოში. აქვე საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ დასავლური ორიენტაციის მწერლის შემოქმედებაში მკაფიოაა გამოკვეთილი ეროვნული სულისკვეთება, თავისი პროდასავლური ორიენტაციის შესახებ იგი წერდა: „მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგი ვიყავი. თუმცა სხვებმა აილო ჩემზე ადრე ასეთი გეზი, მაგრამ ჩემსავით მიმდევარი არავინყოფილა“⁴. ავტორიტარული რეჟიმის გაუსაძლის პირობებში ქართველი მამულიშვილები განაგრძობდნენ ეროვნულ მოღვაწეობას. ამიერიდან კულტურის ფრონტზე გააქტიურება ხდება ეროვნული ძალების ბრძოლის დედააზრი. სავსებით მართებულად აღნიშნავდა ბატონი კონსტანტინე: „ჩვენ ვიცით მაგალითებიდან, რომ როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს... ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“⁵. ახლებურად შენიღბული ბოლშევიკური მთავრობა განუხრელად განაგრძობდა ეროვნული ფასეულობების ამოძირკვისათვის ბრძოლას. ქართველი ინტელიგენცია კარგად აცნობიერებდა, რომ როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „... უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა - და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“⁶

ბოლშევიკური ხელისუფლება არ „თვლემდა“ და ოპერატიულად აგროვებდა მაკომპრომატირებელ მასალებს მწერლის „სამშობლოს ღალატში“ დასადანაშაულებლად. როგორც ოფიციალურ საბუთებშია მითითებული, მას ბრალად წაუყენეს გერმანიის კონსულთან და გერმანიის გენერალურ შტაბთან მჭიდრო ურთიერთობა. მას მიესაჯა ათი წლით სოლოვკაში

3 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 2. - თბ., 1977. - გვ. 666.

4 ჭილაია ს. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. - თბ., 1953. - გვ. 15.

5 იქვე.

6 ილია ჭავჭავაძე: აზრები. - თბ., 1988. - გვ. 68.

გადასახლება. მწერლის დედამ თხოვნით მიმართა მამია ორახელაშვილს, რათა მისი ავადმყოფი შვილისთვის დაერთოთ ნება სასჯელის მოხდისა საქართველოში, სამხრეთ რუსეთში ან უკრაინაში. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (სუიცსა) დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას დედის ნატალია გამსახურდიას თხოვნა მამია ორახელაშვილის სახელზე. მამია ორახელაშვილი სხვადასხვა დროს იყო ამიერკავკასიის სამხარეო კომისიის მდივანი, ამიერკავკასიის ფედერაციის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი და ა.შ. აი, ეს თხოვნაც:

„დიდად პატივცემულო მამია

ნატალია სვიმონის ასულ გამსახურდიას თხოვნა

მომიტევეთ, რომ სახელმწიფო საქმეებით უზომოდ დატვირთულ ადამიანს ამ ჩემი თხოვნით განუხებთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს და იმედია მოუსმენთ შვილის უბედურებით დატანჯულ დედას. პირადად მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ იმდენად დაუძღურებული მოხუცი ვარ, რომ ამის შესაძლებლობაც არა მაქვს. შეიძლება მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი კონსტანტინე გამსახურდია უკვე ერთნელინადზე მეტია დაპატიმრებულია. ამჟამად იმყოფება სოლოვკაში - ავადმყოფი, დასუსტებული. ის ავად იყო აქ ყოფნის დროსაც, ხოლო სოლოვკის მხარის ჰაერი ეს ხომ მისთვის პირდაპირი დაღუპვაა, სიკვდილის დასჯას უდრის და აი, მოგმართავთ თქვენ, როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მისი მდგომარეობის შემსუბუქება, სიკვდილის ხელიდან გამოტაცება, უბედური დედისთვის დაბრუნება, გარწმუნებთ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სრული გაუგებრობაა. თუ მას მართლაც დაუშავებია რამე, თავისი ახალგაზრდობით. მან თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა თავისი ტანჯვითა და სასჯელით. ის, მოგეხსენებათ მწერალია, კულტურული ძალა, რომელიც ყოველთვის შესძლებს თავისი მუშაობით სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და თუ ცოდვა რამ

მიუძღვის ხალხისა და მთავრობის წინაშე - ამ მუშაობით გამოისყიდის, მაშ დაუბრუნეთ უბედურ დედას მისი საყვარელი ძე, ქვეყანას - კულტურული მოღვაწე, შეუხედეთ, თუ რამ დააშავა, მიეცით საშუალება, ემსახუროს ხალხს, თუ შეუძლებლათ ჩათვლით მის საქართველოში დაბრუნებას, მიანიჭეთ უფლება სამხრეთ რუსეთში ან უკრაინაში ცხოვრებისა, რაიც ყოველს შემთხვევაში, მისი სიცოცხლისათვის არ წარმოადგენს საფრთხეს. ნუ გამიცრუებთ უკანასკნელ იმედს, პატივცემულო მამია, შეიბრალებთ საბრალო მოხუცი დედა, გვევდრებით, ნუ დააყოვნებთ ჩემის თხოვნის შესრულებას, თითოეულ დღეს შეუძლიან აღმაც დაატრიალოს, ნალმაც მისი შესუსტებული ჯანმრთელობის საქმე.

1927 წ. მარტი 31“

ქ. ტფილისი“.7 თხოვნაში ხელმოწერილი გვარი გამსახურდია კარგად იკითხება, ხოლო სახელი მოხუცის გაკრული ხელითაა დანერული და ძნელად გასარჩევია. ჩემი დაკვირვებით, დოკუმენტში ხელმოწერილი დედის სახელი „გავშიფრე“ როგორც „ელისაბედი“. სინამდვილეში ბატონ კონსტანტინეს დედას მართლაც ელისაბედი ერქვა (იხ. ე. შუშანია, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1998, გვ., 15). ბატონ კონსტანტინეს ძმისწულის, ჩემი მეგობრის - ან გარდაცვლილი პროფესორის სვიმონ გამსახურდიას მეუღლის, ქ-ნ მანანა კობახიძე-გამსახურდიას დახმარებით მწერლის ახლობლებმაც დამიდასტურეს, რომ ელისაბედი მწერლის დედის სახელია. ჩვენი აზრით, „თხოვნაში“ მითითებული სახელი ნატალია შესაძლოა ქ-ნ ელისაბედის მეორე სახელია. ეს გარემოება არ უნდა ინვევდეს რაიმე სერიოზულ გაუგებრობას, რადგანაც ორი სახელის მქონე პირების არსებობა რეალობაა, რაც ოფიციალურ დოკუმენტებშიც ჰპოვებს ხოლმე ასახვას. სამწუხაროდ, შვილის ხილვას დედა ვერ მოესწრო, დიდი მწუხარება დედის გარდაცვალების გამო ბატონმა კონსტანტინემ გამოხატა მისდამი მიძღვნილ „რეკვიემში“:

„მეცა მყავდა დედა, ის წავიდა, მარტო დამტოვა,

7 სუიცსა ფონდი 284., ანან. 3, საქ. 175, ფურც. 3-4.

ვის მივაკითხო? აღარ არის ამ სააქაოს, მახსოვს აქ იყო, ისიც ვიცი, რომ აღარ მოვა

ვის მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს, თუ მრუმე ქაოსს?“⁸

გატანჯული დედის „თხოვნას“ ადევს მამია ორახელაშვილისა და ფილიპე მახარაძის შემდეგი რეზოლუციები: „საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარეს ამხ., ფ. მახარაძეს. მ. ორახელაშვილი“. „საიდუმლოდ საქ. პოლიტსამმართველოს. ჩემის აზრით შეიძლება დაისვას საკითხი გამსახურდიას საქმის გადასინჯვის შესახებ. ფ. მახარაძე. 21, V. 27 წ.“

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობამ კონსტანტინე გამსახურდიას დედის თხოვნა 1927 წლის 23 მაისს გადაუგზავნა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს. გთავაზობთ ამ დოკუმენტს.

„საიდუმლოა, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს.

ცაკ-ის საქმეთა მმართველობა გიგზავნით ამასთანავე მოქ. ნატალია გამსახურდიას განცხადებას, მისი პოლიტგადასახლებული შვილის კონსტანტინე გამსახურდიას განთავისუფლების შესახებ, ამხ. ფ. მახარაძის რეზოლუციით: „ჩემის აზრით შეიძლება დაისვას საკითხი გამსახურდიას საქმის გადასინჯვის შესახებ“. საქმეთა მმართველი ა. მენაბდე“⁹. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ 1927 წლის 15 ივნისს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აცნობა შემდეგი: „სრულიად საიდუმლოდ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს. გებრუნებათ რა ამასთანავე განცხადება მოქ. ნატალია გამსახურდიას მისი შვილის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმართველო გაცნობებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ბრალი ედებოდა შემდეგში: მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის კონსულთან წინათ კი

გერმანიის გენ. შტაბთან. ბრალდება დამტკიცებული არის, როგორც მოწმეების ჩვენებით ისე მისი დასტურით და გაერთიანებული სახ. პოლიტსამმართველოს სხდომით 28/6-26 წ. მიესაჯა გადასახლება კონც. ბანაკში ათი წლის ვადით. იღებს რა მხედველობაში ზემოთ ხსენებულის გადასახლებულის დანაშაულობის ხასიათს საქ. სახ. პოლისამმართველო თავის მხრივ მოქ. ნატალია გამსახურდიას განცხადებაზე უარს ამბობს. დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარე (ბერია) აღრიცხვა-რეგისტრაციის სტატისტიკის განყოფილების უფროსი

დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: (ი. ბეჟანოვი)¹⁰ „საქმეში“. 30.VII. იგულისხმება 1927 წელი.

საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ დოკუმენტში გარკვევით იკითხება ი. ბეჟანოვის ხელმოწერა. რაც შეეხება ბერიას ხელმოწერას, სამწუხაროდ, მისი ამოკითხვა ვერ შევძელით.

შემოთავაზებული საარქივო დოკუმენტები მკაფიოდ წარმოაჩენენ დიდი მწერლისა და მოაზროვნის დაუცხრომელ საქმიანობას სამშობლოს „წითელი ურჩხულის“ ტყვეობიდან გამოსახსნელად, მის უკომპრომისო ბრძოლას ბოლშევიკური ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ავტორიტარული რეჟიმის განუკითხაობისა და სისხლიანი ტერორის პირობებში. ამიტომაც, ჩვენი აზრით, მოტანილ საარქივო საბუთებს ინტერესით გაეცნობა ქართველი საზოგადოებრიობა.

⁸ შუშანი ე. კონსტანტინე გამსახურდია. – თბ., 1998. – გვ. 19.

⁹ სუიცსა, ფონდ. 284, ანაწ. 3, საქ. 175, ფურც. 1.

¹⁰ იქვე. ფურც. 2.

ირინე აბესაძე, ირინა სარუხანოვა

ამირანის მითოლოგია XX ს-ის ათიანი წლების ქართულ სახელოვნებო სივრცეში

XX საუკუნის დასაწყისში ქართული შემოქმედებითი სივრცე არამდგრადი, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ღირებულებებითაა საჩინო, რაც განპირობებული იყო ქართული საზოგადოების განვითარების გარკვეული ანატრონიზმით. ეს პერიოდი პოლიტიკური აქტივობის და იდეოლოგიური სიჭრელით ხასიათდება. სწორედ ამიტომ გაისმა მძლავრად არჩილ ჯორჯაძის მოწოდება „საერთო მოქმედების ნიადაგის“ შემუშავების შესახებ (1). ამგვარ გამაერთიანებელ ფაქტორად კი, ერის მამებს კულტურა მიაჩნდათ, რადგან თვლიდნენ, რომ ერის კონსოლიდირება, პოლიტიკური ორიენტაციების სხვაობათა მიუხედავად, მხოლოდ ერთიან, ეროვნულ კულტურულ ფასეულობებს შეეძლო. ამ პერიოდის ქართულ კულტურულ სივრცეში, ხშირად იმართებოდა დინჯი სჯა-ბაასი თუ ცხარე პოლემიკა ერისათვის ამა თუ იმ საჭირობო საკითხზე. ქართული პერიოდული პრესაც ამ პოლემიკურ შერკინებას ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და შემოქმედ ახალგაზრდობას შორის დიდ ადგილს უთმობდა. არჩილ ჯორჯაძე თუ ვარლამ ჩერქეზიშვილი, კიტა აბაშიძე თუ ივანე გომართელი, პავლე ინგოროყვა თუ გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია თუ გერონტი ქიქოძე და სხვები ცდილობდნენ თანამედროვე ორიენტირების განსაზღვრასა და ქართული ერის მაიდეტიფიცირებელი მარკერების დადგენას. ხშირად მათ პოვნას არქაიზირებულ მითოსულ სახე-ხატებში ცდილობდნენ.

ამირანის თემა, ზოგადკავკასიური წინააღმდეგობით, XX ს-ის ათიანი წლებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როგორც ჩანს, ეს მითოლოგია, რომელიც ენათესავება უძველეს ცივილიზაციათა მითოსურ სახეებს: გილგამეშს, აპურა-

მაზდას, რამას და სხვა ღმერთკაცებს, ე.წ. „ავატარებია“ (ძვ. ინდ. ღვთაებათა განსახიზრება დედამიწაზე), რომელთაც ცდილობს იდენტიფიცირებას ესა თუ ის ერი. უნივერსალური და ამავედროულად ზოგადეროვნული, ტრადიციული სახე-ხატი განსაკუთრებულ შემოქმედებით იმპულსს უქმნიდა ხელოვანთ. ამირანის თემა პირველად ეროვნულ მუსიკაში აისახა. კერძოდ, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის შემოქმედებაში. ეს იყო 1907 წელს. ხუთი წლის შემდეგ ამავე თემას მიუძღვნის გრაფიკულ ნაწარმოებთა სერიას მხატვარი შალვა ქიქოძე. ორთავე ხელოვანის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე აღნიშნული თემით დაინტერესებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა. მათ თავის მხრივ, განაპირობებს კოტე ფოცხვერაშვილის შემოქმედებითი ევოლუცია.

ჯერ კიდევ XIX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწეებმა, შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა დიდი როლი ენიჭებოდა მუსიკას ახალგაზრდა თაობის სულის წვრთნისათვის, მისი გაფაქიზება-გაკეთილშობილებისათვის. ქართველ სამოციანელთა ნააზრევში კი, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითგამორკვევის საქმეში, ქართული ენის დაცვასთან ერთად, უპირატესად ხალხური სასიმღერო ტრადიციების, ეროვნული გალობის აღორძინება იყო მიჩნეული. ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის რომ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული უნიკალური მრავალხმიანობის დაცვა-შენახვისათვის ზრუნვას, ეს კარგად იცოდნენ XX ს-ის 80-იან წლების პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა აზრებსა და შეხედულებებს ეროვნული მუსიკის საკითხების ირგვლივ, გამოქვეყნებულს პერიოდული გამოცემების ფურცლებზე, უკვალოდ

არ ჩაუვლია. სწორედ მათ შეუმზადეს ნიადაგი პროფესიული მუსიკალური კადრების: კომპოზიტორების, ლოტბარ-რეგენტების, მუსიკოს-შემსრულებლების გამოჩენას სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ პერიოდის ქართველ მუსიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილ იუკავია კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე ფოცხვერაშვილს.

კოტე ფოცხვერაშვილის არქივის დოკუმენტებიდან, რომლებიც დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში, ირკვევა, რომ კოტე ფოცხვერაშვილი დაიბადა 1880 წლის 12 სექტემბერს სოფელ სვირში, მღვდლის ოჯახში. დედა - ივლიტა მჭედლიძე მღვდლის ოჯახიდან იყო წარმოშობით. კოტეს მშობლები თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულნი იყვნენ. კარგად იცნობდნენ ძველ ქართულ ლიტერატურას, ხალხურ სიმღერებს და საეკლესიო გალობას, ქალბატონი ივლიტა განთქმული იყო სასიამოვნო ხმით და ჩონგურზე დაკვრით.

დანეებითი, ზოგადი და მუსიკალური განათლება კოტემ მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1894 წ. შემდეგ კი, სწავლა სემინარიაში გააგრძელა. მისი პირველი მასწავლებელი მუსიკაში იყო კორნელი მალრაძე, რომელიც სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში საეკლესიო გალობას, მუსიკის ელემენტარულ თეორიას და ჰარმონიის საფუძვლებს ასწავლიდა, კ. მალრაძის რეკომენდაციით, კოტეს ჯერ სასწავლებლის, ხოლო შემდეგ კი სემინარიის გუნდის ხელმძღვანელობა დაევალა. ამ დროისათვის თვით კ. მალრაძე ე.წ. სობოროს გუნდს ედგა სათავეში. მასწავლებელი და ნიჭიერი მოსწავლე, საოცრად შეყვარებულნი ქართულ მუსიკაზე, ყველანაირად უნევენდნენ მას პროპაგანდას. კოტე ფოცხვერაშვილი კორნელი მალრაძის ოჯახში, როგორც საკუთარი შვილი, ისე იყო მიღებული. ამიტომ კეთილშობილი პიროვნება, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქუთაისის მუსიკალური კულტურის განვითარებას, ნიჭიერ, ხელმოკლე მოსწავლეს მატერიალურადაც ეხმარებოდა. ფინანსური დახმარება კორნელი მალრაძეს მაშინაც არ შეუწყვეტია, როდესაც კოტე რუსეთში სწავლობდა. სემინარიაში სწავლასთან ერთად, კ. ფოცხვე-

რაშვილი ეუფლებოდა ვიოლინოზე დაკვრას პედაგოგ სალაჩთან.

1901 წ. სემინარიის დასრულების შემდეგ, კ. ფოცხვერაშვილი დერჰტის უნივერსიტეტში შედის, აქ მან მოისმინა ლექციების სრული კურსი სამედიცინო და ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1908 წელს კი კოტე ფოცხვერაშვილი გადადის პეტერბურგში და აბარებს სახელმწიფო გამოცდებს ფიზიკა-მათემატიკის ავტორიტეტულ კომისიას, რის შემდეგაც იღებს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომს.

ცნობილია, რომ 1889 წ. მელიტონ ბალანჩივაძემ პეტერბურგში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისაგან გუნდი ჩამოაყალიბა და დაიწყო კონცერტებით გამოსვლა. მ. ბალანჩივაძის მიერ წამოწყებული საქმე კ. ფოცხვერაშვილმა გააგრძელა. 1902 წლიდან იგი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ქართული მუსიკის კონცერტებს აწყობდა. დერბტი, რიგა, ოდესა, ვარშავა, ვილნო - აი, არასრული ჩამონათვალი იმ ქალაქებისა, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი კონცერტებით გამოდიოდა. ყოველ გამოსვლას წინ უძღოდა ლექცია-განმარტება.

1903 წ. 20 და 21 ოქტომბერს შედგა კონცერტები მშობლიურ ქუთაისში. მათში მონაწილეობდა 87-კაციანი გუნდი, თბილისიდან მოწვეული ორკესტრი და ადგილობრივი მომღერლები. შესრულებული იყო ნაწყვეტები მელიტონ ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“, მისივე რომანსები „ნანა“ და დუეტი „ტყემ მოისხა ფოთოლი“, ია კარგარეთელის „მშვენიერო ხელმწიფავ“, ხალხური სიმღერები „რერო“, „მერცხალი“ დამუშავებული ნ. კლენოვსკის მიერ. ასევე, კ. ფოცხვერაშვილის მიერ დამუშავებული სიმღერები: „ლილე“, „კუჩხი ბედინერი“, „მგზავრული“, „ვახტანგ მეფე“ და ნაწყვეტები ვერდის, გლინკას, ჩაიკოვსკის ოპერებიდან.

ამ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „... სტუდენტმა ფოცხვერაშვილმა, რომელიც დირიჟორობდა გუნდით და ორკესტრით, დაგვარწმუნა, რომ მას აქვს დიდი მუსიკალური ნიჭი... განსაკუთრებით საინტერესო იყო მესამე განყოფილება. ქ-მა მ. ძნელაძემ, გუნდმა და ორკესტრმა შეასრულეს სცენა ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“ და ბოლოს შესრულდა „ფაცხა“ და „ვახტანგ მეფე“, გადამუშავე-

ბული ოთხხმიანი გუნდისთვის და ორკესტრისათვის ფოცხვერაშვილის მიერ. მან კარგად შეისწავლა ორკესტრირება, მისი „ვახტანგ მეფე“ ნამდვილი ქართული მარშია...“ („ივერია“, 1903 წ. № 244).

პეტერბურგში ცხოვრების წლებში კ. ფოცხვერაშვილი იღრმავებდა თავის მუსიკალურ განათლებას. მის არქივში დაცულია პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების წერილი, რომელშიც ისინი თხოვნით მიმართავენ თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლს, დაეხმაროს ახალგაზრდა ქართველ კოტე ფოცხვერაშვილს, რომელსაც აქვს კომპოზიტორული და ღირიჟორული მონაცემები. ის დიდ სარგებლობას მოუტანს ქართული მუსიკის განვითარებას მომავალში. როგორც ჩანს, თხოვნამ შედეგი გამოიღო და 1910 წ. კოტე ფოცხვერაშვილი ხდება ჭიათურის მარგანეცის მენარმეთა საზოგადოების სტიპენდიანტი. იგი იწყებს კერძო გაკვეთილების მიღებას მუსიკის თეორიასა, კომპოზიციასა და ღირიჟორობაში პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორებთან ბრუნთან, საკეტთან, ნაპრაენიკთან, კაზაჩენკოსთან და არხანგელსკთან. ამ დროისათვის კოტე ფოცხვერაშვილი უკვე იყო ავტორი ოპერისა „არმაზი“ (1910 წ.) და პროგრამული სიმფონიური პოემის „ამირანი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამირანის თემა ძალზე აქტუალური იყო ეროვნული თვითგამორკვევის, თვითიდენტიფიკაციის სურვილით შეპყრობილ ახალგაზრდა თაობის ხელოვანთა შემოქმედებაში.

კოტე ფოცხვერაშვილის პოემა „ამირანი“, დაწერილი 1907 წელს, პირველად შესრულდა 1908 წ. დერპტში, შემდეგ კი პეტერბურგში, კეთილშობილთა საკრებულოში. „ამირანი“ ქართული სიმფონიური ნაწარმოების შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს, თუმცა ფორმით და მასალის განვითარებით ეს უფრო სუიტაა და არა პოემა, რადგანაც მასში დომინირებს ილუსტრაციული მომენტები, სიტყვიერი პროგრამა შედგენილია თვითონ კომპოზიტორის მიერ. ამ ნაწარმოების საორკესტრო შესრულებას ხშირად თან ერთვის სიუჟეტის სცენიური განმარტება. „ამირანის“ თეატრალური დადგმები ეკუთვნოდა როგორც ავტორს, ასევე გამოჩენილ რეჟისორს ალექსანდრე ნუნუნავას.

შესაძლოა, სწორედ ამ დადგმათა შესახებ

გამონვეულმა რეზონანსმა მისცა სტიმული მხატვარ შალვა ქიქოძეს 1912 წელს გრაფიკულად გაეფორმებინა პეტრე მირიანაშვილის მიერ შეკრებილი ამირანის ხალხური ვერსია, სწორედ ის ვერსია, რომელიც წარმოადგინა კოტე ფოცხვერაშვილმა თავის ხელით შედგენილ პროგრამაში სამ ენაზე: ქართულად, ფრანგულად და რუსულად, თავისი მუსიკალური აღნიშვნებით. შალვა ქიქოძემ ამ ხალხური ეპოსისათვის 30 ილუსტრაცია შექმნა. მხატვრისეულ ილუსტრაციებს ატყვია ლიტერატურული პირველწყაროსადმი გულწრფელი, უშალო დამოკიდებულება.

მხატვრის პირად არქივში დაცულია მისივე ხელით გადაწერილი ამირანის აღნიშნული რედაქციამონიშნულიადგილებით. ეს სადაგოლებია ტექსტიდან, რომელნიც, მხატვრის აზრით, ნაწარმოების იდეურ ძარღვს კარგად ხსნის, ამ ეპიზოდების მხატვრული წარმოსახვისას შალვა ქიქოძე მიყვება ტექსტის სიუჟეტურ ქარგას. მხატვარი ზედმინევიტ ცდილობს ტექსტის ილუსტრირებას. იგი, განზრახ გამარტივებული ფორმით, მოუხეშავი პლასტიკით ეპიკურობასა და მონუმენტურობას აღწევს. შესაძლოა, ამგვარი ხელწერა ხალხურობის მეტი ხაზგასმისათვის სჭირდებოდა მხატვარს. შესაძლოა ისიც, რომ ამ ადრეული პერიოდის ქმნილებებში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ის პროფესიონალიზმი, რომელსაც ძალიან მაღე, მოსკოვის „ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების“ სასწავლებლის დასრულების შემდეგ შეიძენს მხატვარი.

შალვა ქიქოძეს ასაკით მასზე უფროს კოტე ფოცხვერაშვილთან გულთბილი დამოკიდებულება აკავშირებდა, ეს კარგად ჩანს მხატვრის მიერ 1916 წელს შესრულებულ გრაფიკულ პორტრეტში, რომელიც კოტე ფოცხვერაშვილის ენერგიულ, მუსიკის ჰანგებში ჩაძირულ, საოცრად მეტყველ სახეს ასახავს.

თუ თვალს გავადევნებთ კოტე ფოცხვერაშვილის შემოქმედებას, დავინახავთ, რომ ეროვნული მოტივები კიდევ არაერთხელ გაიელვებს კომპოზიტორის მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა კ. ფოცხვერაშვილს ქართული მუსიკის პროპაგანდის უდიდესი სურვილი ამოძრავებდა. მას არაერთი კონცერტი ჩაუტარებია პეტერ-

ბურგის კონსერვატორიაში, სადაც იმ დროს თავმოყრილნი იყვნენ ახალგაზრდა ეროვნული მუსიკოსები ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან. როგორც საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიული კონცერტი ჩატარებულა 1910 წლის 22 იანვარს „პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების“ სასარგებლოდ. ამ სალამოზე შესრულებულა ქართული, ესტონური, ბელორუსული, სომხური, ლიტვური ხალხური სიმღერები, რაც თავის მხრივ, დიდი მიღწევა იყო მუსიკალური ეროვნული სკოლების ფუძემდებლების: გიტოლის, ბალანჩივაძის, შიმკუსის, ფოცხვერაშვილის, ტალატ კელპასის.

ქართული საოპერო თეატრის ერთ-ერთი მკვლევარი შ. კაშმაძე თავის წიგნში ვანო სარაჯიშვილზე წერს, რომ 1904-05 წ. სეზონში პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ჯგუფმა გადაწყვიტა ა. რუბინშტეინის ოპერის „დემონის“ დადგმა ქართულ ენაზე. გაანაწილეს როლები, მონახეს შენობა (პავლოვის დარბაზი) და მივიდნენ მელიტონ ბალანჩივაძესთან.

თურმე უშიშარი მელიტონიც კი გააოცა ასეთმა თამამმა იდეამ: „ეს ყველანაირ ზღვარს სცილდება! როგორ შეიძლება პეტერბურგში „დემონის“ დადგმა საკუთარი ძალებით და ისიც ქართულ ენაზე? პეტერბურგი ხომ სამტრედია არ არის, მოვა უამრავი ხალხი, მერე რა გავაკეთოთ?“ - უთქვამს ცნობილ კომპოზიტორს, მაგრამ ახალგაზრდა ენთუზიასტების სურვილი უცვლელი იყო. 1905 წ. ნ თებერვალს ოპერა დაიდგა და წარმატება ხვდა წილად. დემონის პარტიას ასრულებდა დ. გედევანიშვილი, თამარისას - ე. სარაჯიშვილი, სინოდალისას - ვანო სარაჯიშვილი. ლიბრეტოს თარგმანი ეკუთვნოდა პეტრე მირიანაშვილს. სპექტაკლის წარმატებამ ახალგაზრდებს სურვილი გაუჩინა შეექმნათ მუდმივი ქართული დასი, რომელიც საქართველოში ოპერებს ქართულ ენაზე შეასრულებდა. დირიჟორი კოტე ფოცხვერაშვილი უნდა ყოფილიყო. მასვე დაევალა საქართველოში გამგზავრება და ნიადაგის მომზადება. მართლაც, კ. ფოცხვერაშვილი გაემგზავრა საქართველოში, ხოლო შ. დადიანი და მ. ჩიჯავაძე დარჩნენ მ, ბალანჩივაძესთან და აჩქარებდნენ, დაემთავრებინა ოპერა „თამარ ცბიერი“, რათა მთლიანად დაედგათ საქარ-

თველოში. 1905 წლის მოვლენების გამო, ამ კეთილი წამოწყების განხორციელება ვერ მოხერხდა, თვით კ. ფოცხვერაშვილი ძლივს გადაურჩა დაჭერას.

კ. ფოცხვერაშვილი იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო. იგი კვლავ აგრძელებს საკონცერტო მოღვაწეობას სხვადასხვა ქალაქებში, ქართული მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით., მის გამოსვლებს თან ერთვოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიმღერების სიტყვიერი განმარტება.

1913 წ. კოტე ფოცხვერაშვილმა ქუთაისში მოაწყო პირველი სიმფონიური ლექცია-კონცერტი, რომელშიც შესრულებული იყო ნაწყვეტები მისი ოპერიდან „კერპთა დამხობა“ („არმაზი“), პოემა „ამირანი“, ქართული ხალხური სიმღერები, ლექცია-კონცერტში მონაწილეობდნენ ქუთაისის სასულიერო და საეპარქიო სასწავლებლების გაერთიანებული გუნდი, სათავადაზნაურო გიმნაზიის ორკესტრი და სოლისტები.

1914 წ. 16 მარტს პეტერბურგის აზნაურთა საკრებულოში ჩატარდა კოტე ფოცხვერაშვილის საავტორო სალამო, რომელშიც ის წარსდგა როგორც კომპოზიტორი და დირიჟორი. პეტერბურგის მრავალი გაზეთი გამოეხმაურა ამ კონცერტს და მას მაღალი შეფასება მისცა.

1919 წელს კ. ფოცხვერაშვილი პეტერბურგსა და ქუთაისს შორის მოძრაობს. ქუთაისში იგი ხან მჭედლიძეების, ხან კი შარაბიძეების ოჯახების ხშირი სტუმარი იყო. 1915 წელს კოტე ფოცხვერაშვილმა ქუთაისში ჩაატარა სასულიერო მუსიკის გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ორასკაციანი გუნდი (სათავადაზნაურო გიმნაზიის, სასულიერო სემინარის და საეპარქიო სასწავლებლის გუნდები). გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა კომპოზიტორის მიერ გადამუშავებული საგალობლები.

კოტე ფოცხვერაშვილმა 1916 წ. ზაფხული რეჟისორ ალექსანდრე ნუნუნავასთან ერთად ბახმაროში გაატარა. კომპოზიტორი პირველად ახლოს აქ გაეცნო აჭარულ ფოლკლორს და გადამწყვიტა მისი ჩაწერა. აღსანიშნავია, რომ კოტე ფოცხვერაშვილი იყო აჭარული ფოლკლორის პირველი შემგროვებელი, კომპოზიტორი თვლიდა, რომ აჭარული და გურული მელოდიები ძალიან გვანან ერთმანეთს და რომ ამ რეგიონში

მცხოვრები ქართველების გამაჰმადიანება სრულებით არ ასახულა მათ მუსიკალურ შემოქმედებაზე. 1917 წ. კ. ფოცხვერაშვილმა შეკრიბა და თბილისში საკონცერტო პროგრამით ჩამოიყვანა აჭარლების გუნდი.

ბახმაროში გატარებულმა ამ ზაფხულმა კიდევ უფრო დააკავშირა ერთმანეთს ახალგაზრდა შალვა ქიქოძე, შედარებით მასზე უფროსი ალექსანდრე ნუნუნავა და კოტე ფოცხვერაშვილი. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მხატვრის მეგობრული შარეები ალექსანდრე ნუნუნავას და კოტე ფოცხვერაშვილის გამო-სახულებებით, გამაჰმადიანებული აჭარის პრობლემა, რომელიც თავისებურ გამო-სახვას ჰპოვებს შალვა ქიქოძის შემოქმედებაში, შესაძლოა, ბახმაროში, კომპოზიტორთან და რეჟისორთან ერთობლივი საუბრების შედეგი იყო.

1919 წ. კოტე ფოცხვერაშვილი ალექსანდრა მელიტონის ასულ კელენჯერიძეზე დაქორ-წინდა და თბილისში დასახლდა, ამ დროიდან იგი განსაკუთრებით აქტიურად ჩაერთო ეროვნული კულტურის მშენებლობაში. ამ პერიოდში მისი ძირითადი საზრუნავი იყო მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერის“ დადგმის დასრულება. ამისათვის კი იგი აკეთებდა ყველაფერს: მუშაობდა ლიბრეტოზე, თარგმნიდა მას ქართულად, აკეთებდა ორკესტრირებას, წერდა პარტიებს, პარტიტურას. ამ ოპერის დასრულება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში. ამავე პერიოდში მან შექმნა საგუნდო სიმღერა „დიდება“, რომელიც საზეიმოდ შესრულდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 1918 წლის 26 მაისს, როგორც ცნობილია, ეს სიმღერა იქცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნად და თავის ფუნქციას 1921 წლის თებერვლის ჩათვლით ასრულებდა. შემდეგ, 1991 წლიდან იგი კვლავ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნია - 20004 წლის მაისამდე.

კოტე ფოცხვერაშვილი აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას ეკუთვნის ა. სუმბათაშვილის დრამის „ლალატის“ თარგმანი, დაწერილი აქვს პიესები: „აშენდა საქართველო“; „მესამე ცოლი“, „ვოდვეილები“. აღსანიშნავია, რომ ა. სუმბათაშვილის დრამის - „ლალატი“-ს დადგმას, გიორგი ჯაბადარის თეატრალური სტუდიის

ძალების მონაწილეობით, გამოეხმაურა შალვა ქიქოძე, როგორც რეცენზიით, ასევე იუმორისტული ჩანახატებით, რომლებიც მთავარ მოქმედ პერსონაჟებს გადმოცემდა.

1923 წ. კ. ფოცხვერაშვილმა გამოაქვეყნა რევოლუციური სიმღერების კრებული. მან ჩაწერა და გადაამუშავა 12 ყველაზე დამახასიათებელი სიმღერა ქართული და რუსული ტექსტებით.

მოგვიანებით კოტე ფოცხვერაშვილი დაწერს მუსიკალურ კომედიას „მანანა“; აგრეთვე მუსიკას კინოფილმებისათვის: „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“ და სხვ.

ის, რომ კოტე ფოცხვერაშვილის და შალვა ქიქოძის ნაყოფიერი მოღვაწეობა გამოიხატებოდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებისათვის დღენი-ადაგ ზრუნვაში, დიდად იყო განპირობებული იმ ეროვნული თვითშეგნებით, რომლითაც ორივე ხელოვანის ცნობიერებაში, მათი შემოქმედების საწყის ეტაპზე, ამირანის მითოლოგემა აღიბეჭდა.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი, კოტე ფოცხვერაშვილის ფონდი;
2. ქუთაისის საქალაქო არქივი, ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების ფონდი;
3. სარუხანოვა ი. დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ცხოვრება. - თბ.: გამომც. „ხელოვნება“, 1986.;
4. აბესაძე ი., ბაგრატიშვილი ქ. შალვა ქიქოძის კულტურული მემკვიდრეობა. - თბ.: გამომც. „ნეკერი“, 2005.
5. История грузинской музыки. / Составитель и редактор Торадзе Г. — Тб., 1998.
6. Гинзбург С. Из истории музыкальных связей народов СССР. - М.-Л., 1972.

„შორეული ჩვენანობი“



რუსუდან ღვინევაძე
პროფესორი

არტურ გუნდაკარ ფონ ზუტენერი ის ერთ-ერთი „შორეული ჩვენანობა“, რომელმაც საქართველოში თავის მეუღლესთან, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატთან ბერტა ზუტენერთან ერთად ცხრა უკლინადი დაჰყო, და ევროპაში დაბრუნებულმა,

არაერთი საინტერესო მოთხრობა და რომანი უძღვნა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ყოფასა და ისტორიას.

ზუტენერები 1876 წელს, ვენაში საიდუმლო ქორწინების შემდეგ გამოემგზავრნენ კავკასიაში. მათი პირველი მასპინძლები იყვნენ ევროპაში შეთხრობილი ძველები - ზაფხურის დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი და მისი ასული სალომე დადიანი-მიურატისა. ზუტენერები ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ზუგდიდში, აორდში, ხოლო ეკატერინე დადიანის გარდაცვალების შემდეგ - თბილისში. არტურ ზუტენერი ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა წყვილის - სალომე და აშილ მიურატების სასახლის მშენებლობას ზუგდიდში. მისი გეგმის მიხედვით უნდა იყოს ასევე აგებული რამდენიმე სასახლე თბილისის შემოგარენში. ბერტა მუსიკისა და გერმანული ენის გაკვეთილებს უტარებდა მალაღობის ოჯახთან შვილებს.

საქართველოში შედგა ზუტენერების სამწერლო ნათლობაც.

არტურ ზუტენერის მოთხრობებს, რომლებშიც სამეგრელოს ცხოვრებაა ასახული, მალალ შეფასებას აძლევს არტურ ლაისტი (სწორედ მას უწოდებდნენ ქართველი მწერლები „შორეულ ჩვენანობა“): „გერმანელმა მწერალმა, არტურ ზუტენერმა რამდენიმე მოთხრობა დაწერა სამეგრელოს ცხოვრებიდან, რომლებშიც ნიჭიერადაა გადმოცემული შუა სამეგრელოს სურათები. ეს სურათები ისეთი სიცხველითაა დახატული, რომ მკითხველს ებადება მოუთმენელი სურვილი ამ ზურმუხტი კუნძულის ნახვისა“. ეს მოთხრობებია „ჩემი მეზობელი გუჯა“, „ქეთევანი“, „მეზობლები“...

რომანები: „დარეჯანი“, „აზნაური“, „კავკასიის შვილები“, „შამილი“, „ჩერქეზები“, „ნერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“ - აღმოსავლეთის ყოფისა და აზროვნების ღრმა წვდომის შედეგია.

პაციფისტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული რომანი „აჭარლები“, რომელიც აჭარაში თურქთა ბატონობის უკანასკნელ წლებზე მოგვითხრობს. რომანი ღირსეულ არა მარტო როგორც მხატვრული ნაწარმოები, არამედ როგორც ისტორიულ მოვლენათა თვითმხილველის ნააშბობიც: რუსეთ-თურქეთის ომის დროს არტურ ზუტენერი ხომ სამხედრო კორესპონდენტიც იყო.

სწორედ ამ რომანით დაინტერესდა ენციკლოპედია „აჭარის“ მთავარი სამეცნიერო რედაქცია, რომლის წიგნსაცავში ინახება 1888 წელს შტუტგარტში გამოცემული გამოცემული ეგზემპლარი. დიდი ზიამოვნებით შეგასრულე ენციკლოპედიის შემოქმედებითი კოლექტივის თხოვნა, ქართულად მეთარგმნა ეს რომანი. და აი, ხელთ გვაქვს გამომცემლობა „ინტელექტი“ 2007 წელს დასტამბული „აჭარლები“ გამომცემელი - ენციკლოპედია „აჭარის“ მთავარი სამეცნიერო რედაქცია, მთარგმნელი - რუსუდან ღვინევაძე, რედაქტორი - მაკა ძონენიძე).

ავტორი საფუძვლიანად იცნობს აჭარის, საქართველოს ამერთ-ერთ-სველაზე მრავალჭირნახული კუთხის ისტორიას, აჭარელთა ტრადიციებს; საოცარი ხატოვანებით აღწერს მათ ჩაცმულობას, ფოლკლორს, ლამაზ და ზოგჯერ მკაცრ ბუნებას. ისტორიული მოვლენების ფონზე განვითარებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟის თავგადასავლებით აღსავსე სასიყვარულო ისტორია ქართველ მკითხველში უთუოდ გამოიწვევს ასოციაციებს „ვეფხისტყაოსანთან“: თამარის გათავისუფლება ქაჯეთის ციხიდან, თამარის „მცველი“ ხნიერი ნათესავი ქალი რუსუდანი, მეორე მხრივ კი, მისი უერთგულესი მეგობარი დარია...

ზუტენერების საქართველოდან მოულოდნელად გამგზავრებამდე სამიოდე თვით ადრე - 1885 წელს პრალაში გარდაიცვალა ბერტას მამა, გრაფი კინსკი. ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იონა მეუნარგიას თხოვნითა და დახმარებით, მეუღლეებს რუსთაველის პოემის გერმანულად და ფრანგულად

ღარგმნა დაუწყიათ, მაგრამ, როგორც მათი ბიოგრაფიკარიაენიხლმარიწერს, ესნამოწყება ბოლომდე ვერ განუხორციელებიათ.

საქართველო მართლაც რომ არ ჰკარგავს „შორეულ ჩვენთანებს“: ზუტნერების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი გამოკვლევები აქვს მიძღვნილი ცნობილ ქართველ გერმანისტებს: პროფესორებს ნოდარ კაკაბაძეს, წელი ამაშუკელს, იური მოსიძეს... ბერტა ზუტნერის მღოგონებები - ქართულად აქვთ თარგმნილი ნოდარ კაკაბაძეს, ვიქტორ კახნიამვილს, თამაზ გვენეტაძეს; მხოთხრობა „ომის მსხვერპლი“. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ავსტრიულ ბიბლიოთეკას მჭიდრო კონტაქტები აქვს

ზუტნეროლოგების საერთაშორისო საზოგადოებასთან; ცოტა ხნის წინ ზუგდიდში დაარსდა ბერტა ზუტნერის საზოგადოება...

რედაქციისგან: 16 მაისს გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის განყოფილებაში (პრეზიდენტი პროფ. მანანა პაიჭაძე) შედგა არტურ ზუტნერის რომან „აჭარლების“ ქართული თარგმანის განხილვა. რეცენზენტმა, თსუ-ს პროფესორმა ნატა ჯანელიძემ მაღალი შეფასება მისცა რუსუდან ღვინეფაძის მიერ შესრულებულ თარგმანს. აქვე მოგახსენებთ, რომ წიგნი წარდგენილი იყო ლიტერატურულ პრემია „საბა“-ზე, როგორც 2007 წლის ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი.

„პროვინციალური გაზაფხული“

(ვალერიან გაფრინდაშვილის ერთი ლექსის შესახებ)

„უფალმან შექმნა ადამი და ეკა. აკურთხა ისინი და დაუქვემდებარა ედემის ბალი, რათა მოევლოთ და დაეცვათ იგი“.

ემშაკს შეშურდა ადამისა და ევას ასეთი პატივი, შეუჩნდა მათ და შეაცდინა. „ენყინა უფალს ეს ამბავი და გამოაძევა წყვილი სამოთხიდან“.

ასე მოხდა პირველი ადამიანების ცოდვით დაცემა. ღმერთის სიტყვით, ისინი ჯერ სულიერი სიკვდილით დაიხოცნენ, ხოლო შემდეგ - ფიზიკურით. სულიერი კავშირი ღმერთსა და კაცს შორის ღმერთის განკაცებით, კაცობრიობის ცოდვათა საკუთარ თავზე აღებით, ჯვარცმითა და ამალღებით აღდგა. ფიზიკური სიკვდილი კი გარდაუვალა ყველასათვის, რადგან ნებისმიერმა ჩვენგანმა უნდა გაიაროს ის გზა, რაც ძე ღვთისამ - დედამიწაზე.

წუთისოფელში ადამიანის სული მარადის ირხევა სიკეთესა და ბოროტებას, ზეცასა და მიწას, სხეულსა და სულს შორის.

ქვეყნად მარადიული არაფერია.

„ნათობს და ბინდობს სანუთრო, ქცევადი, მობრუნავია, წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია, ყოველი ღმერთი



სალომე მირზაშვილი


მუხთლისა კვლავ ისევ საჭმუნავია, ერთი დრო გრძლად არ შეგძლებს, კარგი სთქვა, გინა ავია“.

მზისქვეშეთში „ცვალება დრო და ალაგი“, ამიტომ ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულება სწორედ მარადიულობისაკენ სწრაფვა და ზეამალღება უნდა იყოს.

სიმბოლისტი პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი თავის ლექსს „პროვინციალურ გაზაფხულს“

სწორედ ღვთის ძიებას, მარადიულისა და წარმავლის დაპირისპირებას, წუთისოფლის არამდგრადობას უძღვნის.

ლექსიდატვირთულიასიმბოლოებით. სულიერი აღდგომა, სულის სხეულზე გაძლიერება ვარდობისთვის უკავშირდება. პოეტი მოუთმენლად ელის მაისის დადგომას, საშინლად იხსენებს „დიდ ზამთარს“, რომელიც „ყველას ახსოვს“, რადგან ეს სწორედ ის ხანგრძლივი, მძიმე პერიოდია, როცა განყდა, უფლის ნებით, სულიერი კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის, „მაგრამ გამოჩნდა „ტყის იალქანი“. ქალთა მაცხოვარი, „ხიდი“ ადამიანთამიწიერისიციოცხლიდან ზეციურამალღებამდე და „აყვავილდა ძველი ბალკონი“, ანუ ედემის ბაღში კვლავ დაივანეს იმ ადამი-



ანთა სულებმა, რომელთაც „ჭეშმარიტად იმუშავეს“ მზისქვეშეთში, მხოლოდ ხორცზე არ იზრუნეს, სულიც არ დაივინყეს და მიემსგავსნენ ფუტკარს, რომელიც „კაცს თაფლს აძლევს და ღმერთს - სანთელს“.

ლექსში აყვავებული გაზაფხულის ფონზე „სადაც იკერავს გამხდარი ქვრივი კაბას ტრაურულს და უღარიბესს“. რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმას, რომ ადამიანი ხანმოკლე ნუთისოფელში სტუმარია, რომ სიკვდილი გარდაუვალია მაშინაც კი, „როცა ცაზე ჰკიდია მზე“ „სადაც“ და „როცა აპრილი უკრავს მწვანე აფიშებს“, სულს „კათოლიკური კარაველები“ მიაცილებენ საუფლოსაკენ. კარაველა, როგორც ვიცით, სამანძიანი გემია, რომლითაც ქრისტიანთა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ესეც ხომ სიმბოლოა, ადამიანში ღვთის აღმოჩენისა, რისკენაც ყველა მოკვდავი უნდა ისწრაფოდეს.

ლექსის ფინალში გაზაფხულის თვალწარმტაცი სურათია დახატული, მაგრამ ის ათიქოს ვერ აღწევს სასაფლაომდე, სადაც

ადამიანთა ხორციელი განსაზღვრებელია, „სადაც მოელის უძრავი ლეში გაზაფხულს როგორც თავის მესსიას“.

მეტაფიზიკური სამყაროსათვის ყოველივე ამქვეყნიური ამაოა, ამიტომ ვერ აღწევს ნარმავალი, მიწიერი გაზაფხული მის სიღრმეს და „უძრავი ლეში“ ვერ იხიბლება მისი ცქერით, ის სულიერ აღდგომას მოელის, რომელიც სულიერ გაზაფხულზე დადგება, მაგრამ სანამ კაცობრიობა იარსებებს, სანამ ქვეყნად ერთი კაცი მაინც ივლის, „შეუმუსრავი აზრაილი“, ანუ სიკვდილის ანგელოზი, „გვლავ მოითხოვს შავ პროცესიას“, რადგან „მინა თავისას მოითხოვს“.

და ბოლოს, საინტერესოა ასევე ლექსის სათაური, პროვინცია, როგორც ვიცით, დედაქალაქს დაშორებულ ადგილს, პერიფერიას ნიშნავს, „უთვალავი ფერით“ აჭრელებული ქვეყანაც ხომ საკმაოდ შორია ზეცისგან. რამდენადაც დიდია მანძილი მიწასა და ზეცას შორის, იმდენად დიდია განსხვავება პროვინციულ, ნარმავალ გაზაფხულსა და მარადიულ, ზეციურ გაზაფხულს შორის.

სიტყვა-კონსტრუქციები ჰაგიოგრაფიული ტექსტების თარგმნისას



დალი ჯოხაძე, პროფესორი

თარგმნის, მეთოდოლოგია როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება, დაფუძნებულია სხვადასხვა ერთმანეთთან დამოკიდებულ მეცნიერულ დისციპლინებზე, როგორიცაა ტექსტისლინგვისტიკა, ლინგვო-სტილისტიკა, ინფორმაციის

ულის პოლიემიურ პოტენციალს ერთიანი მთლიანი კონცეპტუალური სისტემის შესაქმნელად, სადაც სიტყვის მრავალხმიანობა, პეტეროგენურობა ანუ სხვადასხვა მნიშვნელობის ერთდროული რეალიზება, შემოქმედებითად ამდიდრებს ორივე ტექსტს, როგორც ორიგინალში, ისე-თარგმნილში.

პოლიემიური სიტყვების კონცეპტუალური შესწავლა გვეხმარება გლობალური ცოდნის დადგენაში და კროს-კულტურული მემკვიდრეობის ათვისებაში. თავის მხრივ, ეს პირდაპირი გამოწვევაა ქცევისა და უნარების პოზიტიური გარდაქმნისაკენ. სხვადასხვა კულტურისათვის განმასხვავებელი ნიშნები ჰაგიოგრაფიული ტექსტების თარგმნისას მკითხველს ან თარგმნელს უზიძგებს რეალობის შემეცნების ახალი გზისკენ. ეს გვეკარნახობს ახალ ფორმებს - ახალი კულტურისაკენ.

ასეთი სიტყვები ამულავნებენ თვითმარეგულირებელ, თვითმმართავ ძალას, კონცეპტუალური სისტემის შესაქმნელად. სიტყვა, რომელიც რეალური სამყაროს მოდელს წარმოადგენს, ხდება ცენტრი ერთი მთლიანი

თეორია და კულტუროლოგია. პროფესიონალი მთარგმნელები, მეცნიერები, სტუდენტები ერთი პრობლემის წინაშე დგანან: როგორ გადაიტანონ პოლიემიური სიტყვები ერთი ენიდან მეორეზე ფუნქციურად ადეკვატური შესაბამისობით. ეს მართლაც რთული საქმეა იმათთვისაც კი, რომლებიც თავისუფლად ფლობენ არა მარტო წყარო ენას და ერკვევიან კროს-კულტურული ცოდნის ნიუანსებში სოციალურ-ისტორიულ კონტექსტში. მხატვრული ტექსტი გულუხვად იყენებს ენობრივი ერთე-

ისტემისა. უფრო მეტიც, ყოველი ასეთი კონცეპტი ქმნის თავის ცენტრს, და ყოველი ცენტრი განუმეორებელი და უნიკალურია, რომელიც პირდაპირ მიმართებაშია სემანტიკური პირამიდის უმაღლეს წერტილთან. მის მიხედვით, თუ როგორია ეს ურთიერთობა და მიმართება, განისაზღვრება აღნიშნული სიტყვის ვარგისიანობა და ფუნქციური ადეკვატურობა თარგმნის ტექსტში.

სიტყვების თვითმართგანიზებული ძალა არის ის არსებითი პრინციპი თარგმნის პროცესში, რომელიც ჰაგიოგრაფიულ ტექსტს სრულყოფილ მთელად წარმოადგენს. უცხო ენაზე ზოგჯერ არაადეკვატური სიტყვა თარგმნის ტექსტში ნაწილობრივ კარგავს ორიგინალის კონცეპტს, ანუ მრავალმნიშვნელობათა ერთდროულ რეალიზაციას, შესაბამისად ორიგინალის კულტურული ტრადიცია შეცდომით გადადის ახალ ენაზე და ვერ ეხმიანება ავტორისეულ სიტყვას.

ზემოთ მოყვანილი პოსტულატების საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ IX საუკუნის (979-983) იოანე ზოსიმეს ტექსტს ქართული ენის შესახებ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც ნაპოვნია სინაის მთაზე და გადმოწერილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პ. ინგოროყვას მიერ (ჟურნ. „კავკასიონი“, №81, 1948).

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ახალმან წინო მოაქცია და ჰელენა დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“ - და სახარება შინა ქართულსა თავსა ხოლო მათთვისა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოველად ოთხათასსა მარაგსა, - და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანვე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახე-

ლითა უფლისაითა, მდაბალი და დანუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.

და ეს ყოველი, რომელი წერილ არს, მოწმედ წარმოგიტხარ ესე წილი ანბანისაი“.

„Buried has been Georgian Language (Kartuli) up to now and unto the Second Advent of the Messiah as a testimony that all should be judged through this language.

Yet this language has been dormant to now and it is called Lazarus in the Good News Bible.

And converted by New Nino and Quenn Helen, who are two sisters, like Mary and Martha. And such is the friendship since every mystery is buried within this language.

„Therefore David the prophet said about the four days' dead, „since a thousand years are like a single day“. And it is written in the Gospel a Gorgian letter {tsili} which starts the chapter and indicates 4 thousand years in storage that equals 4 days. So he had been dead for 4 days and buried with the death of the Easter's Baptism.

And so this Language, ornamented and blessed in the name of the Lord, yet humiliated and scoffed off, is still kept in suspense waiting for the Second Coming of the Lord. And it has a miraculous sign: — the year of 94, prior to and other languages since Jesus Christ's first coming up to now.

And all that is written will hold testimony in the Georgian alphabet“.

წარმოდგენილი ტექსტისთვის მთავარ სიტყვა-კონცეპტად მიგვაჩნია „დამარხულ არს ენაი“ და „საწამებლად ყოველსა ენასა“. თუ ღრმად ჩავუკვირდებით წინადადების შინაარსს, ნათელი გახდება, რომ სიტყვა „ენას“ მხოლოდ თანამედროვე გაგებით ვერ მიუდგებით. ისევე, როგორც სხვა ძველ ენებში, „ენა“ ძველ ქართულში მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას და მოდგმას. ამის დასამტკიცებლად მოვიშველიებთ ტექსტს ახალი აღთქმიდან - „გამოცხადება“ (7.9).

„დიდალი ხალხი ყოველი ერიდან თეთრი

სამოსლით“

„ამის შემდეგ მივხედავ და აი, უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, და ხალხებიდან და ენებიდან იდგა ტახტის წინ და კრავის წინ“.

საგულისხმოა, რომ ტექსტის ავტორი იოანე ზოსიმე ბუნებრივად ხმარობს სიტყვა „ენას“ ძველი მრავალმნიშვნელობით: ენა, მოდგმა, ხალხი, კულტურა და ერი, ქართული ეთნოსი და მისი ისტორიული მისია. აღნიშნულ მოსაზრებას და ინტერპრეტაციას ვვითავაზობს ზვიად გამსახურდია თავის წიგნში „წერილები და ესეები“ (თბილისი, 1991).

შემდეგი სიტყვა-კონცეპტი, რომელიც ასევე მთავარი გასაღებია მთელი ტექსტისთვის, არის „სანამებლად“, რომელიც უქმნის დიდ პრობლემას მთარგმნელებს, რომლებიც უგულვებლყოფენ აღნიშნული სიტყვის მრავალმნიშვნელობას, როგორცაა ძველი, არქაული ლექსიკური ვარიანტი „დაამონმა“ და არა მისი თანამედროვე ვარიანტი „ნამება, ტანჯვა“.

ისევე საღვთო წერილს მოვიძველებთ აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად (იოანეს სახარება 1.32): „მონმობდა იოანე და ამბობდა: მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმოსული სული და დარჩა მასზე“.

იმ შემთხვევაში, თუ ენა დღევანდელი გაგებით იქნებოდა ნახმარი, მაშინ სიტყვები „სანამებლად“ და „ამხელდა“ აბსურდულ კონტექსტს შექმნიდა. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ეპოქა, როდესაც იქმნებოდა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტები, სადაც სიტყვები სახარებისეული ლექსიკური მნიშვნელობებით იხმარებოდა. ბუნებრივია, იოანე ზოსიმეს არ შეეძლო ეხმარა ქართული ენა ქართველი ხალხისა და კულტურის გარეშე. მისი წინასწარმეტყველური ჭვრეტა გამამხნევებელი განაცხადი იყო თავისი ხალხისთვის, ის რომ ქართული კულტურა და ქართული ენა მიაღწევდა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და, რომ ეს ენა არა მხოლოდ „სნამებს“ ქრისტესათვის, არამედ ამხელს სხვა ენებს ცოდვიანობასა თუ უცოდვილობაში.

მნიშვნელობა ერისა და კულტურისა ენასთან იდენტიფიცირებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოგვიანებითი პერიოდის შემდეგ. ამიტომ საჭიროა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს შევხედოთ არა როგორც მხოლოდ

წარსულს, არამედ დავინახოთ როგორც წარსული, აწმყოს პრიზით დანახული. ეს არის ცნობიერება, რომელიც აღიქვამს წარსულსაც და აწმყოს ერთდროულად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს ფუნქციონურად ადეკვატური ეკვივალენტის მოძებნა, როგორც ინტერპრეტაციისას იმავე ენაზე, ასევე თარგმნისას სხვა ენაზე.

ძეგლის დასკვნითი ნაწილი - ბოლო პარაგრაფი, ასევე ვითავაზობს იმავე სიტყვა კონცეპტს „მონმედ“, „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონმედ წარმოგითხარ ესე წილი ანაბანისაი“. ხაზი გასმულია ქართული ენის უნივერსალურ მისიაზე იმ პერიოდში, როცა ენა „არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლულისიკუდილითანათლის-ღებისამისისაითა“. იოანე ზოსიმისეულ ძეგლში ნათქვამია: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა სანამებლად“. იგულისხმება ქართულმა ენამ, ქართულმა მოდგმამ უნდა „სწამოს“ ჭეშმარიტება ისევე, როგორც იესო ქრისტემ. მან უნდა ადიდოს ქრისტე ისევე, როგორც ლაზარემ, ასე სწამს იოანე ზოსიმეს. მას მკვდარი ლაზარე მიაჩნია ქართული ენის სიმბოლოდ, რომელი არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული“. აქვე ამონიშნავს დავით წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობს: „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“, ანუ 4 ათასი წლის შემდეგ ქართული ენა „სწამებს“ ქრისტეს ჭეშმარიტებას.

ცნობილია, რომ გნოსტიკოსებისთვის ლაზარე იყო მფლობელი კაცობრიობის ეზოტერული საიდუმლოებებისა, ანუ საიდუმლო სიბრძნისა, რომელიც დამარხულია და შემონახული ქართულ კულტურაში და არეკლილია ქართულ ენაში. ბუნებრივია, არ შეიძლება ვიგულისხმოთ გადაჭარბებულად ყველა საიდუმლო, რომელსაც იესო ქრისტე ფლობდა, იგულისხმება ის საიდუმლო სიბრძნე, რომელიც დაკავშირებულია ზიარების საიდუმლოსთან. ქრისტიანული საიდუმლოს სიბრძნე შემონახულია არა მარტო წერილობითი სახით, არამედ ზეპირი გადმოცემით ე. წ. „ლოგოსის“ სახით ანუ სიტყვით.

კოგნიტური სიტყვა-კონცეპტი შეიძლება განისაზღვროს როგორც გასაღები გლობა-

ლური ცოდნისა და ცნობიერებისათვის. ეს ერთგვარი ორმაგი გამოწვევაა, რომელიც გულისხმობს არა მარტო ქცევის შეცვლას, არამედ მორალური ზნეობის მოქცევას. ამგვარად, როცა საქმე ეხება კულტურის განმასხვავებელ მნიშვნელობების თარგმნას, ჰაგიოგრაფიულ ტექსტში მკითხველს საშუალება ეძლევა შეიმეცნოს ისტორიული რეალობა ანმეოს კუთხიდან. ეს უკვე ახალი კულტურის ჩამოყალიბების პარადიგმაა.

ამგვარად, ჰაგიოგრაფიული ტექსტები ფუნქციური მსოფლხედვით ასრულებს სოციალურ როლს, რათა ისტორიული მოვლენები ცოცხლად წარმოადგინოს რეტროსპექტული მოდელით. ისინი არა მარტო ქმნიან სოციალურ წყობას, არამედ მტკიცედ აკავშირებენ ტრადიციასა და კულტურას. ის გულისხმობს ურთიერთობებს ახალგაზრდა და, ძველ თაობებს შორის, ურთიერთობებს ხალხთა შორის, წარსულსა და ანმეოს შორის.

გარდა ამისა, ჰაგიოგრაფიული ტექსტები მკაცრად დეტერმინირებულ თანამედროვე არსებობასაც განსაზღვრავენ. ეს არის ურთიერთობა რელიგიასა და ხალხებს შორის, მოტივირებული ცოდნა ლიტურგიული ქმედებებისა და საზოგადოების მორალური ზნეჩვეულებების მართვისათვის. ერთი მხრივ, ეს არის ისტორიის საკრალური ცოდნა და, მეორე მხრივ, ურთიერთობა ხალხსა, წმინდა სიტყვასა და ქმედებას შორის.

ბიბლიოგრაფია:

1. ინგოროყვა პავლე. - ჟურნ. კავკასიონი, №81, თბ. - 1948.
2. გამსახურდია ზვიად. წერილები და ესეები, თბ., -1991.
3. ჯოხაძე ლალი. მხატვრული ტექსტი როგორც სტილისტურ - კონცეპტუალური სისტემა. - თბ., 2008.

სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკები

ალექსანდრე ლორია

სკოლის ბიბლიოთეკა

როდესაც რამე მოვლენა ფასდება, მხედველობაში იღებენ: რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკებს, დავინახავთ, რომ მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა, ვითარება - საკმაოდ ბუნდოვანი და პერსპექტივა - გაურკვეველი.

დავინწყით წარსულით - უძველეს ხანაში, განსაკუთრებით ანტიკურ პერიოდში, ბიბლიოთეკა და სასწავლო საქმე ერთობლივ ორგანიზმს წარმოადგენდა, შემდეგ და შემდეგ ისე ხდებოდა, რომ ზოგჯერ ბიბლი-

ოთეკა გარდაიქმნებოდა ხოლმე სასწავლო დანესებულებად, განსაკუთრებით შუა საუკუნეების უმაღლეს სასწავლებელთა ჩამოყალიბების დროს. რაც შეეხება სკოლას, ერთი ხატოვანი გამოთქმაც იყო გავრცელებული: „სკოლა უბიბლიოთეკოდ - ეს დედამინაა უმზეოდ“.

ახალი ისტორიის გარიჟრაჟზე ბევრი სკოლის ბიბლიოთეკა პატარა ქალაქებსა და დაბებში საყოველთაო მომსახურების დანესებულებად გარდაქმნილა, რომელიც სკოლის მოსწავლეებთან ერთად, მოსახლეობასაც ემსახურებოდა, მაგრამ ეს



წინასწარ იყო გათვალისწინებული როგორც ტექნიკურ-ადმინისტრაციული და ფინანსური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარი რამ მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში, როგორც ანაქრონიზმი, დღესაცაა შემორჩენილი, რაც საკმაოდ არასასურველ მოვლენას წარმოადგენს და უმეტესად ჩამორჩენილ ქვეყნებსა და უაღრესად დაბალი მატერიალური შესაძლებლობის დასახლებულ პუნქტებში გამოიყენება. რაოდენ დასანანიცაა, რომ ამ კატეგორიაში გავიდა ჩვენი ქვეყანაც, სადაც ზოგან სავსებით წინდაუხედავად გადადგეს ამგვარი ნაბიჯი. არ მიშალვებულია საამისოდ არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არც მეთოდოლოგია, რამაც იქამდე მიგვიყვანა, რომ მთელ რიგ სოფლებში, უბრალოდ, დაიხურა ბიბლიოთეკები და არც კი ვიცით, რა შედეგი მოუტანა ამან მოსახლეობასა და მოსწავლეებს.

ახლო წარსულს რომ გადავხედოთ, ადრე, საბჭოთა პერიოდში, სასკოლო ბიბლიოთეკები, საერთოდ, ჩამორჩებოდნენ მაღალგანვითარებული ქვეყნების სკოლების ბიბლიოთეკებს, მაგრამ ის, რაც იყო, ავად თუ კარგად, შეესატყვისებოდა ვითარებას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა ცხოვრებას და სავსებით აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნილებებს, გარკვეული იყო, რა გზით უნდა მომხდარიყო მისი განვითარება.

ჩვენში საბიბლიოთეკო სისტემის რღვევამ, საგანმანათლებლო საქმის რეფორმირებამ ურთულეს პირობებში ჩააყენა სკოლის ბიბლიოთეკები. ცალკე აუნერგელმა უსახსრობამ, ცალკე სტრუქტურული და ოპერატიული გეგმების უქონლობამ, ამ სისტემაში მეთოდური სამსახურის სრულმა უგულებელყოფამ დაბნეულობა და არეუ-დარევა გამოიწვია. სკოლებში დაიწყო ერთგვარი „თვითშემოქმედება“. ე.წ. „ოპტიმიზაციის პროცესი“ იმით დაიწყო, რომ სკოლებში, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკარის შტატს აუქმებდნენ, ზოგან მთლიან ბიბლიოთეკასაც კი.

მდგომარეობის ცოტათი გამოსწორების ცდას წარმოადგენდა 1997 წელს განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანება ფონდების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. მეექვსეა, ვინმემ შეძლოს პასუხი გაგვცეს: რა შედეგები მოჰყვა ამას და, საერთოდ, რა სურათი მივიღეთ საბოლოოდ.

2000 წელს საერთაშორისო თანასაზოგად-



დობრიობათა ჩნ-ე გენერალურმა კონფერენციამ ძიილო სასკოლო ბიბლიოთეკების მანიფესტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო: საკანონმდებლო ბაზა, საინფორმაციო სისტემები, ამოცანები, პერსონალი, მუშაობა და მართვა. ამ დროისათვის უკვე არსებობდა „ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია“, „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, რომელშიც მითითებული იყო სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობის განმსაზღვრელი დებულება, იუნესკოს „მანიფესტი საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ“, „სასკოლო ბიბლიოთეკის მანიფესტი“ და სხვ. 2001 წელს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა „საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპური დებულება“. ესენი ყველა გამოქვეყნებული იყო ჩვენს ყურნალში, მაგრამ საქმე ამის იქეთ არ წასულა. არა ვარ დარწმუნებული, განათლების სამინისტროს წამყვანი მუშაკები, საერთოდ, იცნობდნენ ამ ყურნალს. არადა, ყურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ თავიდანვე სისტემატურად აქვეყნებს მასალას საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ: სასკოლო ბიბლიოთეკა როგორც ინფორმაციული, სასწავლო და კულტურული ცენტრი (2001, № 1), ყურამვილი ფ. სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები (№ 3), სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი (2004, № 1), ლორია ა. სასკოლო ბიბლიოთეკის როლი საგანმანათლებლო პროცესში (№ 4), საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციისათვის (2006 № 3) და მრავალი სხვა. გარდა ამისა, უხვად იბეჭდება კორესპონდენციები სასკოლო ბიბლიოთეკებში ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომლებშიც არა ერთი საქმიანი შენიშვნაა გამოთქმული. განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის კრებული „მეთოდისტი“,


გულისყურით ეკიდებოდა სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ მოწოდებულ მასალას, სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობას შეეხება რამდენიმე მონოგრაფია; ბოლოდროინდელ ნაშრომებში უამრავი რამ არის სასკოლო ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით, რომლებშიც გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებები, მაგრამ ყოველივე ეს ან ვერ აღწევს განათლების სამინისტროს სმენას, ან არაფრად მიაჩნიათ ეს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის, შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია“, რაიმე არსებითი შესამჩნევი ძვრები მას არ მოჰყოლია, მით უმეტეს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. საბიბლიოთეკო ასოციაცია, ეროვნული ბიბლიოთეკა, ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, მნიგნობართა ასოციაცია ყოველმხრივ ცდილობდნენ, როგორმე გამოეცოცხლებინათ სკოლების ბიბლიოთეკები. მათი ინიციატივითა და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი, მაგრამ მხოლოდ 70-მდე სკოლამ მიიღო მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ ამან ერთგვარად დაატყო იმ დროს სკოლების ბიბლიოთეკებს ამოძრავება, მაგრამ ამას მოჰყვა ყოვლად გაუმართლებელი, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივი ღონისძიებანი - სოფლის ბიბლიოთეკების შეერთება სასკოლო ბიბლიოთეკებთან, რამაც სრული ქაოსი გამოიწვია, განსაკუთრებით ფონდების დაცვის საქმეში.

თბილისისა და რუსთავის სკოლების ბიბლიოთეკებისათვის რამდენჯერმე მოეწყო თათბირ-სემინარები, საბიბლიოთეკო ასოციაციაში შეიქმნა საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების განყოფილება, რომ უფრო ოპერატიული ყოფილიყო დახმარება სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი; იყო ცდები, ერთ-ერთ სკოლაში სანიმუშო ბიბლიოთეკა გამართულიყო, რაშიც დახმარებას უცხოელი პარტნიორები გვპირდებოდნენ, მაგრამ განათლების სამინისტროს წაყრუებით ვერაფერი სასიკეთო ვერ გაკეთდა.

უკვე დიდი ხანია ვიბრძვით, სკოლის ბიბლიოთეკარები პედაგოგებს გავუთანაბროთ, მაგრამ არაფერი არ გამოგვდის. ერთ დროს

ეს საკითხი განხილულ იქნა სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, სადაც მაშინდელი განათლების მინისტრი კ. გაბაშვილი დაგვპირდა ამ საქმის მოგვარებას, მაგრამ ვიდრე ის ამას იზამდა, სხვაგან გადაიყვანეს და ეს საქმე კვლავ ჩიხში მოექცა და დღესაც ამ მდგომარეობაშია. წარმოგიდგენიათ: სკოლის ბიბლიოთეკარის შტატი განიხილება როგორც ტექნიკური ერთეული, ბიბლიოთეკარის შრომა გათანაბრებულია მეეზოვის, დამლაგებლის და სხვა ტექნიკური პერსონალის საქმიანობასთან. ნუთუ ხელმძღვანელობა საბიბლიოთეკო პროცესებს ტექნიკურ ძუძაობად მიიჩნევს? შეიძლება ბიბლიოთეკარის მიერ ჩატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობით საქმიანობას, კითხვის მართვას, ლიტერატურის შერჩევას, ელექტრონული კატალოგების შექმნას და სხვა მრავალს, რასაც ბიბლიოთეკარი ეწევა, ტექნიკური პროცესი ეწოდოს?

„საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და „საქართველოს სასკოლო



ბიბლიოთეკების დებულებაში“ სავსებით გარკვევითაა ნათქვამი: „სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი“. ეს თუ ასეა, რატომ განათლების სამინისტრომ არ იღო ყურად ეს? სხვათა შორის, არაერთი რამისათვის არის გვერდი აქცეული. სამწუხაროა, რომ ეს სისტემადაა ქცეული ჩვენს დარგში. ეს იმიტომაც ხდება, ნაწილობრივ, რომ არ არსებობს ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული ბრძანება-განკარგულებების აღსრულების ზედამხედველობის მოწესრიგებული

მექანიზმი. საქმე კი მოითხოვს: (პრაქტიკაში ეს საკმაოდ გავრცელებულია) არსებობდეს ინფორმაციის სამსახური. ის უნდა ავროვებდეს უწყებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მასალას და რეაგირებისათვის გადასცემდეს სათანადო პირებს, ეტყობა, ჩვენს განათლების სამინისტროში ამგვარი რამ არ არის, ან თუ არის, ნამეტნავად მოუქნელად მუშაობს, რაც ბევრი სასიკეთო წინადადებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობას იწვევს. არ არის გამჭვირვალე, თუ რა კეთდება და რას აპირებენ სასკოლო ბიბლიოთეკების მიმართ, არავითარი ინტერესი არ ვლინდება ამ საქმისადმი და რატომ? სავსებით განწყვეტილია კონტაქტები პროფესიონალებთან, გაუგებარია კადრების შერჩევის პრინციპები, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა პედაგოგების თავყრილობის წინაშე ხაზგასმულად განაცხადა: „არც ერთი სკოლა ბიბლიოთეკის გარეშე!“

განახლებული განათლების სამინისტროს მიერ ერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა: გაცხადდა, რომ სკოლების აკრედიტაცია არ შედგება, სკოლაში თუ არიქნა კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკა. ეს უდავოდ შეუწყობს ხელს საქმის გაუმჯობესებას, მით უმეტეს, თუკი მოხდება ორიენტირების განსაზღვრა, სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების შემუშავება, სპეციალისტთა მოხმობა, ერთი სიტყვით, ამ საქმეს სახელმწიფო დონეზე თუ მიექცევა სათანადო ყურადღება.

ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ვინმემ არ იცის დღეს, თუ როგორი ბიბლიოთეკები ესაჭიროება თანამედროვე სკოლას, რამდენად დიდია მათი როლი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, როგორი ნაყოფიერი საქმის შესრულება შეუძლიათ და როგორი ადგილი უჭირავთ სკოლაში.

რედაქციის შენიშვნა:

საკითხები, რომლებიც მოცემულ სტატიი აში არის წამოყენებული, სულაც არ არის ახალი. უკვე დიდი ხანია სხვადასხვა კუთხით ისინი შეუქდებოდა ჩვენს ყურნალში; მაგრამ სათანადო ორგანოების მიერ არავითარი რეაგირება მასზე არ მომხდარა. არც ამჟამად გვაქვს დიდი იმედი ამისა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსავე ვცდილობთ იმ იმედით, იქნებ დაინტერესდნენ ამ საქმით ჩვენი მესვეურები.

დღეს მთელ მსოფლიოში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე იქნეს აყვანილი სკოლების ბიბლიოთეკების საქმიანობა, არსებობს მრავალი ქვეყანა, რომელიც ნიმუშად შეიძლება იქცეს, რომელიც გვიჩვენებს, თუ საითკენ უნდა მივიწინააღმდეგოთ, რის მიღწევას ვაპირებთ. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს დანიას. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე ფოტომასალის საშუალებით, უკომენტაროდ გაგაცნოთ ამ ქვეყნის სასკოლო ბიბლიოთეკების ნაირსახეობა და თანამედროვე იერსახე.

კორესპონდენციები

მანანა ყაბანაშვილი

კასპის მთავარი ბიბ. საბიბლ. საბჭოს თავმჯდომარე

ლექსო, აპოკალიფი!

20 ოქტომბერს კასპის საჯარო სკოლა და რაიონის მთავარი ბიბლიოთეკა სტუმრობდნენ მცხეთელ მწერლებს: ალექსანდრე დიდებაშვილს, ვალერიან მამუკელაშვილს, ავთანდილ ედიშერაშვილს, დავით ნავდარაშვილს, ვაჟა კოზმანაშვილსა და გიორგი ჰაიაშვილს.

შეხვედრა იყო უაღრესად თბილი, ლამაზი.

პირველი სკოლის მოსწავლეები: მ. შაველაშვილი, ს. მექანარიშვილი, ა. მოსიაშვილი, შ. და ს. ჩოჩელეები, თ. ყაზარაშვილი, მ. მერებაშვილი, დ. ძაძიევა, ლ. მწითურიძე, ბ. თაბუაშვილი, მ. ნონიაშვილი მხატვრულად კითხულობდნენ მათ ლექსებს.

პოეტებმა მოსწავლეებს, მოწვეულ სტუმრებს,

მასწავლებლებს გააცნეს მცხეთაზე დაწერილი ლექსები. შკითხველებში ერთხელ კიდევ გაიღვიძა წარსულისადმი ღრმა პატივისცემამ, პატრიოტულმა გრძნობამ, პატარებში აღიძრა წიგნის სიყვარული, მათ გამოთქვეს სურვილი მთავარ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობისა, გაიხსენეს გიორგი შატბერაშვილი - „თვალაღური ჭაშნიკის“ ავტორი, რომელიც, სამამულო ომის პერიოდში ქართული ლექსის, ქართული სიტყვის მაღლს აზიარებდა კასპელებს ამ სკოლის კედლებში.

მონვეულმა სტუმრებმა: კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა ნ. მერებაშვილმა, კურსდამთავრებულმა ნ. ბარნოვმა, სპმთბ-ის კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ გ. სოზიაშვილმა აღნიშნეს, რომ მათ კიდევ ერთხელ შეიგრძნეს მცხეთის ხატება, ღვთიური ნიჭის მაღლით ქებული სალოცავების სუნთქვა, სულიერი ამაღლება და განაცხადეს, ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა ტარდებოდესო, გამოთქვეს იმედი, რომ მოსწავლეები კომპიუტერებთან დამეგობრებით წიგნზე ხელს არ აიღებენ, ზურგს არ შეაქცევენ თანამედროვე მწერლობას, წაიკითხავენ კლასიკოსებს,

რადგან, ილიასი არ იყოს, „უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“.

სააქტო დარბაზს ეფინებოდა ლოტბარის ბელა კობიაშვილისა და მისი აღსაზრდელების გალობა. ისინი სამშობლოს უმღეროდნენ. სიმღერებში გატარებული იყო ის აზრი, რომ რაკი ბინდისფერია სოფელი და ადამიანს ამ ქვეყნიდან არაფერი მიაქვს, მხოლოდ სახელის დატოვებაზე უნდა ზრუნავდეს.

წარსულმა უკვდავქმნილი სახეები მოგვცა, ამეტყველებულ ქვებში გამოიხატა ერის კულტურა, და ანმყომაც ასე უნდა გააგრძელოს ცხოვრება - აღნიშნა ღონისძიებაზე მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა.

„ქართული მინა თუ არ მექნება. მე სხვი! სამოთხეს ვერ შევიყვარებ“, - ამ ტაეპით უძღვებოდა ღონისძიებას პედაგოგი, მთავარი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე მანანა ყაბანაშვილი, რომელმაც დასასრულს თქვა, რომ მართალ სიტყვას აქვს დიდი მაღლი, ძალა მომავალი თაობების აღსაზრდელად, ამიტომ ეს სიტყვა „მრავალჭამიერ“ სწორედ სკოლის კედლებში უნდა ძლიერდებოდეს და ფრთიანდებოდეს.

გენადი მახარაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა კვლადაკვალ



აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში (აღრე ავტონომიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) ხალხმარავლობა იშვიათი შემთხვევა არ არის. ასე იყო ახლაც. 20 ოქტომბერს აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა კვლადაკვალ. მისი მიზანი იყო კვლავ და კვლავ ვზიარებოდითრუსთაველისგენიალურსტრიქონებსა და ამოუნწურავ სიბრძნეს, აგრეთვე გვენახა, რამდენად პოპულარულია ჩვენთან შოთას უკვდავი პოემა და ამასთან მიგვეცა მაგალითი ახალგაზრდებისათვის, როგორ უნდა აფასებდნენ, უყვარდეთ და მარადრსაკითხავ

წიგნად ექცეთ „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანი“ ხომ რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, სულ ახალ-ახალსა და მანამდე ჩაუნვდომელს აღმოაჩენ, ეს ჩვენი - ქართველი ხალხის ქცევისა და მორალის კოდექსია, სულიერი საგანძური, ყველა ოჯახის მშვენება. მას პატარაობიდან უნდა ეცნობოდეს ადამიანი და ზრდასთან ერთად განუწყვეტილვ ჰქონდეს მასთან ურთიერთობა. ის ამდიდრებს ადამიანის გონებასა და სულს, აწვითარებს მასში კეითლშობილურ თვისებებს. როგორადაც არ უნდა ზემოქმედებდეს ჩვენზე უცხოური გარემო, „ვეფხისტყაოსანი“ ფარად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი ძვირფასი ტრადიციების დასაცავად.

აი, ის მოსაზრებები, რომლებსაც ბიბლიოთეკაში შეკრებილი საზოგადოება საყოველთაოდ გამოხატავდა. აქ კი საკმაოდ იყვნენ მკითხველები თავშეყრილნი. დიდი დარბაზი გადაჭედლი იყო ხალხით. ღონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები, მეცნიერები, მწერლები, სტუდენტები, ქალაქის ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა, იყვნენ აჭარის სოფლებიდან ჩამოსული წიგნის მოყვარულებიც.

ლონისძიება მეტად საინტერესოდ წარიმართა.

ვახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ. მცირე შესავლის შემდეგ მან ადგილი დაუთმო ლონისძიების წამყვანს მანანა სულაქველიძეს, რომელიც გარდა თავისი ინტელექტუალური მოღვაწეობისა, ცნობილია როგორც ვეფხისტყაოსნის "ტექსტის ზეპირად მცოდნე.



საოცარად დახვეწილი, არტისტული მანერებით მან მსმენელებს გადაუშალა პოემის მთელი შინაარსი, ფრაგმენტულად ადგილ-ადგილებს ზეპირად კითხულობდა და ამგვარად კვლავ გაგვიახლა ნაწარმოების შინაარსი და შეგვახსენა ძვირფასი ადგილები. ბოლოს მან ილაპარაკა იმაზე, თუ რამდენად პოპულარულია რუსთაველის დიდი თხზულება ჩვენში, მოიხსენია პირები, რომლებმაც თავიდან ბოლომდე იციან პოემა ზეპირად. ზოგი მათგანი კიდევ გამოვიდა საზოგადოების წინაშე ნაწყვეტების კითხვით (დიანა თამადაძე - ექიმი შუახევიდან, რამაზ ხალვაში); განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქობულეთელი პედაგოგის ლამიკო რიონიძის სიურპრიზი - გარდა იმისა,

რომ მან მთლიანად იცის ზეპირად „ვეფხისტყაოსანი“, ულამაზესი კალიგრაფიით მისგან გადაწერილი, წიგნად შეკრული პოემა სახილველად წარმოადგინა. გვითხრა, რომ ეს ნახელავი მან თავის ქალიშვილს მზითვებში გაატანა და მიაჩნია, ამის უკეთეს სამზითვოს ის ვერაფერს გაამზადებდა. მსმენელთა წინაშე მეტად საინტერესოდ გამოვიდნენ: პროფ.

იური ბიბილეიშვილი; ლალი ზაქაიძე - თავად რუსთაველის შესახებრამდენიმე მეცნიერული ნაშრომის ავტორი; შორენა მახათაძე - მეცნიერი, პედაგოგი; რამაზ სურმანიძე - მედიკოსი, მწერალი, მკვლევარი, ლიტერატორი; პოეტი ლელა ქებურიძე და სხვები.

ლონისძიება საქმიანად და მეტად ხალისიანად ჩატარდა. ბევრი საინტერესო რამ ითქვა, ბევრი წინადადებაც იქნა გამოთქმული; მათ შორის განსაკუთრებით მისაღებია მხედველობაში ის, რომ მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ ახალგაზრდებმა, მეტად უნდა შევუწყოთ მათ ხელი, თავიანთი პიროვნული თვისებები გამოავლინონ.

მეთოდოლოგიური კონსულტაცია

გუგული ჯინჭარაძე

მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

მკითხველთა უკეთ მომსახურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნობრივი ფონდების სისტემატიზაციასა და ორგანიზაციას.

წიგნობრივი ფონდების სისტემატიზაცია, როგორც ბავშვთა, ასევე საჯარო ბიბლიოთეკებში, ექვემდებარება სისტემატიზაციის საერთო წესებს, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სკოლამდელი და პირველი-მეორე კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებული ლიტერატურა. ამ ასაკისათვის განკუთვნილი წიგნები, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურას წარმოადგენს, ამიტომ არ მიენერება ინდექსი, მიენერება მხოლოდ ასაკის აღმნიშვნელი ნიშანი, რომაული ციფრი I, (საბავშვო ლიტერატურის სისტემატიზაციის შესახებ იხ. წიგნში, „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის

ცხრილები“, თბ, 1998. — გვ. 7-24). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ასაკისთვის გათვალისწინებული წიგნი არ არის მხატვრული, მეცნიერების რომელიმე დარგს მიეკუთვნება დამარტივებით არის შედგენილი, მაშინ მას ვაწერთ რომაულ II-ს და იმ დარგის მოსწავლეთათვის გათვალისწინებულ წიგნობრივ ფონდში ჩარვთავთ, სადაც ფონდების სისტემატიზაცია და ორგანიზაცია საკლასიფიკაციოლ ცხრილებით წარმოებს. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული დარგის ლიტერატურას გამოვიყენებთ სკოლამდელი და პირველი-მეორე კლასელების ბავშვებთან, იმ მიზნით, რომ მივანოდოთ ბავშვებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესახებ მარტივ ენით დაწერილი წიგნები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში

გამოიყენებენ უფრო მარტივ ინდექსს, ვიდრე სხვა დანარჩენ ბიბლიოთეკებში.

ამ კონსულტაციის მიზანია საუბარი მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაციის თავისებურებებზე.

მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაციის შესახებ საკითხი ადრე, უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის მე-3 გამოცემაში არსებული ძირითადი ცხრილების მიხედვით, გაშუქებული იყო ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (2006 წლის № 3, გვ. 41), მაგრამ ამჟამად უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის მე-5 გამოცემის საკლასიფიკაციო ცხრილებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინების მიზნით, საჭიროდ მივიჩნით განმარტების დამატებით მიცემა. ადრე ათწლიანი კლასიფიკაციის შესწორებული ვარიანტით მხატვრული ლიტერატურა აღინიშნებოდა რუსული ასოებით, ამჟამად მოქმედი საკლასიფიკაციო ცხრილებით კი იგი შეიცვალა არაბული ციფრებით. ქართული მხატვრული ლიტერატურის ინდექსი არის 821.353.1, რუსული მხატვრული ლიტერატურის ინდექსი 821.161.1 და ა.შ. ყველა ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის გამოსაყოფად გამოყენებული არის არაბული ციფრები.

მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურა მოიცავს რამდენიმე მწერლის ნაწარმოებს, წიგნს მიენიჭება ჯერ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსი, შემდეგ კრებულის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (082). მაგალითად: ქართველ მწერალთა ნაწარმოებების კრებულის სრული ინდექსი ასეთი იქნება 821,353.1(082); რუს მწერალთა ნაწარმოებების კრებული — 821.161.1(082) და ა.შ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წიგნში არის სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებები, მაშინ მიენიჭება მხატვრული ლიტერატურის ზოგადი ინდექსი 82.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეყნის ხალხთა ფოლკლორული ნაწარმოებები მიეკუთვნება შესაბამისი ხალხის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას, ადრე იგი მხატვრული ლიტერატურის ძირითადი ფონდიდან გამოყოფილი იყო რუსული ფ-ის საშუალებით, რაც ნიშნავდა ფოლკლორს. ამჟამად იგი არაბული ციფრებით გამოიყოფა, ფოლკლორის გამომხატველ მსაზღვრელს მივუწერთ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსს და შემდეგ სპეციალურ მსაზღვრელს — 91. ქართული ხალხური ფოლკლორის ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 821.161,1-91. ყველა

ქვეყნის ფოლკლორს აღნიშნული მეთოდით გამოვყოფთ ძირითადი ფონდიდან ცალკე. თუ ფოლკლორი სხვადასხვა ქვეყნისაა, წიგნს დაენიჭება მხატვრული ლიტერატურის ზოგადი ინდექსი: 82 და მიენიშნება — 91. ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 82-91.

მხატვრულ ლიტერატურას მიეკუთვნება ზღაპრებიც, ასევე ზღაპრის მსაზღვრელი: მიენიჭება იმ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსს, რომელი ქვეყნისაც არის ის და შემდეგ — 34. მაგალითად, ქართული ხალხური ზღაპარი ასე აისახება: 821.353.1-34. თუ კრებულია სხვადასხვა ქვეყნის, მაშინ დაინიჭება: 82-34 და ა.შ.

მკითხველთა მომსახურების საქმეში პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხატვრული ლიტერატურის ფონდიდან საჭიროა განსხვავებული ინდექსით გამოიყოს პიესები, ჩვეულებრივ, ჯერ ინიჭება იმ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსი, და შემდეგ კი სპეციალური მსაზღვრელი — 2. ქართული პიესების ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 821.353.1-2. თუ წიგნი რამდენიმე ავტორის პიესებს მოიცავს, მაშინ ინდექსი ასე დაინიჭება 821.353,1-2(082), ეს ანალოგიურია სხვა ქვეყნებისთვისაც. თუ წიგნი კრებულია, მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის პიესებს, მაშინ ინდექსი ასე დაინიჭება: 82-2. ასეთივე პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, აუცილებელია საჯარო ბიბლიოთეკებში თაროებზე ცალკე გამოიყოს დეტექტივები, ამ ჟანრის მასალებზე დიდი მოთხოვნაა და საჭიროა მათი ცალკე ორგანიზება, ქართული დეტექტივი ამ შემთხვევაში მიიღებს ინდექსს: 821.353.1-312.4, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ავტორთა დეტექტივების კრებულები წარმოდგენილი იქნება ინდექსით: 82-312.4. სისტემატიზაციის ამ ნიუანსს ბიბლიოთეკარი მიმართავს მაშინ, როდესაც დეტექტივები ბიბლიოთეკაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ფონდების სისტემატიზაციის დროს არის შემთხვევა, როცა გაურკვეველია, თუ რომელი ქვეყნისაა ესა თუ ის წიგნი, ან კიდევ — გაურკვეველია ამა თუ იმ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ სხვადასხვა წყაროების საშუალებით ვადგენთ როგორც ქვეყანას, ასევე ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსს. უფრო მეტი სიზუსტისათვის უმჯობესია მივმართოთ უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის მე-5 რუსული გამოცემის კომპიუტერულ ვერსიას.

ღირსეული წინაპრები

მიხეილ თამარაშვილის რაბაყების 150 წლისთავის გამო

გიორგი სარაჯიშვილი

ქართულ ანბანზე გაზრდილი მესხიარი და „ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში“

„პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს, ეს პირველი ზაგალსთია, რი.მ ასეთ შრომასა და ცდასთან ერთად, ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდეს“.

(ალ. ხახანაშვილი)

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა ახალციხეში 1858 წელს სექტემბრის თვეში, პეტრე თამარაშვილის და გაიანე ბათბანაშვილის ოჯახში. ახალციხეში გადასულმა თამარაშვილების ოჯახმა რუმბების მოკუპვრა-დამზადებით გამოიჩინა თავი. XVIII საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მასობრივი გამაჰმადიანებისა და გათურქების შედეგად, მესხეთში ისპობოდა მევენახეობა, რუმბების დამზადების საჭიროებაც კლებულობდა და წვრილი ხელოსნის ოჯახს დაღუპვა და გაკოტრება ემუქრებოდა. საგონებელში ჩავარდნილი მიხეილის პაპის მამა სოლომონი, ახალციხის სხვა ხელოსან-ვაჭართა ჯგუფთან ერთად იმერეთში წასვლით, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წყალობა და ვაჭრობის უფლება მოიპოვა. ახალციხეში დამზადებული ტიკებით დადიოდა ბაღდათის ბაზარზე და ოჯახისათვის სარჩოს შოულობდა. სოლომონის ხელობის გამგრძელებელ პეტრეს დამზადებული რუმბები, ასევე დასავლეთ საქართველოში ეყიდებოდა. მშობლებს რვა ვაჟი და ორი ქალი ჰყავდათ. ძმებს შორის ყველაზე უმცროსი მიხეილი (ბავშვობაში ალექსანდრე) მეცხრე შვილი იყო. უფროს ძმას სოლომონს, მასზე ოცდარვა წლით უფროსს, მიხეილზე დიდი ამაგი ჰქონდა. თოთხმეტი წლისა იყო მიხა, როცა მამა გარდაეცვალა.

დაწყებითი სწავლა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სკოლაში მიუღია, სადაც ქართული ანბანი შეუსწავლია, „ტომით ქართველ, ხოლო სჯულით კათოლიკე

ახალგაზრდებთან ერთად“ სამოქალაქო სკოლაში სწავლის დროს, სხვა საგნებთან ერთად, შეუსწავლია რუსული ენაც. მის წინ დაბადებულ ძმას მიხა ქუთაისში გადაუყვანია „ჯებ-მიცემით გამოწურთნის გასაგლეღად“, მაგრამ მას ამის სურვილი არ ჰქონია. ეხვეწებოდა თავის ზედამხედველ ძმას, სტამბოლში გამგზავნე პეტრე ხარისჭირაშვილის სასწავლებელში. პეტრე იმ დროს განთქმული ყოფილა ქართველ კათოლიკეთა შორის „საღვის ქართულის სამნიჯორი, სასტამბო და ქართული სკოლის საქმეებით“. ძმა არ უშვებდა მიხას; ამიტომ მიხამ თავიანთ უფროს ძმას სოლომონს მისწერა: „სტამბოლში მინდა წავიდე სასწავლებლად, მაგრამ ძმა არ მიშვებსო“. სოლომონს მიუწერია მასზე უმცროსი ძმისთვის: „შენ რა უფლება გაქვს, რომ მიხას სწავლის მისაღებად სტამბოლში წასვლას უშლიო. გამოგზავნე უსათუოდ ხაშურში“. მიხა ჩასულა ხაშურში სოლომონთან. გამგზავრებამდე, სანამ საქმე მოგვარდებოდა, დროებით მიუყვანიათ ხარაზთან სახელოსნოში. მიხა ხელოსნობაშიც მუყაითი და შრომისმოყვარე აღმოჩენილა.

სოლომონმა მიხას გაუმზადა მთავრობის მონაწილეობა, ფული, ტანსაცემელი, ლოგინი, ნაიყვანა ბათუმში, აულობილეთი, ჩააბარა ნაცნობ მგზავრებს და გაისტუმრა სტამბოლში. იგი მიღებულ იქნა სასწავლებელში, საიდანაც დაიწყო მისი ოცნების აღსრულება.

ქართველ კათოლიკეთა სასწავლებელში მიხა კარგად სწავლობდა. ხარისჭირაშ-

ვილმა ახალგაზრდა კაცზე დიდი გავლენა მოახდინა. მიღებული ცოდნის შემდეგ, ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა ესპანეთში. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ კონსტანტინეპოლში დარჩენილა სასწავლებლად, შემდეგ წასულა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ მთელ დროს ატარებდა ნიგნსაცავებში, არქივებსა და მუზეუმებში. მცირე ხნით, ნოსტალიგიაშეპყრობილი, თბილისშიც ჩამოსულა. „წვერით მოსილი, ლათინი წესზედ მდგარი“ იხვევ საზღვარგარეთ წასულა უმაღლესი განათლების მისაღებად. 1891 წელს ჩასულა რომში, სწავლა გაუგრძელებია სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1894 წელს დაუმთავრებია, ღვთისმეტყველების ხარისხით. მღვდლადაც უკურთხებიან. უკვე თეოლოგიის დოქტორი, იმავე წელს საქართველოში დაბრუნებულა. გაჩერებულა პატრ ალფონს ხითაროვთან, რომელიც ითვლებოდა კათოლიკეებში სამაგალითო მოძღვრად. მიხილს სამშობლოში ყოფნა და სამსახური სურვებია. კათოლიკეთა ვიზიტორად კავკასიაში ამ დროს თბილისის ვუბერნატორის ძმარლოვსკი ყოფილა. თამარაშვილს თბილისში შემოსვლისა და მღვდელმოქმედების შესრულებისათვის ნებართვის ასაღებად არლოვსკისათვის მიუმართავს. მღვდელმოქმედების ჩატარებაზე და თბილისში დარჩენაზე უარი მიუღია. მიზეზი არლოვსკის თამარაშვილის პატრ ხითაროვთან მეგობრობა ყოფილა, რაკი არლოვსკის მტრობა ჰქონია პატრთან. გარდა ამისა, საქმეში მტრულად ყოფილა ჩარეული სომეხთ კათოლიკე, მღვდელიც. მიხილი წერდა: „ამ ჩემს განდევნაში არც სომეხ კათოლიკენი არიან უმანკონიო“.

საქართველოდან წასვლამდე გზად გორში დარჩენილა, კათოლიკეთათვის უმსახურნია, მოუგროვებია ფული, ერთი ნაწილი გორის „შეუძლოთათვის დაუგროვებია“, მეორე ნაწილი - სოლომონის ხელით ხითაროვისათვის გაუგზავნია თბილისელ ლარიბებისათვის დასარიგებლად. გორიდან ახალციხეში გადასულა, მაგრამ არც იქ ჰქონია ნება დარჩენისა და მსახურებისა. პატრ ხითაროვილს უსიამოვნებაც კი მოსვლია არლოვსკისთან, მაგრამ არაფერი გამოსვლია. გულნატკენი მიხილი გამოთხოვებია სამშობლოს და რომში გამგზავრებულა.

მიხილმა რომში „საერო და საღვთისმეტყველო საგნების გარდა, კარგად შეისწავლა: იტალიური, ლათინური, ფრანგული ენები, მცირედ სომხური, თათრული და მასთან რუსულიც შესაფერად“. რომიდან ზაქარია ჭიჭინაძისათვის მიუწერია: „შესახებ ჩემის ქართულის ნაკლებად ცოდნისა, გთხოვთ მომიტევოთ, რადგანაც საქართველოდან ჩემი 10 წლის განშორებამ და მერე კიდევ რვა წლის შორს ყოფნამ ბევრი რამ დამავინყა ქართულის და ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი არაფერი ვიცოდი ქართულისა, რადგან ჩვენ დროს, ახალციხის სკოლაში ანბანის მეტი არაფერი მისწავლიათ“. ევროპული ენები სრულყოფილად ჰქონდა შესწავლილი. „მას თავისუფლად შეუძლია ენებზე წირვა-ლოცვა აასრულოს, იქადაგოს და სწეროს... საყურადღებოა მისი ცოდნა და გარჩევა ძველი ლათინურის და იტალიურის გაურკვეველის ხელისა, რასაც ის თურმე ძლიერ ადვილად არჩევს ისე, როგორც კაცი განცვიფრდება“, - წერდა ალ. ხახანაძე-ვილი. რომში მიხილს დაუწყია ქართველ კათოლიკეებზე ცნობების შეგროვება და 1893 წელს პარიზის ფრანგული გაზეთის - „ლაკრამის“ სამ ნომერში გამოუქვეყნებია, - წერდა გაზეთი „ცნობის ჭურციელი“ და დასძენდა: „ეს წერილები ქართულად ითარგმნება და „კრებულში“ დაიბეჭდებაო, წერილები ქართველ კათოლიკეებზეო“. წერილებს მოჰყოლია სხვადასხვა პუბლიკაციები საქართველოს შესახებ, როგორც ფრანგულ, ისე იტალიურ ენებზე. ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვის, ლონდონის არქივებში თამარაშვილმა გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი დოკუმენტური მასალა: ლაშა გიორგის, რუსუდანის, ივანე მხარგრძელის, გიორგი ბრწყინვალის, გიორგი VIII-ის, ათაბაგ ყვარყვარე II-ის, ლუარსაბ და სიმონ მეფეების, თუმურაზ I-ის, წმინდა ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ II-ის, ლევან II დადიანის, როსტომ მეფის, ვახტანგ V-ის, ვახტანგ VII-ის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, სოლომონ II-ის და სხვათა ადგილობრივი მინერ-მონერა ევროპის ქვეყნების მეთაურებთან, რომის პაპებთან, მან შესძლო ამ მასალების დამუშავება და გამოცემა.

ქველმოქმედ-მეცენატ სტეფანე ზუბალაშ-

ვილის თანადგომით, 1902 წელს თბილისში დაისტამბა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნეიდან XX საუკუნემდე“. ამ წიგნის მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებას ალ. ხახანაშვილმა აუწყა, რომელსაც ის ჯერ ისევ ხელნაწერად ენახა თვით ავტორის ხელში. ამის შესახებ მოსე ჯანაშვილი წერდა თავის სარეცენზიო წერილში და დასძენდა: „ეს ზრტო „კათოლიკობის ისტორია“ უარ არის, არამედ საქართველოს შინაურის ცხოვრების და პოლიტიკურის მდგომარეობის ისტორია; და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი წეროვ „ქართლის ცხოვრება“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართლის ცხოვრება უფრო პოლიტიკურ მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც“.

თბილისში, 1904 წელს გამოვიდა. „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“. ნამოჭრილ კითხვას ავტორმა წიგნის სათაურში თავადვე გასცა პასუხი.

1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოცემულმა ნაშრომმა: „საქართველოს ეკლესიის ისტორიამ“ დიდი გამოხმარება ჰპოვა ევროპის სამეცნიერო წრეებში; მან ვატიკანის (რომის პაპის) სპეციალური პრემია მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ თამარაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას. 700 - გვერდიან კაპიტალურ გამოკვლევაზე გამოცემის დღიდან მოკლე დროის განმავლობაში ორმოცდაათზე მეტი რეცენზია დაინერა: ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე. ამ ნაშრომმა გამოჩენისთანავე დიდი პოპულარობა მოუტანა ავტორს.

თამარაშვილმა ქართველი ერის წარსულის სიდიადე, რომლის შესახებ ევროპაში დამახინჯებული ცნობები იყო გავრცელებული, წიგნის სამ თავში გააცნო დასავლეთ ევროპას: საქართველოს გეოგრაფია, ქართველი ერის შთამომავლობა, მისი პოლიტიკური არსებობა 1801 წლამდე და ქრისტიანობის დამყარება-გავრცელება.

მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი მესხეთში კათოლიკე ქართველებისათვის. ლათინურ-სომხური ტიპიკონი ქართველ

კათოლიკეებს არაქართველებად აცხადებდა, რჯულს უცვლიდა. 1884 წლის ყურნალი „მწყემსი“ საკათოლიკო სარწმუნოებაზე წერდა: „მართლმადიდებლობითი სარწმუნოებისაგან მით გაირჩევა, რომ იმის წარმომადგენელი არის პაპი, რომელსაც ქრისტეს მოადგილედ ხდიან, სარწმუნოების სიმბოლოშია დამატებული „მრწამს სული წმიდა, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს... მღვდლებს შეუღლების ნება არა აქვთ“.

თამარაშვილის ნაშრომს საქართველოში მომხრეებთან ერთად კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ; „ნაშრომს თავისი უვალნი დააჩნია ავტორის კონფესიურად კათოლიკობამაცო“ - წერდნენ ისინი.

ტიტანური შრომა, რომელიც თამარაშვილმა გასწია არქივ-საცავებში მასალების მოსაძიებლად, დიდ ჯაფას მოითხოვდა. „ნაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა-ფაქტებით და კარგის ურანაგული ენა... კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია. ჩვეს და ევროპის ლიტერატურაში ამ საგანზე ჯერ მაგის მსგავსი არაფერი დაწერილა... თუ თანამედროვე ქართველი საზოგადოება ვერ შეიგნებს თქვენს ასეთ ღვაწლს, მომავალი თაობა მაინც ღირსეულად გააფასებს მას და უკვდავყოფს თქვენ შარავანდედით მოსილ სახელს“, - წერდა ევროპულად განათლებული სიმონ ქვარიანი თამარაშვილის: 1911 წელს დაღუპვიდან რამდენიმე თვით ადრე. ნაშრომი გამოითხოვა ევროპის თითქმის ყველა აკადემიამ და უმაღლესმა სასწავლებელმა.

„ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ ანუ „L Eglise Georgienne“, 85 წლის შემდეგ თარგმნეს ქართულ ენაზე, ზ. ალექსიძე და ჯ. ოდიშელმა, უცხოელ და ქართველ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად, წიგნის გადმოქართულება არ იყო ადვილი. ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით 1990 წელს პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ აღინიშნა ის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით. თავის დროს ორი წელი დაჭირდა თამარაშვილს სპონსორის მოძებნისათვის. სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალებამ საქმე უკან დახია. მიხეილმა თხოვნით მიმართა დავით სარაჯიშვილს, „ეკლესიის ისტორიის“ დაბეჭდვის თაობაზე. ნიკოლოზ ბერიძე, რომელსაც უთხოვნია სარაჯიშვილი-

სათვის, რათა დახმარებოდა თამარაშვილს, პარიზიდან რომში მიხეილს სწერდა: „სარაჯიშვილს მოველაპარაკე თქვენ შესახებ, მან მოახდინა განკარგულება, რომ მის კანტორას თქვენთვის რომში ფული გამოეგზავნა“. ამავე საკითხზე მიხეილს შეუწუხებია ზ. ჭიჭინაძეც. ზაქარიას დაუთანხმებია მეცენატი, რომ თამარაშვილისათვის 500 მანეთი მაინც გაეგზავნა. კანტორამ 150 მანეთი გაუგზავნა, რაზეც ბრაზობდა ჭიჭინაძე: „ღმერთმა შეარჯხინოს სარაჯიშვილი... ვილაც გამოუსადეგრებს წელიწადში სტიპენდიად 18 ათას მანეთს აძლევს და თქვენთვის ერთი სტიპენდიის ტოლი მაინც გამოეგზავნა“.

პოლონელებმა ანოტაციის გაცნობის შემდეგ გაუგზავნეს ავტორს 100-მდე ფრანკი, ამდენივე თანხით დაეხმარა რუმინეთის აკადემია. ისევ ზუბალაშვილებმა გაუმართეს თამარაშვილს ხელი, ისე როგორც მის სხვა ნიგნებზე.

თხუთმეტიოდე წლის დაძაბული კვლევის შედეგად, თამარაშვილმა იმდენი მეცნიერული საზრდო შეიტანა ისტორიოგრაფიისა და ნყაროთმცოდნეობაში, რასაც ჩვეულებრივ პირობებში თაობათა შრომა დასჭირდებოდა. „მორჩა, ნავიდა მეზღაპრეობის დრო. ახლა მეცნიერება საისტორიო საგნების გამოკვლევაშია დამყარებული, ძველ ხელნაწერ საბუთებზედ, რომლებშიც ლაპარაკია გავლილი დროის ფაქტებზე, ანუ გარემოებაზე“, - წერდნენ სარეცენზიო წერილებში 1902 წელს გამოსულ ნიგნზე; 1904 წელს დასტამბულ პოლემიკური ხასიათის ნიგნით დამტკიცდა, რომ სიმართლეს მოკლებულია სომხების მსჯელობა, თითქოს ქართველი კათოლიკეები არ არსებობდნენ.

თამარაშვილის შრომებთან დაკავშირებით მრავალი რეცენზია გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში. 1899 წლიდან წერდნენ თამარაშვილის საქმიანობაზე უცხოეთში, სადაც საზოგადოებას ნიგნების დაბეჭდვასთან და სპონსორის მოძიებასთან დაკავშირებით აუწყებდნენ. „ჩემი სამშობლო ქვეყნის და ერის სამსახურისათვის თავს დავდე და თუ საქმე იქმნა, მისთვის თავსაც ადვილად გავწირავ და სისხლსაც დავღვრიო“, - წერდა თამარაშვილი და თან დასძენდა: „სარწმუნოება და ტიპიკონი ხშირად საზღვრავდა გვარტომობის სახელსაც და ხდებოდა ხშირად გვარ-ტომის სახელად თავის სახელს“, რასაც

იგი უკულმართობად მიიჩნევდა და იბრძოდა მისი გამოსწორებისათვის.

„ამ ხანებში ბევრი ახალი დოკუმენტი აღმოჩნდა არხივებში და კიდევ იმედი მაქვს, რომ ბევრი რამ აღმოვაჩინო. ასეთი დოკუმენტები საქართველოსათვის უძვირფასესი განძია... ამისთანა ძვირფას საგანს ჩემს მეტი დამფასებელი არავინ ჰყავს... მტვერში დაფლული და დავიწყებული მოეძიათ და შეეკრიბათ... როცა აღმოჩნდა მათი მომქვარი და შემკრები საქართველო განურჩევლად და გულგრილად უცქერის მას. სხვა ქვეყნებში ესრე როდია, მამულისათვის მშრომელს კერძოდ ხელს უწყობენ და შემწეობას აძლევენ. რადაა ასე? ... გეითხებოდა ჭიჭინაძეს მიხეილი.

მიხეილმა იტალიის ზეშო მხარეში - თასკანაშისულხანსაბაორბელიანზე კარგი ცნობები შეკრიბა: „ვიპოვნე ყველა გარემოება საბას შესახებ, რომელიც ფლორენციაში მისულა 1714 წელს. გრანდუკას მიუღია პატივით. გადაუცია მისთვის საქართველოზე მოხსენება. საბას ორი ცოლი ჰყოლია. მეორე ცოლი კათოლიკეთ მოქცეულა. ჰაბა მეორე ცოლის სიცოცხლეშივე შემონაზვნებულა. „წერილებიდან“ შევიტყვე, რომ დომინკას, რომელიც დასწრებია პერსიაში ქეთევან დედოფლის წამებას, 1624 წელს აქ რომ მოსულა, დაუნერია... ვიპოვე ვახტანგ მეფის ორი წერილი 1722 წლისა, რომელიც მიუწერია სტამბოლში მყოფ ავსტრიის ელჩისათვის და მეორე თვით ავსტრიის იმპერიისათვის კარლ VI-თვის და სთხოვს შემწეობას თათრების წინააღმდეგ და ეუბნება, რომ საქართველოში ბევრი კათოლიკეა და მათ რიცხვში მეც კათოლიკე ვარო, თუმც კი ვერ გამომიცხადებია აქაური არეულობის გამო“.

„შარშან სიცილიაში (პალერმოს კომუნალური ნიგნსაცავი) აღმოვაჩინე მისიონერის მიერ დახატული სურათების ალბომი საქართველოს მთავრობისა და ეკლესიების შესახებ, - წერს თამარაშვილი, - შევიძინე 137 ცალი ფოტო, გადავალებინე ეს სურათები... თქვენ გიგზავნით სამ დიდსა და ხუთ პატარას“.

ქრისტოფორო დე კასტელის ალბომის აღმოჩენას ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ძვირფასი დოკუმენტები შედგება ოთხი დიდი ტომისაგან, რომელშიც ნახატებია, ქვეშ მინანერი

ტექსტებით, ქართველი მეფეები, მთავრები, ეკლესიები, სახლები, პატრების მამულები, სხვადასხვა გარემოებები და ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან.

„ცნობის ფურცელმა 1904 წლის სურათებიან დამატებაში (1904, №231) გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი სურათი.

თამარაშვილს საქმიანი მიმონერა ჰქონდა ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან: აკაკისთან, ზ. ფალიაშვილთან, მიხ. წერეთელთან, ზ. ავალიშვილთან, პ. მირიანაშვილთან, ალ. მრევლიშვილთან, ი. ნიკოლაძესთან, ალ. სარაჯიშვილთან და სხვა.

თამარაშვილის მიხედვით: „1545 წელს მოხდა სომეხ „უნითონების“ შემოსვლა საქართველოში, მაშინ, როცა ევროპელ მისიონერებს ჩვენში შემოსვლის საშუალება მოესპოთ. თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებაში უნითონებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სომეხ უნითონთა აღნიშნული ძმობა, როცა თამარაშვილი „არა მკვიდრნი კაცის“ პრობლემას ეხება, აღნიშნავს, რომ „სიცოცხლის გადარჩენამ, სარწმუნოების დაცვამ აიძულა ქართველი კათოლიკეები მიეღოთ სომხური ტიპიკონი“.

1911 წლის 2 სექტემბერს, რომის გაზეთის ცნობით, 53 წლის თამარაშვილი „სააგარაკოდ გაემგზავრა სოფელ სანტ-მარინელაში, სადაც იგი თავისი ეროვნული წიგნის მასალებს აგროვებდა, რომელიც მთლად ეროვნული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ წიგნის დამთავრება არ დასცალდა. 11 საათზე ის სანტ-მარინელას საბანაოზედ პროფესორ ავგუსტოსთან ერთად დასეირნობდა, ამ დროს ზღვიდან მოესმათ ყვირილი - კაცი შველას ითხოვდა.

პროფესორი ავგუსტო შეცურებულა ზღვაში საშველად, მაგრამ საქმე გასჭირვებია, მას მიეშველა მიხეილიც. ზღვა ძლიერ დელავდა. საშინელი ხმაური ატყდა ხალხში, მაგრამ შველა ველარ შეძლო. რამდენიმე ხნის შემდეგ თამარაშვილი ზღვიდან მკვდარი გამოიტანეს, პროფესორის გვამი - კი ვერ იპოვეს. თამარაშვილი დიდი პატივით დაასაფლავეს 7 სექტემბერს.

თბილისის ფოსტა მთელი ღამე იტალიიდან სამგლოვიარო დეპეშებს ღებულობდა. დილით უკვე „სახალხო გაზეთი“ იტყობინებოდა სამწხუხარო ამბავს.

გაზეთი „თემი“ თანამარაშვილს „ყველასგან

განსხვავებული“, „იშვიათ პიროვნებად“ მიიჩნევდა და მოუნოდებდა ყველას: „ღირსეულად ვიტყვით საქართველოს ღირსეული შვილი“. თითქმის ყველა ქართულ-რუსული გაზეთი გულისტკივილით აღნიშნავდა თამარაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს.

თედო სახოკია გერმანიიდან საფრანგეთში არჩილ ჯორჯაძეს წერდა: „თამარაშვილის უბედურების ამბავი „სახ. გაზეთის“ ამბებიდან გავიგე. წარმოიდგინე რა დღეები ვიქნები... საცოდავმა სწორედ იმ დღეს მომწერა წერილი, რა დღესაც ეს საცოდაობა დატრიალდა. მწერდა დღეის იქით რომში მომწერე წერილი... ვინ იცის, ვინ დაეპატრონა მის ბიბლიოთეკას, ხელნაწერებს. ერთ წერილში მწერდა: „დიდ შრომას ვამზადებ, გაცილებით საყურადღებოსო“.

თამარაშვილს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. სპეციალური კომისიის მიერ აღრიცხული 2000 დასახელება ჩალისფასად გაყიდულა. ხელნაწერები და მიწერ-მონერა, საბუთები, რუსეთის საკონსულოს შემვეობით გადმოგზავნილ იქნა საქართველოში.

გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე თამარაშვილი იწერებოდა: „22 წელიწადია რაც სამშობლოს მოვშორდი, მე აქ ვარ და გული მანდ არის. მწყურია საქართველოს ხილვა და მისი ტკბილი ჰაერის სუნთქვა“.

თამარაშვილის დასაფლავებაზე ჩასვლა ვერავინ შესძლო. რომიდან შავარშიამოვლებული მოსაწვევი ბარათები კი ბევრმა მიიღო. დიდი პატივით დაუკრძალავთ წმინდაიოსების კოლეგიის ძმობის წევრებს. ლიტერატურულ მუზეუმში ინახება გაზეთი იტალიურ ენაზე, რომლის ორი გვერდი მთლიანად დათმობილია თამარაშვილისადმი, სადაც წერია, სოფ. სანტა-მარინელას ეკლესიის ეზოში იტალიელ საზოგადოებას გადაუწყვეტია ძეგლის დადგმა. კომისიას გადაწყვეტილება უცნობებია თბილისის საზოგადოებისათვის.

ახალციხის კათოლიკეთა ეკლესიაში თამარაშვილის მოსახსენებლად გადახდილ იქნა პანაშვიდი. მინდვრის ყვავილებით დაფარულ სატრაპეზოზე მიხეილის გადიდებული პორტრეტი იდგა. თავზე ეწერა: „გმირობის მსხვერპლი თავად გმირი თამარაშვილი“; ხოლო მარჯვნივ ილიას სიტყვები: „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდარად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დაარჩენია“. ტიროდნენ

ქართველი კათოლიკები, მართლმადიდებლები, ქართველი მაჰმადიანები, ებრაელები, ახალციხელი სომხები, „ავე-მარიას“ მუსიკის თანხლებით. ორღანის მინორულ ტონებში მუხლმოყრილი ქართველი მაჰმადიანები ჰკოცნიდნენ თამარაშვილის სურათსა და ცრემლებით ეთხოვებოდნენ. ხალხი კითხულობდა მამა ივანე გვარამადის ამბავს, რომელიც მიხეილის დაღუპვის შეტყობისთანავე ცუდად გამხდარა, ლოგინად ჩავარდნილიყო და აღარც ამდგარა. რვა თვის შემდეგ თავის მოწაფის კვალს გაჰყვა.

თბილისში ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესია თალხებით შემოსეს. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დასწრებია. გალობდა კათოლიკეთა სკოლის გუნდი. პანაშვიდის დამთავრების შემდეგ გრიგოლ დიასამიძემ შეიტანა წინადადება თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან საქართველოში გადმოსვენების შესახებ. იქვე აირჩიეს კომისია. ვინაიდან ანგარიში უნდა გასწეოდა თამარაშვილის ძეგლის დამდგმელ იტალიურ კომიტეტს, ამიტომ დაადგინეს: „ეთხოვოს იტალიურ კომიტეტს, რათა თამარაშვილის ცხედარი ჩამოსვენებულ იქნას საქართველოში, ხოლო ძეგლი აღმართულ იქნას იტალიაში“.

ქართველებმა დანაპირები ვერ შეასრულეს, ხოლო იტალიური კომისია ბოლომდე ერთგული დარჩა. დაღუპვის ერთი წლის თავზე ძეგლის გახსნა დიდი ცერემონიალით შესრულდა. კომისიის დადგენილებით, რომში დაიბეჭდა და გავრცელდა ღია ბარათები თამარაშვილის სურათით. რომსა და ვატიკანში გადახდილ იქნა პანაშვიდები.

მეორე „ქართლის ცხოვრების“ დამწერის ჭირისუფლები და დამფასებელი უცხოელები აღმოჩნდნენ. 1912 წელს მოხერხდა, მიხეილის გარდაცვალების წლისთავზე ხელახლა გამოეცათ ზ. ჭიჭინაძის „ქართველი კათოლიკე პატრი მიხეილ თამარაშვილი“. უშიგლოდ გარდაცვლილი თამარაშვილის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება მისმა ძმებმა სოლომონმა და გრიგოლმა მიიღეს. ძმები ერთმანეთში აიშალნენ და გამანაწილებელ-მომრიგებლად გრიგოლ ყიფშიძე მიიწვიეს.

თამარაშვილის არქივი 1913 წელს ძმებს შორის ფურცელ-ფურცლად იქნა განაწილებული. ამის გამო მთლიანი ნაშრომი დანაწევრებული აღმოჩნდა სხვადასხვა საცავებში, მათ შორის: ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტე-

რატურის მუზეუმში, დედაუნივერსიტეტში, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ჯანაშიას სახელობის მუზეუმში და სხვა.

1978 წელს თამარაშვილის ნეშტი ჩივიტავეკიიდან „ქართული ფილმის“ კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი რევაზ თაბუკაშვილი, საქართველოში გადმოასვენა. პრესა, რადიო, ტელევიზია აშუქებდა თამარაშვილის ღვანლს ერის წინაშე. ხელოვნების მუზეუმის ვესტიბული მეცნიერის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის ჰანგებზე გამართული პანაშვიდების შემდეგ პროცესია რუსთაველის გამზირით გაემართა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისაკენ. თამარაშვილის მიერ 1910 წელს შეთხზული სტრიქონები ყველა დამსწრეს უჩქროლებდა გულს: „თუ ველარ გნახე ტურფა ედემო და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული, შენ დამიტირე, სიცოცხლე ჩემო, და მიისვენე შენი ერთგული“. ყველას უნდოდა ზღვა ხალხში თამარაშვილის კუბოს ხელით შეხებოდა. დიდუბის წმინდა მიწამ გულში ჩაიხუტა თავისი შვილი.

სექტემბრის თვეში დაბადებულს, სექტემბრის თვეში უმტყუნა ბედმა.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ცნობის ფურცელი - 1899 №823. 2. - - №796 3. - - №778
4. - - 1902 №1856 5. - - №1921
6. - - 1901 №1554
7. ივერია 1900 №213
8. - - 1902 №225
9. - - 1902 №235 10. - - №254
11. მწყემსი 1901 №3
12. ცნობის ფურცელის სურათებიანი დამატება - 1904, №231
13. ლიტერატურული საქართველო. - 1979, 7 ნომბერი
14. - - 1978. - №17, ნომბერი
15. - - 1978. - 1 დეკემბერი
16. - - 2001, №51
17. უ. მაცნე: ისტორიის სერია. - 1979, №3
18. მნათობი. - 2002, № 5-6
19. ჭიჭინაძე, ზ. მიხეილ თამარაშვილი. - თბ., 1904.
20. სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები: პატრი მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი. - თბ., 1912
21. სახოკია, თ. ჩემი საუკუნის ადამიანები. - თბ., 1984
22. ლომსაძე, შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. - თბ., 1984.
23. აღექსიძე, ზ., ოდიშელი, ჯ. მიხეილ თამარაშვილი. - თბ., 1995.
24. თამარაშვილი, მ. ისტორია კათოლიკობისა. - ტფ., 1902.
25. თამარაშვილი, მ. პასუხად სომხის მწერლებს. - თბ., 1904.
26. კომუნისტი. - 1978, 21 ნომბერი.

ლევ ტოლსტოი - 180

მანანა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი

მსოფლიო მწერლობის ბიბანტი



ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში რუსულ ლიტერატურაში თავს იჩენს სურვილი საქართველოსთან სულიერი კავშირისა და ამ მხარის გაცნობისა. მე-19 საუკუნიდან ეს ინტერესი საგრძნობლად იზრდება. ამ დროიდან მეფის რუსეთის აგრესიული პოლიტიკაც კავკასიის დასაპყრობად აშკარა ხდება. რუსეთის მმართველ პოლიტიკურ წრეებში კავკასიით დაინტერესება ძალზედ დიდი იყო. ამავე დროს, შორეული კავკასია მიჩნეული იყო თავისუფლად მოაზროვნე ლიბერალური ინტელიგენციის გადასახლების ადგილად - დეკაბრისტების მთელი პლეადა სწორედ კავკასიაში იყო გადმოსახლებული. რომანტიკულ პოეზი-

აში შორეული კავკასია ოცნებისა და ეგზოტიკის საგნად იქცა. კავკასიის დასაპყრობად წარმოებული ომებიც კი რომანტიკულ სამოსელში გაეხვია და ამით საქმის რეალური ვითარება, ფაქტობრივად, მიიჩქმალა. ასეთი ვნებათაღელვა ერთი პატარა ქვეყნის გამო უთუოდ შეიძლება ჩაითვალოს ლევ ტოლსტოის კავკასიაში გამომგზავრების ასახსნელად.

ყაზანის უნივერსიტეტიდან გამოსვლის, მოსკოვსა და პეტერბურგში გამუდმებული ქეიფებისა და ბანქოს თამაშის შემდეგ ლ. ტოლსტოი უბრუნდება თავის მამულს იასნაია-პოლიანას ბუნებასა და სიმშვიდეში დასასვენებლად. მალევე სწყინდება მას სოფლის ერთფეროვნება და 1851 წლის გაზაფხულზე თავის უფროს ძმასთან - ნიკოლოზთან ერთად მიემგზავრება კავკასიაში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზამ, დარილის ხეობამ. მოინახულა გერგეთის სამების მონასტერი. „საათობით ვდგავარ და ვინიბლები ბუნების პეიზაჟებით“, - წერს ტოლსტოი თავის გამზრდელ მამიდას ტ. ერგოლსკაიას. და საერთოდაც, მწერლის შემოქმედების თავისებურებაზე ნაწილობრივი გავლენა მაინც უთუოდ კავკასიამ მოახდინა. პირველად სწორედ აქ დაუფიქრდა მწერალი თავის წარსულს და მომავალ დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქვე ჩამოსცილდა ეგზოტიკის საფარველი კავკასიას და სულ სხვა სახით წარმოუდგა ის რეალისტ მხატვარს. ლევ ტოლსტოის პირველი შემოსვლა მაშინდელ ტფილისში 1851 წ. 1 ნოემბრით თარიღდება. ქალაქს ძალზე სასიამოვნოშთაბეჭდილება მოუხდენია: „ცივილიზებული ქალაქია, ძალიან. ჰბაძავს პეტერბურგს და კიდევ აღწევს მიზანს. მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა, არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ...“ (ლ. ტოლსტოის წერილიდან) თბილისში ლ.

ტოლსტოის ნაცნობთა წრე თავიდან ერთობ შეზღუდული იყო, მაგრამ დრო გადიოდა, წრე ფართოვდებოდა და მტკიცე მეგობრული კავშირებიც მყარდებოდა. პროგრესულად მოაზროვნე ქართველები, გლეხები, უბრალო ადამიანები ცდილობდნენ მასთან დაახლოებას. ურთიერთობას, მისგან რჩევის მიღებას. ისიც გულლიად იღებდა მომსვლელთა და თბილ, სანუგეშო სიტყვებს არ იშურებდა მათთვის. თბილისში ყოფნის ხუთი თვის მანძილზე საფუძველი ჩაეყარა იმ მტკიცე მეგობრობას ქართულ ინტელიგენციასთან, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო და 90-იან წლებში კიდევ გაძლიერდა. ლ. ტოლსტოის პირადი ურთიერთობები და მიმოწერა ჰქონდა ი. ნაკაშიძესთან, ნ. ნაკაშიძესთან, ბ. გეგიძესთან, გ. დადიანთან, მ. ბოლქვაძესთან, მ. ყიფიანთან. სწორედ აქ, თბილისში იწყებს მწერალი პირველი ნაბიჯების გადადგმას ლიტერატურულ ასპარეზზე. 1852 წელს თბილისში დაიწერა მისი პირველი მოთხრობა „ბავშვობა“ (ამავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნიკში“), რომელმაც შემდგომ „ყრმობასა“ და „სიჭაბუკესთან“ ერთად ავტობიოგრაფიული ტრილოგია შეადგინა. კავკასიის თემისადმი მიძღვნილია მოთხრობა „ჰაჯი-მურატი“ (1896-1904, გამოქვეყნდა 1912). აქ ყოფნისას დაინტერესდა ტოლსტოი შამილის განთქმული ნაიბის ჰაჯი-მურატის პიროვნებით. ლიტერატურულ წყაროებზე, ნანახსა და გაგონილ ამბებზე დაყრდნობით შექმნილი ნაწარმოები 1929 წელს ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე.

ტოლსტოის პიროვნებითა და შემოქმედებით დაინტერესებული ქართული საზოგადოება მალევე ეცნობოდა მის ნაწარმოებებს. სულიერ საზრდოსა და პროგრესულ იდეებს მოწყურებული ინტელიგენცია ორიგინალშივე კითხულობდა მის მოთხრობებსა თუ პუბლიკაციებს. გაჩნდა სურვილი, ფართო მასებამდე მიეტანათ მწერლის შემოქმედება და უკვე 1872 წელს ჟურნალ „ცისკარში“ ჩნდება ლ. ტოლსტოის მოთხრობის თარგმანი „ოჯახობის ბედნიერება“, რომელიც ამ ჟურნალის პირველ და მეორე ნომერშია გამოქვეყნებული. 1885 წლის ჟურნალ „მწყემსის“ ექვს ნომერში იბეჭდება თეოფილე ხუსკივაძის მიერ ნათარგმნი მოთხრობა „რითი სცხოვრობს ხალხი“, 1887 წელი - ჟურნალი „თეატრი“ (№9-10) აქვეყნებს ივ. როსტომაშვილის თარგმანს. ლ. ტოლსტოის „Власть тьмы“-სა.

1890 წლიდან ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა ჟურნალი „ჯეჯილი“. ამ პერიოდში ქართული საბავშვო ლიტერატურის წინსვლა-განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული „ჯეჯილთან“. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ორიგინალური ქართული საბავშვო ლექსები, მოთხრობები, ხალხური გადმოცემები, ლეგენდები, გამოჩენილ ისტორიულ პირთა ცხოვრების მატთანე, ნათარგმნი და გადმოკეთებული რუსი და უცხოელი მწერლების საბავშვო ლექსები და მოთხრობები, მცირე მოცულობის სამეცნიერო ხასიათის წერილები, დარიგებანი და ა. შ. თარგმნილი საბავშვო ლიტერატურიდან მინდა გამოვყო ლევ ტოლსტოის „ორი ძმა“ (ზღაპარი).

ჟურნალები „ივერია“ და შემდეგ „კვალი“ (1893 წლიდან) გახლდათ აზროვნების, კულტურისა და ლიტერატურის მესვეური, ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელი, ერის მოჭირნახულე და მოამაგე. „ივერიაში“ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი თარგმნილ ლიტერატურას, იბეჭდებოდა ი. მაჩაბლის, ი. ბაქრაძის, პ. უმიკაშვილის და სხვათა თარგმანები. 90-იან წლებში დაიბეჭდა მოპასანის, ბიჩერ-სტოუს, ჰაინეს, დოდეს, სენკევიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ლევ ტოლსტოის და სხვათა თხზულებანი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულია ლევ ტოლსტოის ნაწარმოებების ქართულად ნათარგმნი ადრეული გამოცემები. ერთ-ერთი ასეთი გამოცემაა „მკვდარ-ცოცხალი“, დათარიღებული 1884 წლით, თარგმნილი და გამოცემული ხუსკივაძის მიერ. დაცულია აგრეთვე მცირე მოთხრობა „ცეცხლი თუ გაძლიერდა, ველარ გააქრობ“ სტ. ხოჯივანიშვილის თარგმანი, ქუთაისის თ. პეტრეწულუკიძის სტამბის 1887 წლის გამოცემა; 1992 წელი - „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ (მოთხრობა), მთარგმნელი სტ. ხოჯივანიშვილი, გამოცემა კ. თავართქილაძისა. უკვე თარგმნილი და გამოცემული ნაწარმოებები ხელმეორედ იბეჭდებოდა და 1896 წელს ლ. ტოლსტოის ეს მოთხრობაც ახალ სენაკში მეორედ გამოიცა და იმავე წელს მთლიანად გაიყიდა. 1893 წელი - „სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს“ - მთარგმნელი მალაქია ბოლქვაძე. დრო გადიოდა და ინტერესი და მოთხროვნილება ლ. ტოლსტოის ნაწარმოებებზე იზრდებოდა. ამ ბუმბერაზი მწერლის უკვდავი შემოქმედების თარგმანები ორიგინალურ გამოცემებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. 1904 წელი - პირველი ქართული გამო-

ცემა ნანარმოებისა „აღდგომა“, რომანი სამ ნაწილად, თარგმანი პოლ. კალანდაძისა, გრ. ყიფიანის რედაქციით. 1905 წელი - მოთხრობები („მშვიდობიანობის მაყურებელი“, ვ. ჯაფარიძის თარგმანი, „სამი კითხვა“, ივ. მაჭავარიანის თარგმანი, „თვალი თვალისა წილ“, ნ. ნაკაშიძის თარგმანი, „ცოდვათა მონანიება“, ივ. მაჭავარიანის თარგმანი, „მეფე კრეხი და ბრძენი სოლონი“, ალ. ფალავას თარგმანი). ეს კრებული შეიძლება ჩაითვალოს ლ. ტოლსტოის მოთხრობათა პირველ ქართულ გამოცემად. ამავე წელს დაიბეჭდა „დები“, თარგმანი ვალენტინასი, გ. შიხიანცის გამოცემა. თბილისში ყოფნისას დაწერილი მოთხრობა „ბავშვობა“ ქართულ ენაზე 1911 წელს გამოიცა. „ბავშვობა და სიყრმე“, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, დაიბეჭდა არჩ. კერესელიძის სტამბაში. 1912 წელი - „თესლი კეთილმოქმედებისა, აფორიზმები და რჩეული აზრები“ გრაფ ლევ ნიკოლოზის ძისა ტოლსტოისა, თარგმნილი ნერსეს ლოტოიანის მიერ ქართულის ენაზე და წინასიტყვაობა მთარგმნელისა. 1928 წელს დავით კასრაძის თარგმანით გამოიცა მოთხრობა „ყაზახები“. ეპოქალური ნანარმოები „ომი და მშვიდობა“ 1940 წელს თბილისის გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცა. ეს ჯერ მხოლოდ I ტომი გახლდათ, ილია აგლაძის თარგმანით და ა. განერელიას შესავალი სიტყვით „ლევ ტოლსტოი“. მწერლისათვის კავკასიაში ყოფნა უდავოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, სწორედ აქ მოიხაზა რამოდენიმე დეტალი და შეგროვდა საინტერესო მასალა ამ უკვდავი მხატვრული თხზულებისათვის.

დიდი მხატვარი და ღრმა მოაზროვნე თანდათანობით ტიტანურ ფიგურად იქცა და უაღრესად პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. ლ. ტოლსტოი ცხოვრების უდიდესი მოძღვრის შარავანდით იმოსება და რჩევა-დარიგების მოციქულად ხდება. მისი ნანარმოები „ანა კარენინა“ არც დღეს კარგავს აქტუალობას. ამ ნაშრომის პირველი ტომი ქართულ ენაზე 1955 წელს გამოიცა, მეორე კი 1959 წელს. 1968 წელს გამოიცა „კავკასიური მოთხრობები“.


უკვდავია ლ. ტოლსტოის შემოქმედება. მისი თხზულებები შესულია მსოფლიო კლასიკური მხატვრული ლიტერატურის საგან-

ძურში, თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. მისი შემოქმედება სრულადაა ნათარგმნი ქართულ ენაზე და დღესაც ძალზე დიდი მოთხოვნაა მასზე ბიბლიოთეკებსა თუ წიგნის მაღაზიებში. წლების განმავლობაში მრავალი ქართველი მთარგმნელი მუშაობდა მის შემოქმედებაზე. ცნობილი მთარგმნელები: სტ. ხოჯივანიშვილი, მალაქია ბოლქვაძე, განდევილი, პოლ. კალანდაძე, ვალენტინა, ზ. არჯევანიძე, ბ. ახოსპირელი, მეველე (დავით მიქელაძე), გ. ლ. ბარამიძე, ივლიტელი, ნინო ნაკაშიძე, ნერსეს ლოტოიანი, დათიკობაქრაძე, პ. ირეთელი, ილია აგლაძე, დავით კასრაძე, არისტო ჭუმბაძე, შ. თაბუკაშვილი და სხვანი აზიარებდნენ ქართველ საზოგადოებას ტოლსტოის ნანარმოებებს მე-19 საუკუნიდან, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე მკვლევარებსა და მთარგმნელებზე.

ისეთი გამომცემლობები, როგორც იყო: თ. პეტრეწულუკიძის სტამბა; კ. თავარქილაძის გამომცემლობა ოზურგეთში; ჟურნალი „მწყემსის“ გამომცემლობა ქუთაისში; თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამომცემლობა და მისივე სტამბა ახალ სენაკში;

თბილისში ი. იმედაშვილის გამომცემლობა; წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტამბა; „შრომა“-ს სტამბა; გ. შიხიანცის გამომცემლობა; სტამბა „ნადეჟდა“; ამხ. „ცისკარის“ სახალხო გამომცემლობა და სხვანი ზრუნავდნენ, რათა დროულად მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის ის სულიერი საზრდო, რასაც ლ. ტოლსტოის შემოქმედება იძლევა.

„მე მგონია, რომ აზრი კავკასიაში გამომგზავრების შესახებ, ზენამ შთამაგონა... მე ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი შევიქენი (ეს კიდევ ცოტაა, რადგან მე ძალზე ცუდი ვიყავი) და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც მე აქ შემემთხვა, ჩემთვის უკეთესი იქნება, რადგან ღმერთს ასე სურს“ - ნერს 1852 წლი 12 იანვარს, თბილისიდან ახლად გამომგზავრებული მწერალი ტ. ერგოლსკაიას (Л. Толстой, Письма, Т.1 გვ. 33-34). ასე აფასებს ტოლსტოი თავის მოგზაურობას კავკასიაში და ამით თითქოსდა წინასწარ ეუბნება მადლობას კავკასიელებს მომავალში მისი შემოქმედების ასე ძლიერ დაფასებისათვის.



ღვაწლმოსილი წინაპარი

ზეინაბ ჟიჟილაშვილი

საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზატორი

(ალექსანდრა კავკასიძე - 100)

წინაპართაგან, თუკი რამ საუნჯე შემოგვრჩენია, ერთეულ ქართველთა თავგამოდებითა და დაუღალავი შრომით. გავიხსენოთ ერთი მათგანი, დიდებული მამულიშვილი, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია გახსენების და დიდი სიყვარულისა.

როდესაც ქალბატონ შურას ვიხსენებთ (ასე დარჩა ბიბლიოთეკას მეხსიერებაში), თვალწინ გვიდგება ქართველი ერის დიდი განძი-წინაპართახელით შეკრებილი და დაუნჯებული წიგნების უდიდესი მასივი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში დარაჯად ედგა ის. ყოველი წიგნი ერის განძია, - აი, ამ რწმენით იცხოვრა, ამ რწმენით იცავდა თითოეულ მათგანს. მათ მოვლა-პატრონობას, მათ გამრავლებას საუკუნის ნახვევარზე მეტი შეაღწია. ეს იყო პირველი მანდილოსანი, რომელმაც ასეთი დიდი ტვირთი იტვირთა და ბოლომდე თავისი მხრებით პატიოსნად ატარა და მომდევნო თაობებს დაუტოვა ეს საუნჯე. ამ თავგამოდებამ მოუტანა მას სახელი და ის დიდი სიყვარული, რომელიც დღემდე შემორჩა წიგნიერ ადამიანთა მეხსიერებას.

დიდია ქალბატონ შურას ღვანლი საბიბლიოთეკო დარგში. ის, როგორც ხელმძღვანელი, ეროვნული, ბიბლიოთეკის 160 წლის ისტორიაში პირველი ქალი დირექტორია, ერთადერთია დღემდის. ის ქართველი ქალის ნამდვილი განსახიერება იყო.

ალექსანდრა (შურა) კონსტანტინეს ასული კავკასიძე დაიბადა დუშეთის რაიონში 1908 წელს, მოსამსახურის ოჯახში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის ქალთა მე-5 ტექნიკუმი.

იმავე წელს შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. 1929 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკში, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მუშფაკის დახურვამდე (1940 წ.).

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი საქმიანობა დაიწყო 1942 წლიდან, ჯერ დარბაზების განყოფილების გამგედ, 1954 წლიდან - დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1968 წლიდან - დირექტორად.

ქალბატონი შურა იყო დიდად განათლებული და იშვიათი გამოცდილების მქონე, საოცარი მეხსიერების ადამიანი, თავშეკავებული, სამართლიანი. ყველა თაობის მეგობარი, ახალგაზრდობის დიდი მოყვარული, საქიროების შემთხვევაში მკაცრი; (გარეგნობითაც მკაცრი ჩანდა).

იყო ყველას დამრიგებელი, გულშემატკივარი, გამამხნეველები, კეთილშობილი პიროვნება, ქართველ მწიგნობარ ქალთა ღვანლის დიდი დამფასებელი.

მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით დამუშავდა და გამოიცა ბიბლიოგრაფიული ნაშრომები: „ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (რამდენიმე ტომი), რომელიც შემდგომში ქართველ მეცნიერთა სამაგიდო წიგნი გახდა. მისი თაოსნობით შეიქმნა ახალი სპეციალიზებული დარბაზები და განყოფილებები, მეტად მიზანშეწონილი ცვლილებები მოახდინა



ბიბლიოთეკის სტრუქტურაში.

ქალბატონი შურა იყო ღრმად ერუდირებული პიროვნება, თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი, დიდებული ქალბატონი. ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაულაღავად მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაზე, ამზადებდა ადრე (1954 წ.) ცნობარის სახით გამოცემული ბროშურის უფრო სრულყოფილ და გაფართოებულ გამოცემას, რაც ვერ განახორციელა. გარდაიცვალა 1994 წლის 16 აპრილს, 86 წლის ასაკში.

იშვიათად თუ რგებია ისეთი დიდი სიყვარული ვინმეს, როგორც მას ხვდა წილად.

თავისი დიდი შინაგანი ენერგია უპირველესად წიგნის სიყვარულს შეაღია და საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა. მთელი ცხოვრების მანძილზე მისი საფიქრალი ყველგან და ყოველთვის წიგნი იყო.

ბოლომდე დარჩა სუფთა, შინაგანად განონასწორებული, სულიერად სპეტაკ ადამიანად.

დღეს უჭირს საქართველოს ბიბლიოთეკებს, სწორედ ახლა გვჭირდება ქალბატონ შურას მსგავსი ადამიანების გახსენება, რომ მათმა ზნეობრივმა მაგალითმა, მოთმინებით განვლილმა ცხოვრების გზამ გაგვაძლებინოს, გადაგვატანინოს ამ სფეროში არსებული სიძნელეები.

საბიბლიოთეკო მეცნიერება და კადრები

მზია ტოგონიძე

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა - 70

XX საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული საქმის თეორიული საფუძვლები, რამაც ხელი შეუწყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების შექმნასა და განვითარებას. ცხადია, შეხედულებები ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა იყო, სხვადასხვა იყო მისი განსაზღვრება და სტრუქტურა, მაგრამ ერთი ნათლად გამოიკვეთა - უნდა შექმნილიყო მეცნიერული ბაზა, რის გარაშეცდარგს განვითარება არ ეწერა. მხედველობაში მისაღები იყო ისიც, რომ ბიბლიოთეკის ახალი კონცეფცია მოითხოვდა ახალი კადრების მომზადებას. ამან განაპირობა ზრუნვა მეცნიერული პროდუქციის, მეთოდოლოგიისა და სასწავლო სისტემის შემოღება.

მთელ მსოფლიოში ცივილიზებულ ქვეყნებში იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო სისტემები და მეცნიერული მოღვაწეობისათვის საჭირო ასპარეზი. ახალი სპეციალობის შემოღება იყო საფუძველი, რომელიც

უზრუნველყოფდა დარგის განვითარებას.

ამ მხრივ დიდი მუშაობა იქნა განეული მაშინდელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში. ჯერ კიდევ XX ს 20-იან წლებში, როდესაც განვითარდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების ქსელი, აშკარა გახდა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების უკმარისობა. ამ საკითხის გადასაწყვეტად თბილისის დიდი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა თავიანთი თანამშრომლებისთვის დააარსეს კურსები, სადაც საფუძვლიანად შეისწავლებოდა საბიბლიოთეკო დარგის დისციპლინები. ამ კურსებს ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკათმცოდნე ივანე ციციშვილი, ლექციებს კითხულობდნენ თვით ივანე ციციშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ჩურსინი, ვ. ბროსე და სხვები. ჯერ კიდევ 1927 წელს საქართველოს მთავრობის მიერ პირველად სსრკ-ში გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკარის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი იყო

საბიბლიოთეკო განათლება.

პირველი დადგენილება, რომლის საფუძველზე სახელმწიფო თავის თავზე იღებდა საბიბლიოთეკო კადრების მომზადებას, მიღებულ იქნა 1934 წელს, რომლის მიხედვითაც საბიბლიოთეკო კადრების მომზადებასა და გადამზადებას სახელმწიფო აფინანსებდა.

უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების ისტორია საქართველოში იწყება 1938 წლიდან, როდესაც თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა კათედრა. ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის პირველი სხდომა შედგა 1938 წლის 17 სექტემბერს, სადაც განხილულ იქნა ფაკულტეტის სასწავლო გეგმა და საკითხი ლექტორებზე სასწავლო დისციპლინების განაწილების შესახებ. კათედრას მისი წევრების გადანყვებით სათავეში ჩაუდგა გიორგი გიორგიძე; წევრები იყვნენ: ივანე ციციშვილი, გიორგი ბაქრაძე და ნიკო ლორთქიფანიძე. ჩამოყალიბებისთანავე კათედრა, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი, არსებობდა 1941 წლამდე, შემდეგ იგი გაერთიანებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან, ხოლო 1960 წლიდან 2005 წლამდე კვლავ დამოუკიდებლად არსებობდა. დღეისათვის, განათლების რეფორმის საფუძველზე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოში ერთადერთი კათედრა და სპეციალობა გაუქმებულია.

აღსანიშნავია, რომ 1958 წელს კათედრის 20 წლის იუბილეზე ბატონი აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი სპეციალურად ეწვივნენ ფაკულტეტს, კათედრას და შეხვედრა ჰქონდათ სტუდენტებთან და კათედრის წევრებთან. ეს ფაქტი ნიშნავდა ამ ორი დიდი პიროვნების მიერ ბიბლიოთეკათმცოდნეობის აღიარებას და დიდ ინტერესს ამ უნიკალური სპეციალობისადმი, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა: წიგნისა და ბიბლიოთეკის გარეშე მოაზროვნე, ჰუმანისტ და განათლებულ პიროვნებას ვერ აღზრდი.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის არსებობის მანძილზე საქართველოში ცნობილმა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებმა მოიყარეს თავი, რომელთა მოღვაწეობის შედეგად აღიზარდნენ

ცნობილი სპეციალისტები. მათი ნაწილი კათედრაზე დარჩა, ხოლო უდიდესი ნაწილი დღესაც მოღვაწეობს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში და მათთვის ჩვეული თავმდაბლობით, რუდნებით და პროფესიონალიზმით უსაზღვრო სიყვარულით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

კათედრას თავისი არსებობის მანძილზე რთული მისიის შესრულება დაეკისრა, რადგან იგი ერთადერთი იყო რესპუბლიკაში და, ცხადია, მას ყოველგვარი სამეცნიერო-მეთოდური თუ სასწავლო ლიტერატურის შედგენა და გამოცემა ევალებოდა. ორიგინალური სახელმძღვანელოების თუ სამეცნიერო ლიტერატურის დაბეჭდვა და გამოცემა ბევრ სიძნელეებთან და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, კათედრის წევრებმა მოახერხეს ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიკათმცოდნეობის და წიგნის ისტორიის ხაზით ყველა სასწავლო დისციპლინაში სამეცნიერო, სასწავლო, მეთოდური ლიტერატურის შექმნა და გამოცემა, რადგან სტუდენტებს ხელთ თითქმის არაფერი ჰქონდათ მშობლიურ ენაზე. ეს ნაშრომები გამოიყენება არა მარტო სასწავლო მიზნით, არამედ მათი უპირველესი დანიშნულებაა საბიბლიოთეკო თეორიისა და პრაქტიკის განვითარება.

დღეს პროფესია „ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფი“ ფართო ცნებად იქცა. იგი დაუკავშირდა საინფორმაციო საქმიანობას და სპეციალისტებისაგან ღრმა თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რაოდენ რთულია აღნიშნული სპეციალობის დაუფლება. კათედრის წევრების მიერ გამოცემული სამეცნიერო პროდუქცია დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას, რადგან მას იყენებენ ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის სამსახურის მუშაკები, ბიბლიოთეკარები, მეთოდისტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რაც ხელს უწყობს საქართველოში მეცნიერული აზროვნების გაფართოებასა და განვითარებას.

70 წლის მანძილზე კათედრას ხელმძღვანელობდნენ საბიბლიოთეკო და ფილოლოგიური დარგის გამოჩენილი მეცნიერები, დოცენტები: გიორგი გიორგიძე. ნიკო


ლორთქიფანიძე, პროფ. გივი მიქაძე, თანამედროვე პროფესურის წარმომადგენლები: ალექსანდრე ლორია, ზემფირა ტყაბლაძე, ინგა ფილაური. სხვადასხვა დროს კათედრის წევრები იყვნენ: დოც. გ. ბაქრაძე, პროფესორები ფ. ყურაშვილი. ოთარ კასრაძე, დოცენტები: ალა ოთაროვა, ლევან კვირიკაშვილი, მიხეილ საჯაია, ანასტასია კასრაძე, ნელი მუსერიძე ცნობილი მკვლევარ-სპეციალისტები: ქეთევან ფოფხაძე, ოთარ ოსაძე, დემნა კალანდაძე, მზია ჭელიძე, დარეჯან კოტეტიშვილი; თანამედროვე პროფესურის წარმომადგენლები: მარინე სურმავა, მზია ტოგონიძე, ნატო მჭედლიშვილი.

კათედრასთან მჭიდრო კავშირში მოღვაწეობდნენ საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკების ცნობილი სპეციალისტები: დოც, ვლადიმერ უზნაძე, დევი აბაშიძე, გრიგოლ ჩხაიძე, ეთერ თოხაძე და სხვები.

კათედრის წევრებმა უდიდესი შრომა გასწიეს საქართველოში პირველი დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო კანონის შექმნაში: „საქართველოს კანონისა ბიბლიოთეკოსაქმის შესახებ“, რომელიც მიღო და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 11 ივნისს. კანონის I თავში წერია: „აღნიშნული კანონი დიდ როლს ანიჭებს სახელმწიფოს პროფესიული კადრების მომზადების და გადამზადების, მათი დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეში, სახელმწიფო უზრუნველყოფს კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა შექმნას, დაფინანსებასა და მართვას. ხელშეწყობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, ნიგნმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციულ სრულყოფას“.

2005 წლიდან სტუდენტთა მომზადება ხდებოდა: „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უცხო ენების სპეციალიზაციით“, რაც პროგრესული მოვლენა იყო, რადგან ამავე კანონში ვკითხულობთ: „საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკები უფლებამოსილი არიან გაერთიანდნენ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში“. ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე, უცხო ენებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის გარეშე. სწორედ ამ პროფილით მზადდებოდნენ ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები უნივერსიტეტში.

დღეისათვის დიდ პრობლემად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უკვე მეორე წელია სტუდენტთა დაკომპლექტება აღნიშნულ სპეციალობაზე არ ხდება, რაც მომავალში, ჩვენი აზრით, დიდ სირთულეებს შეუქმნის საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას. სირთულეები შეიქმნება როგორც მეთოდოლოგიური, ისე თეორიული დამუშავების თვალსაზრისითაც. კათედრა მუდამ დიდ როლს ასრულებდა მეცნიერულ საკითხთა განხილვასა და პროდუქციის შექმნაში (ამასთან დაკავშირებით დანვრილებით არის მასალა მოცემული ჩვენს ჟურნალში - 2007, № 3 — ალ. ლორია, გ. თაყნიაშვილი - ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საბიბლიოთეკო კადრების მომზადება საქართველოში. - გვ. 16-22) მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და დიდი ღვაწლი დასდო საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას საქართველოში.



ბამოხმაურება

აღექსანდრე ლორია

„უბედურებით სავსე ბედნიერი კაცი“...

ამგვარი პარადოქსული გამოთქმით თავდება რამაზ სურმანიძის ბიოგრაფიული რომანი „მურღულის ქვა“, რომლისთვისაც ავტორს ქვესათაურში „კატორღული რომანი“ უწოდებია.

რამაზ სურმანიძე უჩვეულოდ მრავალმხრივი და ნაყოფიერად მომუშავე პიროვნებაა. მეცნიერი, დოქტორი, უამრავი პროფესიული ნაშრომის ავტორი – ამავე დროს არის მრავალი ისტორიული, პუბლიცისტიური და პოპულარული ნარკვევის შემქმნელი, იგი წარმატებულად მოღვაწეობს აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურაში, აქვს გამოქვეყნებული მოთხრობები და რომანები. საგულისხმოა, რომ ყოველ სფეროში ის ღირსეულად ავლენს თავს როგორც პროფესიონალი, რაზედაც მეტყველებს მისი მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის 2005 წელს გამოქვეყნებული ზემოხსენებული რომანი.


დაკვირვებული ქართველი მკითხველისთვის ახალი არ არის არც ამ წიგნის თემატიკა, არც მისი გმირები და მათი თავგადასავალი, 1985 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ამ რომანის ნაწყვეტები და, ბოლოს და ბოლოს, ერთ წიგნად შეიკრა, რითაც ქართველმა მკითხველმა მეტად ორიგინალური, საინტერესო და საკმაოდ მაღალმხატვრული ნაწარმოები მიიღო მისი სახით.

„ამ წიგნში გამონაგონი არაფერია, არც პიროვნებები და არც მოვლენები“, – გვეუბნება ავტორი პროლოგში და ამით კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ემოციებს, როცა კვალდაკვალ მივსდევთ დურმიშხან ცისკარიძისა და მისი ბედის თანაზიარ

ადამიანების ცხოვრებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველაზე მრისხანე, დაუნდობელ და უსამართლო ეპოქის ფონზე ვითარდება. ძირითადი სიუჟეტი მოიცავს დროს 1936 წლიდან მოყოლებული 50-იანი წლების ჩათვლით, თუმცა ეპიზოდურად უფრო ადრინდელ მოვლენებზეც არის ლაპარაკი. ავტორის ნამდვილ მხატვრულ ოსტატობად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ნაწარმოებში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ადამიანების ცხოვრება იმგვარადაა შეკინძული, როგორც სიმზე ასხმული კრიალოსანი, რომელიც ერთიანია, მაგრამ სხვადასხვა ერთგვაროვანი ნაწილებისაგან შედგება. რომანის ამგვარი კონსტრუქცია საკმაოდ რთული და ძნელად თავმოსაბმელია, მაგრამ რ. სურმანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის უმაღლეს პროფესიონალიზმს ავლენს და მთელი რომანი ერთიან, მონოლითურ სახეს იღებს. ავტორისეული თხრობა ენაცვლება ხან მესამე პირში,

ხან პირველ პირში მონათხრობს და ყოველივეს ერთ ძირითად სიუჟეტს ექვემდებარება. ბევრ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ერთსა და იმავე თემატიკაზე შეთხზულ ნოველებს, რომლებიც რეალურად მომხდარ მოვლენებს ასახავს.

რეალურად არსებულის, ჭეშმარიტად მომხდარი ამბების მოყოლის დროს ყოველთვის არის საშიშროება, ავტორის მეტყველება მშრალი, ხოლო მანერა აღწერილობითი ხასიათის გამოვიდეს. ამგვარი რამ, ვერ ვიტყვით, დრო და დრო თითქოს არ ავლენდეს თავს ამ ნაწარმოებშიც, მაგრამ იმდენად მცირედ და უმნიშვნელოდ, რომ



ის შესამჩნევი არც არის და ავტორისეული ენა, სტილი, მანერა, ტექნოლოგია სავსებით მაღალპროფესიონალურ დონეზეა შესრულებული. ზოგ შემთხვევაში თითქოს ადგილი აქვს ერთგვარ ანაქრონიზმსაც, – კონკრეტული დროის განსაზღვრა გართულებულია ამა თუ იმ ეპიზოდში, მაგრამ დაკვირვებულად, ღრმად ჩახედულად კითხვის პროცესში მკითხველი თავისუფლად ართმევს თავს ამას და ნაწარმოები სავსებით თანმიმდევრულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების გმირებს არ ჰყავთ პროტოტიპები და პირდაპირ ცხოვრებიდან აღებული პერსონაჟები არიან თავიანთი ნამდვილი სახელგვართ, არ უნდა გვეგონოს, რომ რომანი მოკლებულია მხატვრული ხერხებისა და საშუალებების გამოყენებას. აქ ვხვდებით ავტორისეულ ლირიკულ გადახვევებს, მეტად მაღალმხატვრულად აღწერილ ბუნებას, დიალოგების მხატვრულად გაფორმების მაღალ კულტურას, ხატოვან მეტყველებას; ძალიან მოკრძალებით, მაგრამ მაინც შეინიშნება მხატვრული გამონაგონის მოხმობაც – ერთი სიტყვით, მხატვრული სიტყვის ყველა კომპონენტისა, რაც ნაწარმოებს ანიჭებს სწორედ მხატვრული შემოქმედების სტატუსს. სწორედ ამიტომაც არის რ. სურმანიძის „მურღულის ქვა“ რომანი, ერთ-ერთი შესანიშნავი ლიტერატურული შენაძენიც.

თვალშისაცემია ნაწარმოების მორალურ-ეთიკური იდეურობა, რომლის შემფასებლადაც თვით ავტორი გვევლინება. ის ქედს იხრის მთავარი გმირის ჰუმანური ბუნების წინაშე. დურმიშხან ცისკარიძე 17 წლის კატორღულმა ცხოვრებამ ვერ გატეხა სულიერად, ვერ გააბოროტა, ვერ აქცია შურისმაძიებლად, თუმცა ამის მიზეზებიც ჰქონდა და პირობებიც. მისი უმაღლესი ადამიანური ღირსებები ავტორის მიერ განსაკუთრებულადაა ხაზგასმული. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ რომანი საკმაოდ დიდი ხნის წარსულსა და თითქოს მოძველებულ თემას ეხება, ის სავსებით ახლებური სულისკვეთებით სუნთქავს, ჩვენს თანამედროვეობას ეხმიანება, და სწორედ იმის წყალობით, რომ ზნეობისა და მორალის, ჰუმანურობისა და კეთილშობილების მოთხოვნილება დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ყველაზე მნიშვნელოვანი ეს რომანი, რომელიც უდავოდ იმსახურება ჩვენი საზოგადოების ყურადღებას.

რედაქციისაგან: მიმდინარე წელს ბატონ რამაზ სურმანიძეს 75 წელი შეუსრულდა. იგი სავსებით მხნედ, შემართებულად და ენერგიულად მოღვაწეობს. ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, შემოქმედებით წინსვლას!

ინფორმაცია

უსხოელი მესნიერი ქართული მოვლენების შესახებ

ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია ელოდება ამ წიგნს - „სოციალიზმი ქართულ ფერებში“. ინგლისურ ენაზე მან მაშინვე მოიპოვა მკითხველთა დიდი მასის ყურადღება, ახლა კი გამოჩნდა მისი ქართული თარგმანი და ჩვენი მკითხველიც ინტერესით მოეკიდება მას. წიგნის ავტორია სტივენ ფ. ჯონსი - მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის (აშშ) რუსულ და ევროპულ კვლევათა პროფესორი, ჩვენი ლიტერატურისა და

კულტურის ღრმა მცოდნე, რომელიც ქართულს სრულყოფილად ფლობს; საქართველოსთან ის ოჯახურადაა დაკავშირებული და დიდი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აქვს აქაურ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

ბატონ სტივენს ჩვენი ჟურნალის მკითხველები ადრე გამოქვეყნებელი მასალებით კარგად იცნობენ, იციან, თუ როგორ მოღვაწეობდა ის საქართველოსა და ამერიკის შეერთებული



შტატების საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სფეროს მუშაკების ურთიერთკავშირის დამყარების საქმეში. ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა მისი სტატია „საყოველთაო ტრავედია“, რომელიც საქართველოში მიმდინარე წლის აგვისტოში რუსეთის ოკუპაციურ პოლიტიკას შეეხება. ხსენებული წიგნი კაპიტალური შრომაა. თარგმანი ეკუთვნის ხათუნა ჩხეიძეს, სამეცნიერო რედაქტორია ზაზა აბაშიძე. შედგება ათი თავისაგან, რომლებიც პარაგრაფებადაა დაყოფილი, მოიცავს 428 ვრცელფორმატიან გვერდს. როგორც ანოტაცია გვამცნობს, „ეს არაჩვეულებრივი წიგნი ორიგინალურად და სახალისოდ მოგვითხრობს უნიკალური სოციალური მოძრაობის შესახებ. ქართული სოციალ-დემოკრატია მსოფლიოში პირველი მარქსისტული მოძრაობა იყო, რომელმაც გლეხთა მასობრივი მხარდაჭერა მოიპოვა... საქართველოს შემთხვევაში ამ მოძრაობას რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პირო-

ბებში დემოკრატ-სოციალისტთა წარმატებული ხელისუფლების დამყარება მოჰყვა. ქართველებმა მოახერხეს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ზომიერი, ტოლერანტული ნაციონალიზმის შერწყმა, საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი მრავალ სასარგებლო გაკვეთილს გვთავაზობს.


წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის“.

ფრიად სასურველი იქნება, თუკი ჩვენი მთავარი ბიბლიოთეკები მაინც შეიძენენ საქართველოს ისტორიისთვის აუცილებელ ნაშრომს.



ანანურული მოთხრობები

გასულ წელს ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო მწერალ გურამ ბედოშვილის მოთხრობების კრებული „ანანურული მოთხრობები“. კრებულში 23 მოთხრობა და ნოველაა გაერთიანებული. ამათგან უმეტესობა 1990 წლამდეა დაწერილი. ავტორი სპეციალურად გამოყოფს მათ ქრონოლოგიურად, რითაც სურს მკითხველს დაანახოს თავისი მოთხრობების სულისკვეთება და განწყობილება დრო და ჟამის შესაფერისად. მიგვაჩნია, რომ ავტორის ცდა ამ თვალსაზრისით სულაც არ არის აუცილებელი, რადგანაც ყველა მოთხრობა მხატვრულ-იდეური და ესთეტიკური თვალსაზრისით სავსებით მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული და დღევანდელი სუნთქავს, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა დროსაა ის დაწერილი.



მოთხრობების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს პაპა ანანოს, ამ მეტად საინტერესო და ორიგინალური, პერსონაჟის ნაამბობს, რაც მას გადახდომია თავს. ეს საშუალებას აძლევს ავტორს, ხელგაშლილად გამოიყენოს ის უმდიდრესი ენობრივი რეზერვი, რაც მთის ხალხს გააჩნია. ცხადია, ავტორისეული მეტყველება განსხვავდება მთხრობელი პერსონაჟის მეტყველებისაგან, რაც წარმოქმნის კოლორიტს, ხელს

უწყობს სახის ჩამოყალიბებას, ხასიათის გამოკვეთას. ეს აძლიერებს შთაბეჭდილებას, უფრო ემოციურსა და ცოხალს ხდის თხრობის კილოსა და მანერას. გამოყენებულია მრავალი ეთნოგრაფიული აქსესუარი, რაც მოვლენების რეალისტურად აღქმას უწყობს ხელს.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოთხრობა თუ ნოველა სავსებით დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მათ მხოლოდ მთხრობელის - პაპა ანანოს პიროვნება აერთიანებს. რაც შეეხება ბოლოდროინდელ ნაწარმოებებს, აქ მოცემულია როგორც ავტორის პირადი განცდები, ისე მის მიერ დანახული მხატვრულად გადამუშავებული თხზულებები.

არ შეიძლება მკითხველმა ყურადღება არ მიაქციოს ავტორის მხატვრულ გემოვნებას, თხრობის დახვეწილ მანერას, ადეკვატურ სტილს, სიუჟეტის აგების ოსტატობას. ყოველი ნოველა თუ მოთხრობა გამოირჩევა ინტერესის აღძვრითა და ემოციური დატვირთვით მაშინაც კი, როცა თემა თითქოს არ იძლევა ამის საშუალებას და სავსებით უბრალო, ცხოვრებისეულ ამბავს შეეხება.

გურამ ბედოშვილის „ანანურული მოთხრობები“ სავსებით გამორჩეული, ორიგინალური, მეტად საყურადღებო კრებულია, გამოიცა 2007 წელს, შეიცავს 203 გვერდს; წიგნის რედაქ-




ტორია გია პაპუაშვილი, მხატვარი - გიორგი გაგნიძე. გამოცემულია საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ოღონდ ამ თვალსაზრისით გვაქვს ერთი შენიშვნა - საერთოდ, პატივი უნდა ვცეთ ქართული დამწერლობის გრაფიკულ გამოსახულებათა დიდებულ ტრადიციას. ყოველგვარი გადამეტებული გაფორმების ცდები არ

მთავრდება მათი ავტორების სასარგებლოდ. ეს ითქმის ნიგნში გამოყენებულ სასათაურო შრიფტზე, როცა ადგილ-ადგილ შეუძლებელია პირველსავე ნაკითხვისას სრულყოფილად გაიგო, თუ რა წერია. იმედია, ჩვენი მკითხველები სათანადოდ მიიღებენ ამ ნიგნს და ღირსეულად შეაფასებენ.

ახალი გზამკვლევი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა ბროშურა დასახელებული ბიბლიოთეკის შესახებ, რომელიც საინფორმაციო - საცნობო დანიშნულებისაა და გზამკვლევის საცნობარო ტიპს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში თავმოყრილია მასალა, რომელიც მკითხველს აცნობს ბიბლიოთეკის სტრუქტურას, განვითარების ისტორიულ მონაცემებს, ფონდების შემადგენლობას, სამართლებრივ ბაზას, ძიების საშუალებებს, იძლევა კონსულტაციებს, რჩევებსა და მითითებებს ბიბლიოთეკაში ორიენტაციისა და განევირანებისათვის. ბროშურის ბოლოს სრულადაა გადმობეჭდილი კანონი ეროვნული



ბიბლიოთეკის შესახებ, ბიბლიოთეკის დებულება და „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ბროშურაში მოცემულია სამისამართო მონაცემები ელექტრონული საშუალებების გამოსაყენებლად, ლაპარაკია ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობებზე. ბროშურა, რომელსაც თვით ბიბლიოთეკის სახელწოდება აქვს სათაურად - „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“, - წარმოადგენს მეტად საგულისხმო გამოცემას. ის დიდად შეუწყობს ხელს ბიბლიოთეკის მომხმარებლებსა და დაინტერესებულ პირებს.

კულტურული მემკვიდრეობის კვლადაკვალი

გამომცემლობა „ნეკერმა“ 2005 წელს გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო, საინტერესო და ორიგინალური ნიგნი, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკებში ამჟამადაც იშვიათობას წარმოადგენს, არადა, მისდამი ინტერესი დღემდე გაუნელებულია. ეს გახლავთ ირინე აბესაძისა და ქეთევან ბაგრატიშვილის ავტორობით გამოცემული ნიგნი „შალვა ქიქოძე: კულტურული მემკვიდრეობა“.

ანოტაციიდან ვიგებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნიგნს ქართველი საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, XX საუკუნის ათიანი წლების ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა - მხატვარი შალვა ქიქოძე, მიუხედავად მეტად ხანმოკლე ცხოვრებისა, უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამო უდიდეს ყურადღებას იმსახურებს. ნიგნში შეიკრიბა და სისტემატური ხასიათი მიეცა მხატვრის ნამუშევრებს,

გაკეთდა მათი ანალიზი, ისტორიული მიმოხილვა, მიეცა მის შემოქმედებას შეფასება, რაც უფრო სრულ წარმოდგენას იძლევა ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედებზე.

ნიგნის რედაქტორია დიმიტრი თუმანიშვილი. ნიგნი შედგება რამდენიმე თავისა და პარაგრაფებისაგან. მოცემულია დღიურები, წერილები, მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მემკვიდრეობის კატალოგი, შენიშვნები; ბოლოში დართულია ფოტოპირები, შეიცავს დიდი ფორმატის 217 გვერდს და გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.



2009 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი

იანვარი

- 1 - 115 წლის წინათ (1894) დაიბადა როდიონ ქორქია - მწერალი და საზოგადო მოღვაწე. საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1984 წ.
- 2 - 120 წლის წინათ (1889) დაიბადა ვალერიან გაფრინდაშვილი - პოეტი. გარდაიცვალა 1941 წ.
- 3 - 105 წლის წინათ (1904) დაიბადა ანა ღვინიაშვილი - მწერალი. გარდაიცვალა 1981 წ.
- 7 - შობა - უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
- 100 წლის წინათ (1909) დაიბადა სერგო ქობულაძე - ცნობილი მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, საქ. სახალხო მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი. გარდაიცვალა 1978 წ.
- 8 - დავითობა. ხსენება წმიდა დავით მეფისა აღმაშენებელისა (1073-1125).
- 155 წლის წინათ (1854) დაიბადა ივანე მაჩაბელი - მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე - უგზოუკვლოდ დაიკარგა 1898 წელს.
- 14 - ქართული თეატრის დღე.
- 13 - ნათლისღება - გაცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
- 16 - 170 წლის წინათ (1839) დაიბადა მამია გურიელი - პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1891 წ.
- 19 - 200 წლის წინათ (1809) დაიბადა დიდი ამერიკელი მწერალი და პოეტი ედგარ ალან პო. გარდაიცვალა 1949 წ.
- 21 - 140 წლის წინათ (1869) დაიბადა თედო რაზიკაშვილი - მწერალი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1922 წ.
- 280 წლის წინათ (1729) დაიბადა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი - გერმანელი მწერალი, განმანათლებელი. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1781 წ.
- 25 - 250 წლის წინათ (1759) დაიბადა რობერტ ბერნსი - შოტლანდიელი პოეტი. გარდაიცვალა 1796 წ.
- 27 - ნინოობა.

თებერვალი

- 13 - 240 წლის წინათ (1769) დაიბადა ივანე კრილოვი - რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1844 წ.
- 15 - 445 წლის წინათ (1564) დაიბადა გალილეო გალილეი - იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1642 წ.
- 17 - 150 წლის წინათ (1869) დაიბადა ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) - მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1894 წ.
- 19 - 125 წლის წინათ (1884) დაიბადა ლეო ქიაჩელი (შენგელაია) - მწერალი. გარდაიცვალა 1963 წ.
- 140 წლის წინათ (1869) დაიბადა ჰოვანეს თუმანიანი - სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1923 წ.
- 27 - 100 წლის წინათ (1909) დაიბადა მაცვალა მრევლიშვილი - ცნობილი პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1992 წ.

მარტი

- 3 - დედის დღე.
- 195 წლის წინათ (1814) დაიბადა ტარას შევჩენკო - უკრაინელი პოეტი. გარდაიცვალა 1861 წ.
- 60 წლის წინათ (1949) დაიბადა ზაურ კალანდია - მწერალი.
- 70 წლის წინათ (1939) დაიბადა გურამ დოჩანაშვილი - მწერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
- 31 - 70 წლის წინათ (1939) დაიბადა ზვიად გამსახურდია - საქართველოს პირველი პრეზი-

დენტი, მწერალი, მეცნიერი, გარდაიცვალა 1992 წ.

აპრილი

- 2 - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 3 - 90 წლის წინათ (1919) დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე - პოეტი. გარდაიცვალა 1942 წ.
- 7 - ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა.
- 9 - საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 12-80 წლის წინათ (1929) დაიბადა მუხრან მაჭავარიანი - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 14 - ქართული ენის დღე.
- 18 - ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 200 წლის წინათ (1809) დაიბადა ნიკოლოზ გოგოლი - რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1852 წ.
- 19 - ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.
- 21 - 185 წლის წინათ (1824) დაიბადა რაფიელ ერისთავი - მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1901 წ.
- 22 - დედამიწის მსოფლიო დღე.
- 23 - წიგნის საერთაშორისო დღე.
- 24 - 120 წლის წინათ (1889) დაიბადა იოსებ გრიშაშვილი - პოეტი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქ. სახალხო პოეტი. გარდაიცვალა 1966 წ.
- 27 - 195 წლის წინათ (1814) დაიბადა დიმიტრი ყიფიანი - საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1887 წ.
- 28 - 445 წლის წინათ (1564) დაიბადა უილიამ შექსპირი - ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1616 წ.
- 30 - ბიბლიოთეკარის დღე.

მაისი

- 9 - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.
- 13 - 420 წლის წინათ (1589) დაიბადა თეიმურაზ პირველი, მეფე-პოეტი, ძველი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1663 წ.
- 14 - თამარობა. ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფისა თამარისა.
- 15 - 70 წლის წინათ (1939) დაიბადა ლია სტურუა - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 18 - 100 წლის წინათ (1909) დაარსდა ქ. თბილისის მთავარი (ყოფილი ალ. ჯაფარიძის, მიხეილ ჯავახიშვილი სახელობის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო) ბიბლიოთეკა.
- 20 - 210 წლის წინათ (1799) დაიბადა ონორე დე ბალზაკი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1850 წ.
- 22 - 150 წლის წინათ (1859) დაიბადა არტურ კონან დოილი - ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1930 წ.
- 26 - საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - ეროვნული დღესასწაული.
- 70 წლის წინათ (1939) დაიბადა მერაბ კოსტავა - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ეროვნული გმირი. გარდაიცვალა 1989 წ.
- 150 წლის წინათ (1859) დაიბადა ილია ბახტაძე (ფსევდ. ხონელი) - მთარგმნელი. გარდაიცვალა 1900 წ.

ივნისი

- 1 - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის - წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.
- 5 - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 6 - 210 წლის წინათ (1799) დაიბადა ალექსანდრე პუშკინი - დიდი რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1837 წ.

28 - 120 წლის წინათ (1889) დაიბადა ილია სიხარულიძე - საბავშვო მწერალი. გარდაიცვალა 1963 წ.

30 - 115 წლის წინათ (1894) დაიბადა პაოლო იაშვილი - ქპოეტი. გარდაიცვალა 1937 წ.

- 170 წლის წინათ (1839) დაიბადა სიმონ გუგუნავა - პოეტი. გარდაიცვალა 1903 წ.

ივლისი

4 - 75 წლის წინათ (1934) დაიბადა გურამ რჩეულიშვილი - მწერალი. გარდაიცვალა 1960 წ.

7 - 130 წლის წინათ (1879) დაიბადა ჭოლა ლომთათიძე - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1915 წ.

- 110 წლის წინათ (1899) დაიბადა ერნესტ ჰემინგუეი - ცნობილი ამერიკელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1961 წ.

28 - 185 წლისწინათ (1824) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (შვილი) - ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წ.

აგვისტო

1 - 95 წლის წინათ (1914) დაიბადა გრიგოლ აბაშიძე - პოეტი, პროზაიკოსი, საზოგადო მოღვაწე. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1994 წ.

2 - ილიაობა.

12 - 75 წლის წინათ (1934) დაიბადა გივი ჭიჭინაძე - საბავშვო პოეტი, მსახიობი. გარდაიცვალა 1999 წ.

28 - მარიამობა. მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

- 260 წლის წინათ (1749) დაიბადა იოჰან ვოლფგანგ გოეთე - გერმანელი მწერალი და მოაზროვნე. გარდაიცვალა 1832 წ.

სექტემბერი

1 - ცოდნის დღე.

6 - 160 წლის წინათ (1849) დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი - საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1932 წ.

13 - 385 წლისწინათ (1624) საშინელი წამებით მოკლეს ქეთევან დედოფალი - კახეთის მეფის - დავით I-ის მეუღლე.

21 - შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლის მარიამისა.

22 - 100 წლის წინათ (1909) დაიბადა ბონდო კეშელავა - პოეტი. გარდაიცვალა 1995.

26 - 195 წლის წინათ (1814) დაიბადა დავით ჩუბინაშვილი -ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1891 წ.

27 - ტურიზმის მსოფლიო დღე.

ოქტომბერი

1 - მუსიკის საერთაშორისო დღე.

2 - 55 წლის წინათ (1954) დაიბადა გოდერძი ჩოხელი - მწერალი, კინორეჟისორი. გარდაიცვალა 2007 წ.

14 - 205 წლის წინათ (1804) დაიბადა გრიგოლ ორბელიანი - პოეტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1883 წ.

- მცხეთობა. სვეტიცხოველობა, კვართის დღესასწაული.

15 - 195 წლის წინათ (1814) დაიბადა მიხეილ ლერმონტოვი - რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1841 წ.

- 125 წლის წინათ (1884) დაიბადა გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე) - პოეტი. გარდაიცვალა 1947 წ.

16 - 155 წლის წინათ (1854) დაიბადა ინგლისელი მწერალი ოსკარ უალდი. გარდაიცვალა 1900 წ.

18 - 80 წლის წინათ (1929) დაიბადა შოთა ნიშნიანიძე - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1999 წ.

20 - 125 წლის წინათ (1884) გაიხსნა თელავის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა.

24 - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

28 - 125 წლის წინათ (1884) დაიბადა გრიგოლ რობაქიძე - ემიგრანტი მწერალი. გარდაიცვალა 1962.

29 - რუსთაველის დღე. პოეზიის დღე.

- ოქტომბრის ბოლო კვირა - თბილისობა.

ნოემბერი

3 - 80 წლის წინათ (1929) დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე - ქართველი პოეტი, გარდაიცვალა 1989 წ.

10 - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.

11 - 70 წლის წინათ (1939) დაიბადა ბესიკ ხარანაული - პოეტი.

21 - 85 წლის წინათ (1924) დაიბადა ედიშერ ყიფიანი - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1972 წ.

22 - 180 წლის წინათ (1829) დაიბადა ივანე კერესელიძე - მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1892 წ.

23 - გიორგობა. ხსენება წმინდა დიდმონაშისა და ძღვევამოსილისა გიორგისა.

- 100 წლის წინათ (1909) დაიბადა ირაკლი აბაშიძე - პოეტი და საზოგადო მოღვაწე. საქმეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. - გარდაიცვალა 1991 წ.

დეკემბერი

6 - 170 წლის წინათ (1839 წ.) დაიბადა ანტონ ფურცელძე - მწერალი. გარდაიცვალა 1913 წ.

10 - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.

- 85 წლის წინათ (1924) დაიბადა ხუტა ბერულავა - პოეტი. გარდაიცვალა 2004 წ.

15 - 85 წლის წინათ (1924) დაიბადა ანა კალანდაძე - პოეტი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2008 წ.

21 - 130 წლის წინათ (1879) დაიბადა ი. ბ. სტალინი - სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვალა 1953 წ.

25 - 105 წლის წინათ (1904) დაიბადა კონსტანტინე ლორთქიფანიძე - მწერალი. გარდაიცვალა 1987 წ.

27 - 110 წლის წინათ (1899) დაიბადა გიორგი ლეონიძე - პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1966 წ.

31 - 160 წლის წინათ (1849) დაიბადა მიხეილ ასათიანი - მწერალი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1879 წ.

მიმდინარე წელს აღინიშნება პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის 380 (1629) და საქართველოში პირველი ქართული სტამბის დაარსების 300 წლისთავი (1709) საიუბილეო თარიღები.

*შემდგენელი ქეთევან ნიკურაძე
თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის საქალაქო
ბიბლიოთეკის გამგე*

საქართველოს საბიბლიოთეკო სსოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 16 და 17 ოქტომბერს აღინიშნა დუშეთის მთავარი (რაიონული) ბიბლიოთეკის დაარსებიდან 110 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა 2 - დღიანი სამეცნიერო კონფერენცია. 16 ოქტომბერს კონფერენცია მოეწყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე დღეს კონფერენციის მონაწილეებმა დიდუბის პანთეონში ყვავილებით შეამკეს ქ. დუშეთში პირველი ბიბლიოთეკის დამაარსებლის, ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის ალექსანდრე როინაშვილის საფლავი.

■ 17 ოქტომბერს კონფერენცია გაგრძელდა დუშეთში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინტელიგენციის ცნობილი პიროვნებები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი პირები.

■ 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს საქარ-

თველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წიგნის გამომცემლობებმა, კერძო კომპანიებმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა: ღონისძიების მიზანი იყო სამეცნიერო ლიტერატურის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მისი პოპულარიზაცია. ღონისძიება მოამზადა ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

■ 17 ნოემბრიდან მუშაობა განაახლა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან მოქმედმა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებმა. მოწვეულნი იყვნენ რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკების მენეჯერები.

ჩვენი მილოცვა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა. ცხრა ათეული წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა მაღალ პროფესიულ დონეზე ემსახურებოდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა თაობებს; ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკამ შექმნა და ხელმისაწვდომი გახადა 3 მლნ-მდე საბიბლიოთეკო დოკუმენტის ფონდი. ბიბლიოთეკაში იღვწოდნენ ცნობილი მეცნიერები, ბიბლიოთეკარები და ბიბლიოთეკათმცოდნეები. ბიბლიოთეკის შესახებ მონოგრაფია გამოაქვეყნა ექვსი ათეული წლის განმავლობაში აქ მოღვაწე ბიბლიოთეკათმცოდნემ ეთერ თოხაძემ. ჩვენს ჟურნალში ადრევე გამოქვეყნდა წერილი ამ ბიბლიოთეკის შესახებ (№1.2000). მასალები ბიბლიოთეკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.

ჟურნალის რედაქცია და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ულოცავს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ამ თარიღს და უსურვებს წარმატებებს.

*ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია*

კონწარას კლუბი

ჩემო ძვირფასო მკითხველავო! საკითხი, რომელსაც ვაქვეყნებთ, ბიბლიოთეკარებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ლიტერატურის შერჩევის, შეფასების, რეკომენდაციისა და დაცვისათვის. ბატონ სოლომონ ტყუილპენტიას ნაშრომი იმდენი რამაა დამაფიქრებელი, შეუძლებელია ჭკუას არ მოვუხმოთ და არ შე ვაფასოთ თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უხვად გვაყრის თავზე „ნატიფსიტყვაობით“ ლექსიკას. თუ თქვენც გაბვიზიარებთ შეხედულებებს, რა სიკეთე მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის იმ „შედეგებს“, რომლებსაც ბატონი პროფ. პატროკლე კუკუცია გვთავაზობს, ფრიად გაბვასხარებთ. სწორედ ამ მიზნით ვაქვეყნებთ სოლომონ ტყუილპენტიას ამ ნარკვევს.

თქვენი კონწარა



სოლომონ ტყუილპენტიაში

დიდი გამოკვლევა დიადი მიგნებებით



ჩემს აღტაცებასა და გაცეცხას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სრულიად საქართველოს მეცნიერებათა და გამომგონებელთა ფორუმზე მოვისმინე ჩვენი ცნობილი მეცნიერის, გენიალური მიგნებების ავტორის, თანამედროვეობის ნამდვილი ვარსკვლავის, არაერთი ქვეყნის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, მრავალი სამეცნიერო და არასამეცნიერო საბჭოს წევრის, მრავალი ქალაქის საპატიო მოქალაქის, განათლებისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწის, მრავალი სიგელისა და პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენისა და საპატიო ნიშნების კავალერის, უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, ფილოლოგიის, სოციოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის კომერციული უმაღლესი სასწავლებლების, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საგარეჯოს, ბოლნისის, ადიგენის უნივერსიტეტების პროფესორის ბატონ პატროკლე კუკუციას გამოსვლა, სამეცნიერო მოხსენებით თემაზე - „ძველ ქართულ ლიტერატურაში კოცნის ფენომენი“. ასეთ

პრობლემას ჩვენში ჯერ არავინ შეჭიდებია. ჩვენში კი არა, ანალოგი მსოფლიოშიც კი არ არსებობს და ჩვენდა სასახლოდ უნდა ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ პირველები ვართ... ბატონ პატროკლეს ეს უაღრესად ღრმა და პრობლემატური ნაშრომი მალე იხილავს სინათლეს მონოგრაფიის სახით, მაგრამ გვინდა მოვლენებს გავუსწროთ და ჩვენ პირველებმა ვაცნობოთ ეს მეცნიერულ საზოგადოებას. ამ საკითხის დამუშავების მნიშვნელობაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, მოდით, ჯერ თვით ავტორს მოვუსმინოთ. საბედნიეროდ, თანამედროვე ტექნიკა საშუალებას გვაძლევს უნაკლოდ ჩავინეროთ გამოსვლა და წერილობითი სახით წარმოვადგინოთ ჩვენი მკითხველების წინაშე. აი, იმ მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერიც:

„ბატონებო და ქალბატონებო!... იგივე: ქალბატონებო და ბატონებო! მაქვს პატივი გაგაცნოთ ჩემი ხანგრძლივი მუშაობის შედეგი, რაც გამოიხატა უამრავი წიგნის, ჟურნალის, გაზეთის, საარქივო მასალის

წაკითხვასა და ანალიზში, ამავე დროს იმ დაკვირვებებში, რასაც ქუჩაში ვახდენდი მოქალაქეთა შორის და ბოლოს, ღრმად მეცნიერული ნაშრომის შექმნაში. ეს არის ფუნდამენტური გამოკვლევა თემაზე „ძველ ქართულ ლიტერატურაში კოცნის ფენომენი“. ახლა, რაკი ამას მოვრჩი, ვინყებ მეორე შრომის წერას თემაზე - „კოცნის ფენომენი ძველ ქართულ ლიტერატურაში“. განზრახული მაქვს განვაგრძო მუშაობა ამ მხრივ და გავაშუქო საკითხები, თუ როგორ განვითარდა ეს პრობლემა და რა სახე მიიღო თანამედროვე მეტყველებასა, მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში, აგრეთვე როგორ ვლინდება ის ახლანდელ პოლიტიკურ პოლემიკასა და დისკუსიაში, როგორ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ცივილიზებულ უწმინაშრობაში.

ჩემს მიერ ეს პრობლემები რომ პირველად მუშავდებამეცნიერებაში, ყველასათვისნათელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რომ ჩემს გარდა ასეთ რთულ თემას ვერავინ მოკიდა ჯერჯერობით ხელი და ვერც მოკიდებს, ესეც სავსებით ცხადია. აბა, მიიხედ-მოიხედეთ, მიჩხრიკ-მოჩხრიკეთ, უწერია ვინმეს რამე ამის შესახებ? გვაქვს რაიმე სახის გამოკვლევა ამ მიმართულებით? არა! მაშასადამე, ამ დიდი პრობლემის დამუშავების პრიორიტეტი მე მეკუთვნის.

როგორც ცნობილია, კოცნას ცხოვრებაში უდიდესიადგილიუჭირავს: იკოცნებიან შეყვარებულები, ცოლ-ქმრები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები, საყვარლები, დიდები თუ პატარები. ერთი სიტყვით, ყველა. ჩემი დიდი ხნის დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე, რომ იკოცნებიან ერთმანეთის მოძულე ქალბატონებიც კი სხვის დასანახად, როცა შეხვედრისას სალამთან ერთად ე. წ. „ტექნიკურ ჩაკოცვნას“ მიმართავენ - ლოყას ლოყაზე მიადებენ და ტუჩებით ჰაერში გაუშვებენ „პაჩს“.

როდესაც მე ძველ ქართულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ არა სულ მთლად ძველს, ასე ვთქვათ, უძველესს, არამედ XIX-XX საუკუნეებს ჩვენს თანამედროვეობამდე, ე. ი. XXI საუკუნემდე, რადგანაც მთლად ძველ, მაშასადამე უძველეს მწერლობაში ამგვარი რამ არ შეინიშნება. ამ პერიოდში მხოლოდ ხელზე ან შუბლზე მთხევა შეიძლება შეგვხვდეთ, მართალია, შოთა რუსთაველმა უკვე შემოიტანა მწერლობაში კოცნის ფენო-

მენი, მაგრამ მან ეს მხოლოდ გაამჟღავნა, თორემ არ გაულრმავებია და ვერც მოახერხა მისი აპოგეურად გამოხატვა. უფრო მეტიც: მისმა გამოთქმამ: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუმიო“ გზა მოუჭრა შემდგომი მწერლობის წარმომადგენლებს, რომ უბრალო კოცნა მტლამა-მტლუშამდე განევითარებინათ, რაც დიდ ნაკლად დააჩნდა ჩვენს ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რაც შეეხება უწმინაშრობას, განსაკუთრებით დედისა და მოკეთების გინებას, ისე, ეტყობა, იმ დროში საერთოდ არც კი იცოდნენ, თუ რა იყო ეს. იგი უკვე შემდეგი ეპოქების მონაპოვარია, როდესაც, როგორც იქნა, თავი დააღწიეს ფეოდალური შუასაუკუნეობრივ კარჩაკეტილობას, ჩამორჩენილობასა და რუტინას; როგორც იქნა, განთავისუფლდნენ ტრადიციული მოკრძალებისა და უაზრო მორცხვობისაგან და დღეს ჩვენ უკვე მსოფლიოს განვითარებული ცივილიზაციის საფეხურზე შევდევით, დავძლიეთ ხუნდები, რომლებიც ჩვენს ლიტერატურას უკან ეწეოდა.

ცხოვრებამ თავისი გაიტანა: კოცნის ფენომენი თანდათან განვითარდა და დღეს მან განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, სხვადასხვაგვარი მეტამორფოზებისა და წინააღმდეგობების გავლით. განვითარების ეს გზა საკმაოდ გრძელია და შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ: ხელზე და შუბლზე მთხვევის ეტაპი; პირდაპირ ამბორის ეტაპი; ჩაკოცვნის ანუ ძალმომრეობითი თუ შეთანხმებული კოცნის ეტაპი; კოცნა სექსის პირობებში; საყოველთაო სექსის ეტაპი; დედისა და ყველა კეთილის გინების ეტაპი, და ბოლოს ყველაზე მაღალი, თანამედროვე ფორმა: საკუთარი დედის გინების ეტაპი.

თუ დავუკვირდებით, საყოველთაო სექსის ეტაპი და მომდევნო ეტაპები ურთიერთკავშირში არიან. ერთი გამომდინარეობს მეორესაგან, ჩვენი თანამედროვეობა ამჟამად განსაკუთრებით სექსის აპოგეის საფეხურზეა, რითაც გზას უკაფავს შემდეგ ეტაპებს და ხელს უწყობს მათ გაძლიერებას. სექსმა სავსებით სამართლიანად ყველაფერი მოიცვა, რითაც ჩვენმა თაობამ მტკიცე განაცხადი გააკეთა ცივილიზებულ სამყაროში შესასვლელად. სექსი მხატვრულ ლიტერატურაში, სექსი პუბლიცისტიკაში, ტელევიზიაში, კომპიუტერში, კინოში, თეატრში,


პლაკატზე, ალბომში, ბუკლეტში... გინდა ქუჩა აიღე, ოჯახი თუ ეზო... ყველგან და ყველაფერში სექსი... სექსი... სექსი! ნიგნსნაიკითხავ თუ გაზეთს, ყველგან მიმოხეულია სექსი, რაც ამდიდრებს და ამალღებს ჩვენს საზოგადოებას ცივილიზებული ქვეყნების თვალში. ეს ფაქტია, ამას ვერ გავეცევით, საბედნიეროდ; მაგრამ ჯერ არ გარკვეულა და გამოსაკვლევი: რამ აასქესა ასე ქართველი ხალხი? ამის კვლევა უკვე დაწყებული მაქვს და გპირდებით, უეჭველად ბევრ უცნობ საკითხს დავამუშავებ. საყოველთაო სექსის ეტაპი რომ ხელს უწყობს უფრო მაღალი ფორმის ჩამოყალიბებას ეს უეჭველია. მაგალითად, ეს ეტაპი რომ შემდგომი ეტაპების - კერძოდ, გინების ეტაპის ნოციერი ნიადაგია, ამას მტკიცება არ უნდა. ლიტერატურასა და ხელოვნებაში, საბედნიეროდ, თავისუფლად ვლინდება გინების ფენომენი. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებით ხაზგასმულად გვინდა ვახსენოთ განთქმული მწერლის ლ. კუროძის პიესა დრამატურგთა კრებულიდან, რომელიც პირდაპირ მაყურებლის დიედისგინებით იწყება. რა თავისუფალი, თვითმყოფადი, გაბედული წინსვლაა. უკეთესი მაგალითის დასახელება შეუძლებელია.

ჩვენი ცხოვრება ახლა სავსეა ასეთი თავისუფალი, მოურიდებელი, მშვენიერი მაგალითებით, დიდებული გამოთქმებით. ძველად რომ სამარცხვინო იყო უნმანურობა, ისე კი

ალარ არის დღეს! იგინება ყველა - პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის კანდიდატიდან მოყოლებული - დამთავრებული სრულიად უნიგნურ მეეზოვემდე; და განა შეიძლება ეს არ ავსახოთ ლიტერატურაში? ეს ყოველივე ხომ მკვიდრდება ჩვენს წერილობით თუ თვალსაჩინო ძეგლებში და დიდ იმპულსს აძლევს ახალ თაობას, თამამად გამოიყენოს ლანძღვა-გინების ფენომენი და კიდევ უფრო დახვეწოს მისი ფორმები. ეს ამდიდრებს ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას.

ამიტომაც ჩემს სამომავლო გეგმაში შედის მეცნიერული სიღრმითა და დიდი გაქანებით შევისწავლო თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ლანძღვა-გინების ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებიც, განვსაზღვრო მისი პერსპექტივები და სათანადო რეკომენდაციები შევიმუშაო. მაგრამ ეს შემდგომში. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად საკითხს...

რედაქციის შენიშვნა: ბატონი პატროკლე კუკუცია, სამწუხაროდ, ვეღარ დაუბრუნდა თავის ძირითად საკითხს, რადგანაც სწორედ ამ დროს ჯერ დაუდგენელმა პირმა, ვილაც დედაკაცმა წყლით სავსე გრაფინი ხეთქა თავში და გათიშა. გონზე არ მოსულა, ისე გააქანეს საავადმყოფოში. როდის გამოკეთება, ვერავინ ამბობს.



გიგანტური ღამეებს
2009 წელს!





1958 წ.



გამომცემლობა

ანბანი

საყმაწვილო ბიბლიოთეკა
ქართული კლასიკოსების
ილუსტრირებული
40-ტომეული



იაკობ გომბაზაშვილი
ილია ჭავჭავაძე
აკაკი წერეთელი
ვაჟა-ფშაველა
ალექსანდრე ყაზვბეგი
დავით კლდიაშვილი
ეგნატე ნინოშვილი
შიო არაგვისპირელი
დანიელ ჭონძია
ლავრენტი არდაზიანი
თაქო რაზიკაშვილი
მიხეილ ჯავახიშვილი
რომანტიკოსები
ეკატერინე გაბაშვილი
ჟოლა ლომთათიძე
ნიკო ლომოური
ნიკო ლორთქიფანიძე
სულხან-საბა ორბელიანი
გიორგი წერეთელი
კონდრატი თათარაშვილი
ლადო ასათიანი
ნოდარ დუმბაძე
გურამ რჩეულიშვილი
გალაკტიონ ტაბიძე
ჰაგიორგაშვილი
პოლიკარპე კაკაბაძე
იოსებ ბერიშვილი
გურამ დოჩანაშვილი
კონსტანტინე გამსახურდია



გამომცემლობა „ანბანი“
თბილისი, კოსტავას 47
ტელ.: +995 32) 988 755
www.anbani.ge
E-mail: anbani@anbani.ge